რ. საყვარელიძე

ქალთა პედაგოგიური განათლება XIX საუკუნის საქართველოში



გამომცემლობა „ცოდნა“
თბილისი—1958

წინასიტყვაობა

ჩვენი შრომის მიზანია მე-19 საუკუნის საქართველოს ქალთა პედაგოგიური განათლების აღმოცენების პირობების გარკვევა, მისი შინაარსის მოკლე დახასიათება და იმ ადგილის განსაზღვრა, რომელიც მას ეჭირა აღნიშნული პერიოდის საქართველოს პედაგოგიური განათლების სისტემაში საერთოდ. ამის მიხედვით ჩვენ განვიხილავთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქალთა პედაგოგიურ სასწავლებელთა ორგანიზაციის, მათი სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების და ამ სასწავლებლებში მომზადებულ მასწავლებელ ქალთა კვალიფიკაციის ძირითად საკითხებს.

ამთავითვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქალთა პედაგოგიურ სასწავლებელთა პარალელურად, ჩვენ ვეხებით ყველა იმ საალმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც კი ფაქტიურად მზადდებოდნენ მომავალი პედაგოგი ქალები მიუხედავად ამ დაწესებულებათა ძირითადი პროფილისა და, წინასწარგანსაზღვრული მიზანდასახულობისა. ასე, მაგალითად, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და ნაწილობრივ მეორე ნახევარშიც, საქართველოში არსებობდა საშინაო და საეკლესიო-სამონასტრო სკოლები, კერძო სასწავლებლები და პანსიონები, კურსები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც არ იყო მოწოდებული აღეზარდა სახალხო სკოლების მასწავლებლები და საშინაო აღმზრდელები, მაგრამ ამ დაწესებულებებში სწავლადასრულებული პირების უმრავლესობა ხანგრძლივად ეწეოდა მასწავლებლობას ან ასრულებდა კერძო მასწავლებლისა თუ დამრიგებლის ფუნქციებს და ამიტომ მათი როლი და ადგილი მასწავლებელ ქალთა მომზადების საქმეში არ შეიძლებოდა უყურადღებოდ დაგვეტოვებინა.

ჩვენი შრომა, მართალია, ეხება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს, რადგანაც სწორედ 60-იანი წლებიდან იწყება საქართველოში პედაგოგიური, კერძოდ, ქალთა პედაგოგიური განათლება, მაგრამ ამ პერიოდის ზოგიერთი დაწესებულება, რომელიც ამზადებდა პედაგოგებს დაწყებითი სკოლებისათვის, აღმოცენებული იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დამლევს, 40—50 წლებში, და, ამდენად, უფრო მიზანშეწონილად დავინახეთ ცალკე ნაწილად გამოგვეყო ასეთ დაწესებულებათა მუშაობა. 60—70 წლებში ქალთა პედაგოგიური განათლების მიმოხილვისას ჩვენ აღარ ვუბრუნდებით მათ, თუმცა ეს ისინი კვლავ აგრძელებდნენ თავის მუშაობას, როგორც ამ პერიოდში, ისე მის შემდეგაც.

დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა შერჩევის საქმეში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მთელს მანძილზე გარკვეულ როლს თამაშობდნენ აგრეთვე ქალთა წრეები და საქველმოქმედო საზოგადოებანი. ისინი არა მარტო სკოლებსა და პანსიონებს აარსებდნენ, არამედ აწარმოებდნენ მათ მასწავლებელთა და აღმზრდელთა შერჩევასაც. ამ წრეებსა და საზოგადოებებს არ გააჩნდათ რაიმე ეფექტიანი საშუალება მიეცათ მათთვის შესაფერისი პედაგოგიური განათლება და კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ იმით, რომ მომავალ მასწავლებლებს აცნობდნენ ერთგვარ პედაგოგიურ პრაქტიკას გამოცდილ მასწავლებელთა გაკვეთილების მოსმენით. ასეთი პრიმიტიული წესით მომზადებული მასწავლებლები მაინც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პედაგოგიურ ფრონტზე, მაგრამ მათი აღრიცხვა არსად არ ხდებოდა, ხოლო საერთო ცნობები მათ შესახებ არ გვაძლევდა საშუალებას რამდენადმე მაინც აგვესახა ამ წიგნში მათი ნაყოფიერი და უეჭველად პატივსაცემი შრომა.

* * *

პედაგოგიური განათლების ისტორია საქართველოში ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ჯეროვანი სისრულით; ქალთა პედაგოგიური განათლება მით უფრო საკვალალო მდგო-

ძარეობაშია და ეს იმ დროს, როცა მასწავლებელ ქალთა მომზადებას თავისი მასშტაბით ქართული პედაგოგიური განათლების დარგში მუდამ მთავარი ადგილი ეჭირა. სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ქართული პედაგოგიკის ისტორიაში დიდი ხანი არ არის, რაც საფუძველი ჩაეყარა და ამიტომ გასაგებია, რომ ქალთა პედაგოგიური განათლების ისტორიის შესახებ სპეციალური გამოკვლევა ან რაიმე სისტემატიური ნაშრომი არ მოგვეპოვება. ამ თემაზე არსებული ცალკეული ეპიზოდური ცნობები გაფანტულია სხვა პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებსა და ნარკვევებში[1] და სრულებითაც არაა საკმარისი მე-19 ს. მეორე ნახევრის ქალთა პედაგოგიური განათლების მთლიანი სურათის დადგენისათვის. ამის გამო აუცილებელი იყო მიგვემართა ისეთი პირველადი წყაროებისათვის, როგორიცაა: არქივის ფონდები, პერიოდული პრესა, კავკასიის სასწავლო ოლქის ოფიციალური ანგარიშები და ცირკულიარები, მოგონებები და სხვა მასალა, რომელიც მითითებული გვაქვს მათი გამოყენების ყველა შემთხვევაში.

ჩვენი თემის წყაროების სიმცირეს მიეწერება ის გარემოება, რომ ზოგიერთი საკითხი არ არის დამუშავებული საჭირო სიღრმითა და სრული სახით. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის ქალთა პედაგოგიურ სასწავლებელთა სასწავლო საგნების პროგრამებზე და სახელმძღვანელოებზე, რომლებიც ჩვენ დრომდე არ შემონახულა. საკმაო მასალა არ აღმოჩნდა არც ამ პედაგოგიურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულ მასწავ-

---

[1] Л. Н. Модзалевский — Очерк истории воспитания и обучения, ч. II. (приложение) 1899; Е. К. (ეპისკოპოზი კირიონი)—Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, 1901; С. Эсадзе—Историческая записка об управлении Кавказом. 1907; კრებული — სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, I, 1937; Ш. Чхетия—Тбилиси в XIX столетии, 1942; გ. თავზიშვილი—სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, II. 1948; ტ. ხუნდაძე—ნარკვევები მე-19 ს. სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951; ვ. ქაჯაია—ქართველი პედაგოგები, 1955; ვ. ზამბახიძე, ნ. ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები

ლებელ ქალთა კონტიგენტების მოძრაობის შესახებ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი რიცხვის ზრდისა და სოციალურ-ნაციონალური შემადგენლობის სტატისტიკური ცნობების წარმოდგენა.

მიუხედავად ამ ნაკლისა, რომელიც გამოწვეულია ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ვფიქრობთ, ეს ნაშრომი მაინც არ იქნება უსარგებლო საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის და, პირველ ყოვლისა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სახალხო განათლების ისტორიის შემსწავლელ პირთათვის.

ა ვ ტ ო რ ი

ნაწილი პირველი

მასწავლებელ ქალთა მოამზადების პირობები და წესები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში

მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოში ცნობილია, როგორც ფეოდალური წყობისა და ურთიერთობის რღვევის პერიოდი.

ნატურალური მეურნეობის კრიზისი საქართველოში მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაიწყო, მაგრამ მე-19 საუკუნის დასაწყისში შინამრეწველობისა და უცხოეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებამ დააჩქარა ეს პროცესი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ჰქონდა რუსეთთან შეერთებას.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია დაგვირგვინდა მე-18 საუკუნის დამლევს „გეორგიევსკის სამეგობრო ტრაქტატით", ხოლო 1801 წელს „საქართველო შეუერთდა მოძმე სახელმწიფოს.

მართალია, მძიმე იყო საქართველოსათვის დამოუკიდებლობის დაკარგვა დ რუსეთთან შეერთება, რომელსაც მაშინ სათაეში ედგნენ მეფე და მემამულეები, მაგრამ შეერთებას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის[1].

რუსეთთან შეერთებისას საქართველო გამოირჩეოდა თავისი სახელმწიფოებრივი წესწყობილებითა და კულტურით. ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ამის შესახებ

---

[1] თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ, მოწონებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, 1954 წ.

წერდა: „ესრეთ კეთილად დაწესებული სამეფო, ვითარცა საქართველოისა, სარწმუნოებითა, ეკლესიებითა, მონასტრებითა მდივანბეგობითა, სწავლითა და ხელოვნებითა, გუთნითა და ხვნითა, თესვითა და მკითა, პატიოსნებითა და ზრდილობით აღსავსე, ესრეთ ბრწყინვალე სამეფოისა ტახტითა და თავადაზნაურობითა, საღვდელოთა წესითა და საეროსა სიმდიდრითა, თოფითა, ზარბაზნითა და ხალხისა სიმხნითა და ვაჟკაცობითა ჩაბარდა სადმე დიდსა რუსეთისა იმპერიასა“[1].

საქართველოს შეერთება რუსეთთან ქართველი ხალხის ერთსულოვანი მისწრაფება იყო და იგი ამ ფაქტს კმაყოფილებით შეხვდა. სახელოვანი ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის სიტყვების გულწრფელობაში დაეჭვება შეუძლებელია, წერდა:

„აღა-მაჰმად-ხანის უკანასკნელმა შემოსევამ და ტფილისის აოხრებამ 1795 წელს გადასწყვიტა საქართველოს ბედი. საქართველომ თვალნი თვისნი მიაპყრო ერთ მორწმუნე რუსეთს, რომლშიაც იგი წინადაც ჰპოებდა დასაყრდენს... და მას დახმარების ხელი გამოუწოდეს... ხალხი, აღტაცებული მომავალი კეთილდღეობის იმედით... თავის სიხარულს ხანგრძლივი ლხინით გამოხატავდა“[2].

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან კაპიტალისტური წარმოებისა და ბურჟუაზიული კულტურის საწყისები ინტენსიობით იჭრებოდა საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაში, მაგრამ საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული ფეოდალური ინსტიტუტის დაშლის პროცესი საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა.

საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება და განათლება უფრო ნელი ტემპით ეთხოვებოდა ძველ, ფეოდალურ საფუძვლებს. თავადაზნაურული იდეოლოგია კვლავ ინარჩუნებდა თავის გაბატონებულ მდგომარეობას მთელი აღნიშნული პეროდის განმავლობაში. აღზრდა-განათლების და სწავლების ძველი წესები კიდევ დიდხანს რჩებოდა ძალაში. წერა-კითხვის პრიმი-

---

[1] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ.

[2] ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 243—245.

ტიული მეთოდებიც განაგრძობდნენ არსებობას, მაგრამ სოციალური ურთიერთობის გაშლა, ცხოვრების განვითარების კანონები, გადაჭრით მოითხოვდა ხალხის განათლების აუცილებლობას, კულტურის კერებისა და მასწავლებელთა გამრავლებას.

ქართველი ქალი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში კვლავ რჩებოდა, ძველი ტრადიციის მიხედვით, ხალხში წიგნიერების გავრცელების მთავარ ძალად და იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს მისი როლი ამ პერიოდის სახალხო განათლების დარგში, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს გავახსენოთ ზოგიერთი დამახასიათებელი ეპიზოდი ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა ძველ საქართველოში.

1. ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ძველ საქართველოში

საქართველოს ისტორიის მრავალსაუკუნოვან მანძილზე ქართველი ქალები ენერგიულად იღვწოდნენ ქართული წიგნობრობის განვითარებისა და კულტურის სხვა სფეროებში.

ქართული მწერლობის უძველესი ძეგლი, მეხუთე საუკუნის თხზულება—იაკობ ცურტაველის „წამებაი წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ გვამცნობს, რომ შუშანიკმა „თანა წარიტანა ევანგელეი თვისი და წმინდანი ოგი მოწამეთანი“ და პატიმრობისას „მოუწყინებლად ჰკითხულობდა წიგნებს“.[1]

მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ ეახტანგ გორგასალის დედას, საგდუხტს, „ქმარმან მისმან მოგუარნა სჯულის მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება“[2].

საქართველოში განათლების ქსელის წინწაწევის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველ ქალთა კულტურულმა კერებმა, რომლებიც არსებობდა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც. პროფ. კ. კეკელიძე წერს: „მეხუთე საუკუ-

---

[1] იაკობ ცურტაველი, წამება წმინდისა შუშანიკისა, 1917 წ., გვ. 7

[2] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 120.

ნიდან შოყოლებული პალესტინა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქართული კულტურული შემოქმედებისა საზღვარგარეთ, მეათე საუკუნემდე „საბას ლავრა“, ხოლო მეთერთმეტიდან „ჯვარის მონასტერი“—აი ორი მთავარი პუნქტი, სადაც ღვიოდა ნაპერწკალი ჩვენი ძველი ლიტერატურისა და სადაც ჩვენი წინაპრები ეცნობოდნენ მოწინავე კულტურის მიღწევებს საშუალო საუკუნეთა მანძილზე. საყურადღებოა, რომ ამ კულტურულ საქმიანობასა და მოძრაობაში მამაკაცებს დედაკაცებიც არ ჩამორჩებოდნენ და ე. წ. „წმინდა ქვეყნის“ სხვადასხვა პუნქტში ისინიც ქმნიდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს“[1].

პროფესორ კ. კეკელიძეს დადგენილი აქვს სამი ასეთი ცენტრის არსებობა: „კაპპათა“ აშენებული დედოფლების მართა და ბორენას ბიერ, „დელტავი“ და „დერთუფა“. კაპპათა დაარსებულა მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ამავე-საუკუნეში უნდა იყოს დაარსებული დანარჩენი ორიც.

როგორც ირკვევა, პალესტინის ქართველ „დედათა“ სავანეებში ისეთსავე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ, როგორც მამათა მონასტერში: წიგნების შეკრება, კითხვა, გადაწერა, გავრცელება, ბიბლიოთეკის შედგენა, მწიგნობართა კადრების მოწზადება აქაც ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. „დედათა“ და „მამათა“ მონასტრებს ურთიერთობა ჰქონიათ წიგნების სარგებლობის ხაზითაც: დედათა სამონასტრო ბიბლიოთეკებიდან წიგნები საკითხავად და სასარგებლოდ მიჰქონდათ მამათა მონასტრებში, ანდა პირიქით მამათა მონასტრებიდან დედათა სავანეებში“[2].

მაღალი იყო ქართველი ქალის ავტორიტეტი ძველი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, რადგან ის ბავშვობიდანვე სერიოზულ აღზრდა-განათლებას ღებულობდა. მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი საეკლესიო მოღვაწისა და მწიგნობრის გიორგი ათონელის „დედმამამ პირველი ქალი, თეკლა, შვიდი წლის როცა შეიქ-

[1] აკად. ნ. მარის სახელობის ენიმკის მოამბე, 1943 წ., ტ. 13, გვ. 106.
[2] იქვე.

მნა, მონასტერში წაიყვანეს, წინამძღვარმა აიყვანა ის და „ვითარცა შვილი თვისი“ კეთილად აღზარდა. ეს თეკლა მონაზენად იყო შეწირული, რომ იდეალური მონაზონი ყოფილიყო, ბავშვს თავიდანვე—შვიდი წლიდან მონასტერში აძლევდენ აღსაზრდელად. ცხადია, უნდა არსებულიყო სამონაზენოდ აღზრდა განსხვავებული საერო აღზრდისაგან. მონასტერში შეიძლებოდა სამონაზენოდ „კეთილად აღზრდა“, ე. ი. უნდა არსებულიყო სხვადასხვა სისტემა აღზრდისა საერო და სამონაზენო“[1].

საშუალო საუკუნეებში, წერს პროფ. კ. კეკელიძე—„როდესაც დასავლეთ-ევროპაში, კერძოთ გერმანიაში, ქალი ბოროტ საწყისად იყო აღიარებული და მას როგორც ასეთს, ხშირად ცეცხლის კოცონზე სწვავდენ, საქართველოში ნიკოლოზ გულაბერიძის მიერ ქალის „ღირსებისა და პატივის“ შესახებ ტრაქტატი იწერებოდა, ხოლო უკვდავი რუსთაველი კი პოეტური აფორიზმით აღიარებდა მის თანასწორობას მამაკაცთან: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

ქალს არამც თუ მამაკაცის მსგავს არსებად აღიარებდნენ, უფრო მაღლაც კი აყენებდნენ: „ეხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა, რომელი იძახის ყოველსავე ზედა ოთხფერხისა, განა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისასა, უფროის მაბლისა“.

და ეს არ იყო ლიტონი სიტყვა, ეს თამარის ბრწყინვალე მეფობით გამართლებული ფაქტი იყო. ეს გამართლებული იყო ქალების აქტიური მონაწილეობით კულტურისა და განათლების ისტორიაში[2].

კულტურის არც ერთი სფერო უცხო არ იყო ქართველი ქალისათვის. ჩვენ გვყავდა საზოგადო მოღვაწე და პოლიტიკოსი ქალები, პოეტი-ჰიმნოგრაფები, ხალხური მთქმელები, გადამწერ-კალიგრაფები, მთარგმნელები, ბიბლიოფილები და კულტურის სხვა დარგის მუშაკები.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ძველად ანბანს,

---

[1] კრებული, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, 1937, გვ. 97.

[2] აკად. ნ. მარის სახელობის ენიმკის მოამბე, 1943, ტ. 13, გვ. 119.

წერა-კითხვასა და პირველდაწყებით განათლებას ჩვენში უმთავრესად ქალების თაოსნობით იძენდნენ.

მე-17 ს. პირველი ნახევრის მოგზაური არქანჯელო ლამბერტი საქართველოში წერა-კითხვის მდგომარეობის შესახებ აღნიშნავდა: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად“[1].

მე-18 საუკუნის 70 წლებში რუსეთის ელჩი საქართველოში კაპიტანი იაზიკოვი ქართველი ქალების წიგნიერების შესახებ წერდა: „რაც შეეხება კეთილშობილ ქალებს,—ყველა წერა-კითხვის მცოდნეა, წარჩინებული ოჯახები თავიანთ ქალებს უსათუოდ ასწავლიდნენ წერა-კითხვას“[2].

მართლაც, მრავალი საბუთი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველ ქალს, როცა იგი შვიდი წლისა გახდებოდა, წერა-კითხვას ასწავლიდნენ ან კერძოდ, ინდივიდუალური სწავლების წესით, ან საშინაო, ანდა სამონასტრო სკოლაში მიბარებით.

ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ თითქოს პირველი „ანბანთ ქება“ საქართველოში მე-16 – 17 საუკუნის მგოსანს თეიმურაზ პირველს ეკუთვნის[3]. ამჟამად უკვე ცნობილია, რომ ჩვენამდე მოღწეულ „ანბანთ ქებებიდან“ პირველი თეიმურაზ პირველის დედას ქეთევანს ეკუთვნის.

ლევან ასათიანი თავის გამოკვლევაში „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“ ქეთევანის (1573—1624) შესახებ ამბობს: „ქართულმა ლიტერატურამ საკმარისად აღნიშნა მისი სახელი. დიდმა ქართველმა მწერალმა სულხან-საბა ორბელიანმა პოეტური სტრიქონები უძღვნა მის ხსოვნას. შემდეგი დროის პიიტიკოსებმა შეთხზეს ჰიმნები მის სადიდებლად, რიტორებმა და სქოლასტებმა დაწერეს წიგნები.

დაბოლოს, ქართული პოეზიის ისტორიას შერჩა ერთი

---

[1] არქანჯელო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, 1938, გვ. 151.

[2] Ал. Ц а г а р е л и, Свед. о груз. письм., I, გვ. 11.

[3] კრებ. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, 1937, გვ. 71.

ელეგიური ლექსი, „ანბანთ ქება“ ცნობილი ქეთევანის „ფისტიკაურად“.

იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ იზრდებოდნენ მე-18 საუკუნეში ქართველი ქალები ინდივიდუალური წესით, გავეცნოთ მამია გურიელის ასულის ეკატერინეს აღზრდის წესებს.

„აღზრდა მისი იყო ამგვარი, ვითარცა მიიღებენ ანუ მიიღებდნენ ოდესმე საზოგადო ყოველნი ქალნი თავადთთა და კეთილშობილთაგანი ყოველთა კავკასიის აქეთ მდებარეთა საქრისტიანოთა...

რაჟამს ოდენ წარმოსდგებოდა პირველი ღონისძიება სწავლების დაწყებინებისა, მაშინვე მოაყოლებდნენ დავითნს, შემდგომად დაუჯდომელს, სამოციქულოს, სახარებას, დაბადებას და სხვათა საღმრთოთა წიგნებთა, რომელთაც ქალნი კეთილშობილნი სწავლობდნენ აქამომდე, რომელ ხშირად გაუძნელდებოდათ ბაასი მათთანა თითქმის ღვდელთაცა კარგად მცოდნეთა, ხოლო საეროსა აღზრდასა მათსა დააბოლავებდნენ ხელთსაქმენი, განწყობილება მოკითხვის წიგნისა, ნათესავთა და მოკეთილეთა მიმართ, მოთხრობითი აღწერა მამისა ანუ ნათესავისა ვისიმე მოქმედებათა, კითხვაი საგმიროთა პოემათა და სხვათა ამ გვართა თხზულებათა, რომელნიცა აღაშაღლებდნენ გრძნობათა მათთა ყოვლითა კეთილობითა და წარმართვაი შინაურთა საქმეთა სასიამოვნოდ. ერთი სიტყვით წიგნობრივი აღზრდა ქალთა მრავალით აღემატებოდა აღზრდასა კაცთასა, რომელნიცა მიმოიქცეოდნენ უმეტესად საქმეთა შინა სიმარდისა და მხნეობისათა“[1].

მწერალი ალექსანდრე ორბელიანი კი (1801—1869) ასე აგვიწერს ქართველი ქალების აღზრდას:

„იმ ჩვენ დედაკაცებს ჯერ ყმაწვილობაში საღმრთო წერილს ასწავლიდნენ, შემდეგ ქცევას, მიმოსვრას, თავის უმანკოების სიწრფელის სიმართლითა, თან ცდილობდნენ ყოველი წმინდა და პატიოსანი ხასიათი ჩაეწვეთათ, თავის მოთმინებით, იმათ ბუნებაში, და როდესაც დრო მოვიდოდა, გაათ-

---

[1] გურიის ამბები, 1916, გვ. 62—64.

ხოვებდნენ. — და ეს ხასიათები ქალს განძად და საუნჯედ გაჰყვებოდა თავის ქმრისა და იმის საბლის გასაბედნიერებლად.

მე თამამად ვიტყვი, რომ ჩემი გული იმათთან ყოფნით ყოვლის კეთილის მადლით განათლებული იყო ხოლმე. რა არა ჰქონდათ იმათ კარგი თვისებანი. დარბაისლური, მართებული ლაპარაკი თუ ზრდილობიანი გაბუზრებით მხიარულება. მე ჩემს დღეში არ მახსოვს, რომ იმათ ერთი ბეწვა წინააღმდეგობა და მაღალი სიტყვა ეთქვათ ერთმანეთისათვის რამა. ყოველთვის ნშვიდობიანად და გონივრულად ლაპარაკობდნენ და ნშვიდობიანათ თავის აზრებს უმტკიცებდნენ ერთმანეთს, და ამასთან ყოველი იმათი ლაპარაკი კარგ საგნებზედ იყო: მიწის მოსავალზე, თუ ვენახზედ, სახლის მეურნეობაზედ და სვანი, ასე რომ იმათში თავის დღეში ჭორი არ ითქმოდა თორემ, ტყუილი და სიცრუე როგორ შეიძლებოდა".[1]

სახელმძღვანელო წიგნებად სვავდასვა სახის სასულიერო და საერო ხასიათის თხზულებანი იხმარებოდა და, საბეჭდი დაზგის უქონლობის გამო, ხელნაწერთა გადაწერა, დაკაზმისა და რესტავრაციის საქმეში მამაკაცებთან ერთად შრომობდნენ ქართველი ქალებიც.

ურყევ წესად იყო დადებული, რომ ქალს დაბადების დღიდანვე სსვა მზითევთა შორის შინაურ ბიბლიოთეკასაც ატანდნენ, რომელშიაც პირველი ადგილი „ეეფხისტყაოსანს" ეჭირა.

ხშირად „მზითვის სიებში" „ვეფხისტყაოსნის" გარდა მოხსენებულია: „ქართლის ცხოვრება", „სიტყვისა კონა", „ქილილა და დამანა", „ზილიხანიანი", „ვარდბულბულიანი", „შამი ფარვანიანი", „ვაზაფხულისა და ზემოდგომის გაბაასება", „ანბანთ ქება", „მაჯამა", „ღრამატიკა", „რიტორიკა", „დიალექტიკა, „კატეღორია", „სიბრძნე სიცრუე", „ვისრამიანი", „ჩარდავრიშიანი", „ნირიანიანი", „დაფნის ქალაქი", „ყარამანიანი".[2]

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველთა შორის იზრდება ინტერესი რუსეთისა და რუსული კულტუ-

---

[1] ალ. ორბელიანი, ნაწერი, 1876, გვ. 150—151.

[2] ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, 1936, გვ. 63—95.

რისადმი. ასე მაგალითად: მეფე ერეკლე მეორის დები თაბარი და ეკატერინე ბატონიშვილები 1778—1791 წლებში თანამშრომლობდნენ რუსულ ჟურნალებში: „Покоящееся трудолюбие“ და „Чтение для вкуса“.

ეკატერინე ბატონიშვილს (გრუზინსკაიას) 1785 წელს, მოსკოვში ჟურნალ „Покоящееся трудолюбие“-ში (Периодическое издание служащее продолжением „Вечерние Зори“. Часть 4, стр. 210—213) მოუთავსებია თარგმანი დიდაქტიკური ხასიათის თხზულებისა, სათაურით: „Наказанная наглость“.[1] ამრიგად, ძველ საქართველოში ქალები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ წიგნიერების გავრცელების საქმეში.

2. საეკლესიო-სამონასტრო და საშინაო სკოლები

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობდა ძველი, ხალხური წესით მომუშავე სკოლები, როგორც ეკლესია-მონასტრებთან, ისე სხვადასხვა კერძო ოჯახებში.

ეს სკოლები არა მარტო ელემენტარულ წიგნიერებას ავრცელებდა მოსახლეობაში. არამედ აწზადებდა აგრეთვე თვით ასეთი სკოლების მომავალ მასწავლებლებს.

იმისათვის, რომ სათანადო წარმოდგენა ვიქონიოთ მათი ცოდნის მარაგზე, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად მაინც შევეხოთ ამ სკოლების მუშაობას.

ცნობილია, რომ „XIX ს. პირველ ნახევარში არსებობდა ქალთა მონასტრები კარგად მოწყობილი ქალთა სკოლებით (ბოდბის, მცხეთის, თელავის, ჯრუჭის. საჩხერის, მღვიმისა და სხვ.). ამ სკოლებში წერა-კითხვის, ლოცვებისა და გალობის, ხოლო ზოგიერთ მათგანში (ბოდბე) საეკლესიერო საგნების გარდა. ასწავლიდნენ ჭრა-კერვას და სხვა სადიასახლისო საქმეებს“.[2]

---

[1] Неустроев, Указатель к русским поверенным изданиям и сборникам за 1703—1802 и к историческому розысканию оных. С. Петербург, 1893, стр. 164.

[2] პროფ. გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1948, ტ. II. გვ. 114.

თუ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლათა რიცხვი მცირე იყო, სამაგიეროდ, საერო ხასიათის საშინაო სკოლათა რაოდენობა საკმაოდ დიდი ყოფილა.

საშინაო სკოლები მოწყობილი იყო კერძო ბინებზე, სადაც რამდენიმე ბავშვს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვებს, ხოლო გოგონებს ამის გარდა—ხელსაქმეს. მასწავლებლებად უმეტეს შემთხვევაში იყვნენ დაბალი განათლების მქონე ქალები, იშვიათად—მამაკაცები.

საშინაო სკოლებში, როგორც წესი, ღებულობდნენ 9 წლის ასაკგადაცილებულ ბავშვებს. „მიღება" უმთავრესად შემოდგომის მიწურულში ხდებოდა. სწავლა გაზაფხულამდე გრძელდებოდა. სწავლება უმეტეს შემთხვევაში სადილობიდან სამხრობამდის წარმოებდა და ამით ბავშვებს შესაძლებლობა ეძლეოდათ საოჯახო მეურნეობაშიაც მიეღოთ მონაწილეობა დილას და საღამოს.

სწავლა გულისხმობდა წერა-კითხვის შესწავლასა და ანგარიშს ასის ფარგლებში. ამის გარდა ქალებს ასწავლიდნენ დიასახლისობას, ხელსაქმეს, დაკვრას, სიმღერასა და ცეკვას.

საშინაო სკოლები, როგორც წესი, ატარებდნენ თავიანთი მასწავლებლის ან იმ ოჯახის უფროსის სახელს, სადაც „სკოლა" იყო გამართული.

ცნობილი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებებში ასე აღწერს ქართველი გოგონების საშინაო სკოლებში სწავლას:

„... სისტემა სწავლებისა ქალებისათვისაც ისეთივე იყო, როგორც ვაჟებისათვის, მაგრამ ოსტატ ქალებს რადგან პლატონ იოსელიანის გრამატიკა არ მოეძებოდათ, —ან-ბანს უწერდნენ თავის შეგირდებს ქაღალდზე, ნაბარათევის ნაგლეჯ ნაფხრეწზე, ხშირად კი ისინიც ბეჭს მიმართავდნენ ხოლმე (როგორც ვაჟები). სწავლების დროს იდგა ერთი გნიასი, ყველა თავისთვის სწავლობდა. ხმამაღლა ამბობდა ასოების სახელებსა, ასე: ანუ, ბანუ, განუ .. ოსტატს, ასე უწოდებდნენ მასწავლებელს, ისე გამახვილებული ჰქონდა ყურთა სმენა, რომ ხმით ყველას იცნობდა, განსაკუთრებით ოსტატი ქალები, ხოლო

თითონ გაკეთილების დროს ქარგვას ჩაუჯდებოდა, თავსაკრავს ჰკერავდა, ან ჩიხტიკოპს აკეთებდა, ან კიდევ ჰქსოვდა რასმესა, მაგრამ თუ შეეშლებოდა ვისმეს ამ არეულ-დარეულს ხმაურობის დროს, თავაუღებლივ თავის საკუთარ სამუშაოდან, დაუძახებდა: კაკატო, შეგეშალა, ბანის შენდეგ დონი კი არა, განია. ახლა სვავას გაუსწორებდა, ახლა სვავასა.

შეგირდები ტახტზე ისხდენ მოკეცილები, ნაბარათევის ნაფხრეწი მუხლზე ედოთ და საჩვენებელი თითით ასდევ-ჩასდევდნენ ასოებსა. როცა კითხვა გათავდებოდა, ხელსაქმეს ასწავლიდა: ჯერ წინდა-პაიჭის ქსოვას, შენდეგ ჩიხტიკოპის გამოჭრა-გამოწყობასა, მერე ოქრომკედით ანუ აბრეშუმის ძაფით ქარგვასა, თავსაკრავების კერვასა, სვავადასვა სახეების გამოყვანასა, შემდეგ ჭრა-კერვასა. ამითი თავდებოდა სწავლება. შენდეგ ბავშვები დაუკრავდნენ დაირას, ჩამოუვლიდნენ ლეკურსა და სამაიას, ითამაშებდნენ „ძერა-ძერაობასა“, რომ მოიღლებოდნენ, თავისით გამოეთხოვებოდნენ გოგოები ოსტატსა და კოწიაწით გასწევდნენ სახლში“.[1]

საშინაო სკოლები როგორც საქართველოს დაბა ქალაქებში, ისე სოფლებშიც არსებობდა.

სოფრომ მგალობლიშვილს თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში — „წარსულიდან“ — აღწერილი აქვს ეფროსინეს ქალთა საშინაო სკოლა.

„ეფროსინე, ანუ მისი სკოლა, იყო გამავრცელებელი წერა-კითხვისა, ჭრა-კერვისა, საბეების კერვისა და ქარგვისა...

ეფროსინეს ჰყავდა ექვსი-შვიდი შეგირდი, სოფლის გოგოები, ზოგი მოჰყავდა თერთმეტ-თორმეტი წლისა, ათის წლისაზე პატარას არასდროს არ მიიღებდა ხოლმე.

რადგან ქალალდი იმ დროში, რომელსაც ჩვენი აღბავი შეეხება, ძვირი იყო, იქნება არც ძვირი იყო, ნაგრამ ბაზარს დაშორებულ სერში, აბა ქალალდს ვინ მიიტანდა... ამიტომ ბეჭზედ ასწავლიდნენ წერასა, საკითხავად კი ეფროსინეს ბევრი ძველი ხელთნაწერი წიგნი ჰქონდა. ზეითებში მოყოლილი

---

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1938, გვ. 31.

„ვეფხის ტყაოსანი“, „დავითიანი“, სიბრძნე-სიცრუეს არაკები, ამას გარდა საეკლესიო წიგნები ხომ სულ ყველა ჰქონდა“.[1]

წერა-კითხვისა და ხელსაქმის გარდა ეფროსინე თავის შეგირდ გოგონებს ასწავლიდა მოკითხვის ბარათების წერას, ზრდილობის ნორმებს, სიტყვა-პასუხს და სხვ. გოგონები უმეტესად გათხოვებამდის რჩებოდნენ თავის მასწავლებელთან.

„ეფროსინეს, წერს ს. მგალობლიშვილი, წესად დადგენილი ჰქონდა, რომ იმ ქალიშვილს, რომელსაც იმასთან ჰქონდა სწავლა გათავებული, უიმისოდ ვერ გაათხოვებდნენ, ჯერ იმისთვის უნდა მიეტანათ საოსტატო და შემდეგ დალოცავდა და ჯვარს დასწერდნენ. გლეხკაცობა, განსაკუთრებით შეძლებული გლეხკაცობა, ეტანებოდა ამისთანა ნასწავლ ქალიშვილებსა, რომლებსაც ამასთან მზითევში უთუოდ ქარგა უნდა გაჰყოლოდათ. ქორწინების წლოვანებამდის სწავლობდნენ ეფროსინესთან გოგოები, სწავლაში არას აძლევდნენ, მხოლოდ ძღვენს მიართმევდნენ ხოლმე, ეს იყო მაგისი სასყიდელი სწავლებისათვის“[2].

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ქალთა საშინაო სკოლა ჰქონია გორში, პროკურორის მეუღლეს—მაგდანას. მაგდანა, როგორც მწერალი ეკ. გაბაშვილი გადმოგვცემს, მეტად სასტიკი და შეუბრალებელი ყოფილა. შეგირდები დიდ ტანჯვა-წამებაში ყოლია. „მე კარგად მახსოვს და არც როდისმე დამვიწყებია ვინმე პროკურორის ცოლი მაგდანი და იმისი სამი დარბაისელი ხნის გასათხოვარი ქალიშვილები, რომლებთანაც მთელი ზამთარი გაგრძელდა დაუსრულებელი ჩემი წამება და ტანჯვა-ეაგლახი.

ჩვენი სახლი გორის შუა ალაგას, ციხის მიახლოვებით იყო და პროკურორის ცოლი კი „პოსელენიის“ თითქმის ბოლოში იდგა, ლიახვის და ფშანის პირას, ერისთვისშვილების ცნობილ წისქვილების მიახლოვებით და მაშინდელი გორის ქუჩები კი, მეტადრე ზამთარში და გაზაფხულზე გაუვალ ტა-

---

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, რჩეული მოთხრობები, 1951, გვ. 89—90.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 92—93.

ლახების გუბეებს წარმოადგენდნენ. ამიტომ ორშაბათობით წვივილ-კივილით სოსიკა ბიჭი აშოიყვანდა ხოლმე ხელში და მეორე მაარეზედ ჩემის კვირის საზრდოთი, გატენილ ხურჯინით, გადაკიდებული მიმაყენებდა პროკურორიანთ კარებზე და შაბათამდე ვეგდე იმ ჯურღმულში, რომელშიაც ქვრივი იდგა და ვეწეოდი დაუმსახურებელ საშინელ სასჯელს, რომელსაც მაშინდელ ენაზე სწავლა-წკრთნა ერქვა.

ჩემთან ერთად სწავლობდნენ კიდევ ორი ჩემი ხნის ბალღი და ეს სამი უბედური არსება, მთელის საათობით ვიზეპირებდით დიდი წიგნის „ხის კაზმიანი „დავითნის“ ფსალმუნებს. საღამოობით, დედა მაგდანი ქალიშვილებით „ლოტოზედ“ მიდიოდნენ და ჩვენ გვტოვებდნენ გამოყრუებულ ბებერ ბებიასთან. ნახევარზედ მშივრები ნოტიო და ბნელ ოთახში. ფშნის, ლიახვის და წისქვილის გუგუნით დაფრთხალნი, ერთმანეთს ვეყუჟებოდით და ტირილით დაოსებულთ, მიგვეძინებოდა“.[1]

დაშსახურებული მასწავლებლის გიორგი ნათაძის მიერ შეკრებილ ცნობებში აღწერილია მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასასრულისა და სამოციანი წლების დასაწყისში საქართველოში არსებული საშინაო სკოლები: მართა ნათაძის სკოლა სოფელ მერეთში, ანა ამილახვრისა—ცხინვალში, კურდღელაშვილისა—თელავში, ანა წერეთლისა—საჩხერეში, გვიტია მაჭავარიანისა—ს. ჩორვალში, ფურცელაძისა—ს. ტყისთავში, მაგდა რცხილაძისა—ს. შანშიანში, სოფიო ჯანაშვილისა—ს. ბოდბეში, პეტრე ხელაშვილისა—ს. ვაქირში, ჯავახიშვილისა—ს. ხოვლეში, მძინარაშვილის და სხვებისა[2].

გიორგი ნათაძე თავის მოგონებაში მისი დედის—მართა ნათაძის საშინაო სკოლის მოსწავლე გოგონების შესახებ ამბობს:

---

[1] საქართ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 2053.

[2] პროფ. გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, ტ. II, გვ. 116.

„როცა დაიღლებოდნენ კითხვით და წერით, ცოტას შეასვენებდა. მერე ატარებდა, სიარულს ასწავლიდა, რომ ტლანქად არ ებიჯებიათ და სიარულში სინაზე და სინარნარე ჰქონოდათ, მერე ასწავლიდა უფროსებთან სიტყვა-პასუხს, ზრდილობიან ლაპარაკს: მობრძანდი, დაბრძანდი, მიირთვი, ბრძანე, მადლობას მოგახსენებთ.

სახლში წასვლის წინ აალაგებდნენ ყველაფერს, სახლს დაგვიდნენ, წყალს მოიტანდნენ, შინ წასვლისას: მშვიდობით ბრძანდებოდეთ ოსტატ"[1].

ცნობილი მსახიობის კოტე დიმიტრის-ძე ყიფიანის მეუღლე ნინო ყიფიანი თავის მოგონებაში აღწერს გორის მაზრის სოფელ ძვიმლეთში არსებულ „ძალუა ერმონიას" (ანტონ ტატიშვილის ქვრივის) საშინაო სკოლას.[2]

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრიდან კარდანახში დიდი პოპულარობით სარგებლობდა „ბერიძის ქალის" საშინაო სკოლა. თ. ა. ბთავრიშვილი იგონებს: „დედაჩემი გაზრდილი იყო სოფლის ოსტატ დედაკაცთან, რომლისაგანაც შესწავლილი ჰქონდა მცირეოდენი ქართული წერა-კითხვა და საფუძვლიანად ხელსაქმე, რაიცა მაშინდელ დროს ჩვეულებად იყო ყოველი შეძლებული ოჯახის ქალისათვის. დედა ჩემმა კარგად იცოდა ჭრა-კერვა, ჩარსაკრავების და ქრელი წინდების მიქსოვა, ყაჯრის, ივრიშის და სუფრის მოქარგვა და სხვ. მაშინდელ დროს იგი ნასწაელ ქალად ითვლებოდა, ამიტომაც ჩვენი სოფლის შეძლებული ოჯახის პატარა ქალების ოსტატობას კისრულობდა.

ჩვენს ოჯახში ყოველწლობით ხუთი-ექვსი და ხშირად მეტიც ქალი გათხოვების დრომდის განუწყვეტლივ იყვნენ ხოლმე, ისინი მოდიოდნენ დილით, თან მოჰქონდათ თავიანთი სამყოფი საჭმელი, იღებდნენ მონაწილეობას ჩვენი ოჯახის დასუფთავება-დალაგებაში და თან სწავლობდნენ იმას. რაც დედა ჩემმა იცოდა. კარგად მახსოვს დედი ჩემის დარიგება,

---

[1] პროფ. გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, ტ. II, გვ. 223.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 116.

რომლითაც ის მიმართავდა ხოლმე ახლად შემოსულ მოსწავ-ლეს: „გახსოვდეს, ცოტა ილაპარაკე და მეტი გააკეთე, თო-რემ ბევრი ლაპარაკით პირი გაგიდიდდება და ლაშიანი შეი-ქნებიო“. ხანდახან როცა რომელიმე ყბედს შეატყობდა, რომ ცუღლუტობას იწყობდა, ე. ი. საქმეს ცოტას აკეთებდა და ბევრს ლაპარაკობდა, პირს დილითაც გაუზომავდა და საღა-მოთიც და ეტყოდა: „აი მეტის ლაპარაკით შენი პირი რო-გორ გაგანიერებულა“. ამ დროს დანარჩენი ამხანაგები გაშ-ტერებით შეცქეროდნენ შერცხვენილ ამხანაგს და ფუჩუნით ერთმანეთს ეუბნეოდნენ „მართალს ამბობს ოსტატი, დღეს მაგის ყბა არ შეჩერებულაო“.

ასე ასწავლიდა წერა-კითხვას და ხელსაქმეს დედა ჩემი, ვიდრე მოსწავლე ქალები სრული წლ̀ვანნი შეიქნებოდნენ. ამ შრომისათვის დედა ჩემი მცირე ჯილდოთი კმაყოფილდე-ბოდა: როცა მის მიერ გაწვრთნილი ქალი გათხოვდებოდა და ჯვარის საწერად მოემზადებოდა, საქმრო უეჭველად დედა ჩემთან მოვიდოდა, მადლობას გადაუხდიდა და საოსტატოზე გაურიგდებოდა. თუ სასიძო ღარიბი კაცი იყო, დედაჩემი ხუთ მანეთს ზევით არ მოსთხოვდა, თუ მდიდარი იყო თუმანს“[1].

მე-19 ს. 60-იან წლებში საშინაო სკოლა არსებობდა აგრეთვე სოფ. თამარაშენში, ივ. მაჩაბლის პაპისდის ელ. მა-ჩაბელი-დიასამიძის ხელმძღვანელობით.

საშინაო სკოლების გვერდით მეცხრამეტე საუკუნის პირ-ველ ნახევარში. როგორც თბილისში. ისე სხვა ქალაქებსა და დაბა სოფლებში ფეხს იკიდებდნენ ე. წ. მოხეტიალე მასწავ-ლებლები, რომლებსაც ქირაობდნენ ორი - სამი თვით ან მეტი ხნით. მათ აძლევდნენ ბინას, უზრუნველყოფდნენ კვებით. გარდა ამისა, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მრა-ვალ ქართულ ოჯახში ბავშვებისათვის ჰყავდათ რუსული და ევროპული ენების მასწავლებლები. ასე, მაგალითად დიმიტრი

---

[1] ავტობიოგრაფიის დედანი ინახება პროფ. ტროფიმე ხუნდაძესთან, რომელსაც აღნიშნული მასალით სარგებლობის ნებართვისათვის ულრმეს მადლობას მოვახსენებთ—რ. ს.

ორბელიანი მე-19 საუკ. ოცდაათიან წლებში თბილისიდან სწერდა ბწერალ ალექსანდრე ორბელიანს: „მაიკოსთვისა, შენი ქალისთვის და ლიზასთვის ოსტატი ბიჭირავს რუსის ქალი და წიგნსა სწავლობენ. ასე ლამაზად კითხულობენ და სწერენ რაც შეეფერება და ლაპარაკობენ რუსულად"[1].

ზემოაღნიშნული საშინაო და საეკლესიო-სამონასტრო სკოლების სასწავლო მუშაობის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სკოლებში ისწავლებოდა ქართული ენა; არითმეტიკა, ქართული ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია და ხელგარჯილობა. სავადასხვაგვარი იყო ცოდნის მოცულობა, რასაც ამ საგნების სწავლის დროს იძენდნენ აღნიშნული სკოლების მოსწავლეები, მაგრამ, უდავოა, რომ ამ საგნების სწავლება უმეტეს შემთხვევაში მათი საწყისებით იფარგლებოდა.

ასეთი იყო ზოგადად სწავლების შინაარსი ყველა საშინაო სკოლასა და ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში მე-19 ს. პირველი ნახევრის საქართველოში. ასე იყო იმ ცოდნა-ჩვეულების ჯამი, რასაც სოფლის ქალიშვილები იძენდნენ აღნიშნულ სკოლებში. ამ ცოდნით შედიოდნენ ისინი ცხოვრებაში და ბევრი მათგანი, თავისი ხანგრძლივი შრომისა და გამოცდილების პროცესში ამდიდრებდა მას იმდენად, რომ ხანდაზმულობის ჟამს თვით იწყებდნენ სოფლის საშინაო სკოლებში მასწავლებლობას.

სოფლის საშინაო სკოლების მასწავლებელთა ასეთი ელემენტარული მომზადების პრაქტიკა გრძელდებოდა მე-19 ს. მეორე ნახევრის დასაწყისშიც, მაგრამ სახელმწიფო, საზოგადოებათა და სასულიერო სასწავლებელთა კვალიფიციური პედაგოგების რიცხვის ზრდა თანდათან აკლებდა საშინაო სკოლებსა და მათ მასწავლებელთა რიცხვს და მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საბოლოოდ შეწყდა მისი არსებობა საქართველოში.

---

[1] საქართვ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 328.

3. ქალთა კერძო პანსიონები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქალთა პედაგოგიური განათლების გავრცელებისა და სამასწავლებლო მოღვაწეობისათვის მათი მომზადების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალთა კერძო პანსიონები, რომლებიც უმთავრესად ქ. თბილისში არსებობდა.

ამ პანსიონების უმრავლესობა სრულ საშუალო განათლებას არ აძლევდა თავის მოსწავლეებს. არც სპეციალურ პედაგოგიურ დისციპლინებს ასწავლიდნენ ამ დაწესებულებებში, მაგრამ ზოგადი განათლების მინიმუმი. რომელსაც იძენდნენ კერძო პანსიონების მოსწავლე ქალები და ე. წ. „პედაგოგიური საუბრები", რომლებსაც ისინი ისმენდნენ სწავლის უკანასკნელ წლებში, საკმაოდ იყო მიჩნეული იმისათვის, რომ მათ პანსიონის კურსის დასრულების შემდეგ დაწყებითი სკოლების მასწავლებლობა ეკისრათ, ან საშინაო მასწავლებლობა დაეწყოთ.

ერთგვარ წარმოდგენას აღნიშნული ზოგადი განათლების მინიმუმზე გვაძლევს ქალთა კერძო პანსიონების სასწავლო გეგმები და პროგრამები, რომლებიც კი ჩვენს დრომდე შემონახულა. რაც შეეხება „პედაგოგიურ საუბრებს", უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ არ ჰქონია სავალდებულო ხასიათი და, მაშასადამე, ყველგან და ყოველთვის ეს საუბრები არ ტარდებოდა. მათი შინაარსის შესახებ არ შეგვიძლია ვთქვათ რაიმე არსებითი, ვინაიდან ასეთი საუბრების არც პროგრამა, არც ნიმუში არ დარჩენილა, მხოლოდ მოგონებებით ვიცით, რომ ასეთ საუბრებს ადგილი ჰქონდა ზოგიერთ კერძო პანსიონში და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი უმეტეს შემთხვევაში ეთიკურ და მეთოდიკურ ხასიათს ატარებდა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, კერძოდ, ქ. თბილისში არსებული ქალთა კერძო პანსიონების მუშაობის შინაარსის გარკვევის საქმეში შეიძლება ბევრი რამ იყოს სადავო და შესამოწმებელი, მაგრამ არავის არ შეუძლია იმ ფაქტის უარყოფა, რომ ამ პანსიონებში აღზრდი-

ლი ქალიშვილების უმრავლესობა პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა დაწყებით სკოლებში ან კერძო მასწავლებლობის სახით. ამიტომ საჭიროდ მაგვაჩნია გავეცნოთ რამდენიმე კერძო პანსიონს, რომლებშიც მომავალი პედაგოგი ქალები იზრდებოდნენ.

* * *

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ მრეწველობისა და საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით, განვითარებას იწყებს სახალხო განათლებაც. სწავლისადმი მისწრაფება ფეხს იკიდებს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. ქალთა მოღვაწეობის ასპარეზს უფრო მეტად სახალხო განათლება წარმოადგენდა.

მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწეები ერთსულოვნად მოუწოდებდნენ ქართველ მოსახლეობას — აღეზარდათ თავიანთი ქალწულები დროის მოთხოვნილებათა მიხედვით და, პირველ ყოვლისა, მიეცათ მათთვის ჯეროვანი ზოგადი განათლება: მეცნიერებათა საწყისები, რუსული და ფრანგული ენები, ხელოვნება, კერძოდ, მუსიკა, ევროპული ცეკვები, სიმღერა და სხვ.

სახელოვანი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი პოლონეთში ყოფნის დროსაც კი არ ივიწყებდა ქართველ ქალწულთა ევროპული განათლების აუცილებლობას და 1834 წელს პოლონელ ქალთა კულტურული ყოფაცხოვრების გაცნობის შედეგად თავის ნათესავ ქალს, მანანა ორბელიანს სწერდა:

„როდის იქნება ჩუენც ასე ვიცხოვროთ კაცურად... მარამ ჯერ უშკოლონი და უბიბლიოტეკონი ვართ, მანანავ!... შენ ქალს კარგი ზრდილობა მიეცი. ვიცი ბევრნი დაგძრახამენ, რომ შენმა ქალმა სიმღერა ისწავლოს, მარამ ნურას დასდევ. წავიდა ის დრო, როდესაც ჩუმათ ყოფნა და კნავილით ლაპარაკი დიდ ზრდილობათ მიაჩნდათ“[1].

---

[1] გრ. ორბელიანი, წერილები, 1936 წ., ტ. I, გვ. 22

მაგრამ ამ დროს საქართველოში ქალთა ოფიციალური სკოლები არ არსებობდა და მათ მაგივრობას ქალთა კერძო პანსიონები ასრულებდა. ასეთები იყო: პრასკოვია ახვერდოვას, მატილდა კასტელას, ევგენია ფავრის, ფლორენცინა იანსკაიას, ეფ. ამბარდანოვას[1], ფელიქსის, დანილევიჩ-მორდვინოვას, პერეირასა და სხვა პანსიონები.

გაეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

ა) ახვერდოვას პანსიონი

1807 წლიდან 1811 წლამდე საქართველოს მმართველის თანამდებობა ეკავა გენერალ-მაიორ თევდორე იასის-ძე ახვერდოვს. ცხოვრობდა იგი თბილისში შაშინ „მტკვრის პირად იმ ადგილას, სადაც იყო როსტომ მეფის მიერ აზიურ სტილზე აგებული დიდებული სასახლე"[2].

1812 წელს თევდორე ახვერდოვმა ქალაქ პეტერბურგში შეირთო მეორე ცოლი პრასკოვია ნიკოლოზის ასული არსენიევა.

„პრასკოვია არსენიევა,—გვიამბობს მისი ქალიშვილი.— მამით ეკუთვნოდა ძველი დროიდანვე იმ სახელგანთქმულ არსენიევების გვარს, რომელმაც რუსეთს არაერთი და ორი ცნობილი მოღვაწე მისცა და მათ შორის მ. ი. ლერმონტოვიც"[3].

პრასკოვია ნიკოლოზის ასულს პეტერბურგში მრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული, იგი კარგად ხატავდა. უყვარდა მუსიკა და ლიტერატურა.

1816 წელს, როცა ა. პ. ერმოლოვი „საქართველოს პროკონსულად" დანიშნეს, თევდორე ახვერდოვიც წამოვიდა საქართველოში, ცალკე ქართული პოლკის არტილერიის უფროსად.

---

[1] ცსსა, ფ. 422, აღწ. I. არქ. № 125.

[2] პროფ. მ. პოლიევქტოვი და პროფ. გ. ნათაძე. ძველი ტფილისი, 1930, გვ. 69.

[3] ჟურ. „Исторический Вестник", 1910. № 6.

პრასკოვია ნიკოლოზის ასული თან წამოიყვა ქმარს თბილისში. მალე „დასავლეთის ხევში, ნაკადულ სოლოლაკთან“ ახვერდოვებმა ძვირფასბაღიანი სახლი ააგეს. ალექსანდრე ჭავჭავაძე და თეოდორე ახვერდოვი ნათესავები იყვნენ. მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათ წლებში ჭავჭავაძენი ახვერდოვების სახლის ფლიგელში იდგნენ.

დარია თეოდორეს ასული ახვერდოვა-ხარლამოვისა წერს: „თავად ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძეს, რომელიც დედაჩემთან ერთად ჩემი დის სოფიოს და ძმის ეგორუშკას აპეკუნი იყო, ეჭირა არც ისე დიდი ფლიგელი ჩვენი სახლის გვერდით. აქ ცხოვრობდნენ თავადის დედა, მეუღლე სალომე და შვილები ნინო, კატინკა და დავით. ბავშვები მთელი დღეობით იყვნენ ხოლმე ჩვენთან. ხოლო კატინკა კიდევაც ცხოვრობდა ჩვენსა“[1].

1820 წლის აპრილში პრასკოვია ნიკოლოზის ასული დაქვრივდა. გულის გადასაყოლებლად და მატერიალური პიროობების გასაუმჯობესებლად მან პატარა პანსიონი გახსნა.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავისი შვილები პატარა ნინო, შემდეგ ეკატერინე და დავითიც ახვერდოვას ქალს მიაბარა აღსაზრდელად.

ამავე პანსიონში იზრდებოდნენ: პრასკოვიას გერები სოფიო და ეგორი, ანა ანდრიას ასული ახვერდოვა, მარიამ ივანეს ასული ორბელიანი, სოფიო ივანეს ასული ორბელიანი. ბარბარე გიორგის ასული თუმანიშვილი, პანსიონის გამგებლის ქალიშვილი დარია და სხვები“[2].

დარია თეოდორეს ასული ახვერდოვა-ხარლამოვისა შემდეგს წერს ამ პანსიონზე:

„არ ვიცი სად მასწავლებლობდნენ, ან რა გვარისანი იყვნენ, ვიცი რომ ერთს აკაკი კონდრატიევიჩ ერქვა, მეორეს

---

[1] ი. ანდრონიკაშვილი საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში, 1953, გვ. 214.

[2] იქვე.

აქვსენტი ტრიფონოვიჩ და სხვა აფანასი ივანოვიჩ გიაცინ-ტოვი.

მუსიკას კაპელმეისტერი სოკოლოესკი გვასწავლიდა, ფერ-წერას თვითონ დედა გვასწავლიდა, პორტრეტისტი და მი-ნიატურების ჩინებული მხატვარი.

პატარა დავით ჭავჭავაძეს ჰყავდა გუვერნიორი მ. რა-ვერუ. იმ ფლიგელის სივიწროვის გამო, რომელიც ჭავჭავა-ძეებს ეჭირათ, გუვერნიორი და მისი ქალი ეოზეფინა ჩვენ-თან ცხოვრობდნენ და თეორიულად და პრაქტიკულად გვა-მაცადინებდნენ ფრანგულ ენაში.

ამასთანავე დაახლოებით 1826 წელს თბილისში ბევრი ფრანგი ჩამოვიდა, რომელთაც აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სა-პაიო ამხანაგობა დააარსეს. მთავარი კამპანიონი მ. დიულო ჩვენს სახლში იდგა, ხშირად შემოდიოდა ჩვენსა და ამით ხელს უწყობდა ჩვენს წარმატებას ფრანგულ ენაში.

ცეკვას მშვენიერი ქალბატონი კასტელა გვასწავლიდა, ერთ-ერთ მსხვილი მეპაიეს მეუღლე. ცხენოსნობას მთელი უფ-როსი ასაკი მისდევდა. ჩვენი, პატარების განკარგულებაში ცხენები მიოლოდ კავალკადის დაბრუნების შემდეგ გადმო-დიოდა, ცოტა ხნით ეზოში გასასეირნებლად"[1].

პანსიონერებთან მეტად დაახლოებული იყო ახვერდო-ვების ოჯახის ძველი მეგობარი, დიდი რუსი მწერალი ალე-ქსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვი. დარია ახვერდოვა-ხარ-ლამოვისა გვიამბობს: „ჩვენთვის უმცროსი თაობისათვის უკ-რავდა გრიბოედოვი ცეკვებს... თუ უცხო სტუმრები არ იყვნენ, სადილის შემდეგ სადარბაზო ოთახში გავიდოდა და იტყოდა: „აბა ბავშვებო, იცეკვეთ". იქ ისე დაჯდებოდა, რომ ჩვენი მოუხეშავი ცეკვისათვის ეცქირნა. ცეკვები ყოველთვის მისი შეთხზული იყო... ეს ცეკვები ძალიან სასიამოვნო და რთული იყო. შემდეგ სხვა იმაროვიზაციაზე გადადიოდა და ზოგჯერ მთელი საღამო არ მოშორდებოდა როიალს"[2].

---

[1] ი. ანდრონიკაშვილი, საქართველო მ. ლერმონტოვის შე-მოქმედებაში, 1953, გვ. 246.

[2] იქვე, გვ. 245.

1830 წელს პრასკოვია ახვერდოვას საქართველოდან წასვლის გამო პანსიონი დაიხურა.

ბ) კასტელას, ფელიქსის, დანილევიჩ-მორდვინოვას და პერეირას პანსიონები

პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ახვერდოვას საქართველოდან წასვლის შემდეგ ახვერდოვების ქვის სახლი და მის გარშემო მყოფი ხეხილის ვრცელი ბაღი ლატარიით ერგო კომერსანტ კასტელას მეუღლეს მატილდას.

1830 წლის 11 ივლისს საქართველოს მთავარმართებელმა პასკევიჩმა შუამდგომლობა აღძრა თბილისში „მცირეწლოვან კეთილშობილ ქალიშვილებისათვის“ პანსიონის გახსნის ნებართვის შესახებ. იგი თბოულობდა, რომ ამ მიზნისათვის ყოველწლიურად გაღებულიყო 2500 მანეთი.

სათანადო განკარგულებას არ დაუგვიანებია და იმავე წელს გაიხსნა პანსიონი. მის სათავეში დანიშნულ იქნა მატილდა კასტელა, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის ეკატერინეს სახელობის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი.

„მატილდა კასტელას პანსიონში იზრდებოდნენ ეკატერინე ჭავჭავაძე, ელენე და მარიამ ორბელიანები, მარიამ ერისთავი, სოფიო ორბელიანი, ჩემი მეუღლე — და მიხეილ სუმბათაშვილისა“.[1]

პანსიონმა ორი წელი იარსება. 1832 წელს კასტელას ქვრივი გათხოვდა და თბილისიდან წავიდა.

1832 წლის პირველ თვეებში, ახვერდოვების სახლშიევ, მატილდა კასტელას შემდეგ პანსიონს ხსნის თბილისის გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებლის მეუღლე ეკატერინე ფელიქსი.

1832 წლის „თბილისის უწყებებში“ ვკითხულობთ: „ცოლსა ფრანციულის ენის უჩიტლისა ტფილისის გიმნაზიასა შინა ტიტულიარნის სოვეტნიცასა ეკატერინე ფელიკსა, რომელიც მოვიდა ეხლახან ქალაქსა ამას შინა, აქვს პატივი განუცხა-

[1] Из архива К. Е. Андреевского, Одесса, 1913, გვ. 110.

დოს საზოგადოებას, რომელ ამ მომავალს თვეებში გაიხსნება მის შიერ სწავლების კლასები დილით 9 საათიდან საღამოს 4 საათამდე კეთილშობილთა ქალთათვის და ასწავლის ენებს, აგრეთვე საგნებსაცა, რუსულად, ფრანციულად და ნემეცურად და მუზიკასაცა. უკეთუ ჰსურთ ვისმე ქართულსა ან სომხურსა, ამ ენებსაც, როდესაც რიცხვი მოწაფეთა იქნება თორმეტი, მაშინ მოუმატებს ტანცაობის კლასსაცა კვირაში ერთხელ. ვისაცა ჰსურდეს მიცემა შვილთა თვისთა აღსაზრდელად, მას ძალუძს ნახოს იგი სახლსა შინა ახვერდოვისა".[1] ეკ. ფელიქსის პანსიონმა რამოდენიმე თვე იარსება.

* * *

ეკატერინე ფელიქსის პანსიონს 1832 წელსავე შეენაცვლა დანილევიჩ-მორდვინოვას პანსიონი.

როგორც მთავარმართებელ როზენის მიერ 1832 წლის 2 ივლისს წარდგენილი მოსსენებიდან ჩანს, აღნიშნული პანსიონი სუბსიდირებული ყოფილა წლიურად 2.500 მანეთით (ვერცხლით). ამ თანხით პანსიონის გამგეს უნდა აღეზარდა მთავრობის მიერ შერჩეული ექვსი ქალი ადგილობრივ რუს მოხელეთა და თავადაზნაურთაგან.[2]

დანილევიჩ-მორდვინოვას პანსიონში პირველ წელს რვა მასწავლებელი და 21 მოსწავლე გოგონა იყო. სახაზინო ხარჯით სწავლობდა ერთი ქართველი, ორი სომეხი და სამი რუსი. თავიანთი ხარჯით კი სწავლობდნენ ქართველი — 1. სომეხი — 8, რუსი — 6. შემდეგ წლებში მოსწავლე გოგონების რიცხვმა იმატა.

პანსიონში ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, საერთო და რუსეთის ისტორია და ფრანგული ენა.

დანილევიჩ-მორდვინოვას პანსიონში ჰყავდა შიბარებული მანანა ორბელიანს (1808—1870) თავისი ქალიშვილი — ანასტასია. 1835 წელს მანანა აქის გაგზ თბილისიდან სწერდა

---

[1] ტფილისის უწყებანი, 1832, № 5.

[2] „Акты", IV ტ., გვ. 96.

გრიგოლ ორბელიანს: „ჩემი შვილები პირს გკოცნიან, ივანე პანსიონში მყავს და სწავლობს. ფრანციცულს კი ლაპარაკობს ცოტად და სუერს. კითხვითაც კითხულობს, ქალიც მადამ დანელოვიჩთან მყავს წელიწადში 25 მანეთს მართმევს თეთრს ფულს, ისიც სწავლობს, მაგრამ ივანეს გონება კარგი აქვს, ვინემ ტასოს“.[1]

დანილევიჩ-მორდვინოვა პანსიონს მართავდა 1838 წლამდე. 1838 წელს მთავარმართებელმა გოლოვინმა თბილისის ქალთა პანსიონის გამგედ დანიშნა ფრანგული ენის მასწავლებლის მეუღლე--ანა პერეირა. იმის გამო, რომ სახელმწიფო ხარჯზე მყოფ პანსიონერ ქალთა რიცხვი 14-მდე გაიზარდა, ანა პერეირა თხოულობდა სუბსიდიის მომატებას სამიათას მანეთამდე, ნაცვლად აქამდე დადგენილი 2.500 მანეთისა. სუბსიდიის გაზრდასთან ერთად გათვალისწინებული იყო პანსიონერთა რიცხვის გაზრდა სამოც მოსწავლემდე. ახალი სასწავლო დაწესებულებისათვის სათანადო პროექტი შედგა და ორიოდე წლის შემდეგ პერეირას პანსიონის ბაზაზე ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი აღმოცენდა.

ბ) ფავრის პანსიონი

მე-19 საუკუნის 50-იანი წლების თბილისის ქალთა კერძო პანსიონებს შორის ყველაზე უფრო დიდ როლს თამაშობდა მადამ ფავრის პანსიონი.

ოდესის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ევგენია იაკობის ასული მარი[2] შემდეგში ფავრზე

---

[1] აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი ფონდი 155 (ბ).

[2] 1861 წლის გაზეთ „დროების“ № 421-ში მოთავსებულია ნეკროლოგი აკად. ნიკო მარის მამის შესახებ, რომელშიაც ვკითხულობთ, რომ „იაკობ პატრიკის-ძე წარმოშვებით ინგლისელი (შოტლანდიელი) გახლდათ მამა მადამ ფავრისა, რომელიც ვორონცოვის დროს საქალებო ზავედენიის გამგებელი იყო თბილისში“.

მკვლევარ სოლომონ ცაიშვილის მიერ პირადად გადმოცემული ცნობით, ევგენია იაკობის ასული მარის (ფავრის) დედა ფაგუსტა ყოფილა ტობით ესპანელი, რომელიც 1822 წელს ჩამოჰყოლია საქართველოში მის ქმარს იაკობ პატრიკის-ძე მარს, მამია გურიელის აგრონომს. მას მარისაგან ევგენიას გარდა ჰყოლია კიდევ ერთი ვაჟი ივანე. ფაგუსტას გარდაცვალების შემდეგ, იაკობ პატრიკის ძე მარს შეურთავს მეორე ცოლი გურული ქალი, რომლისაგანაც ჰყავდა ვაჟი ნიკო—შემდეგში ცნობილი მეცნიერი.

გათხოვილი, 1847 წ. დანიშნულ იქნა თბილისში ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის კლასის დამრიგებლად.

ამ თანამდებობაზე მან 1854 წლამდე დაჰყო.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ ოჯახური პირობების გამო ევგენია ფავრმა 1854 წლის სექტემბერში ითხოვა აღნიშნული ინსტიტუტიდან განთავისუფლება.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი განთავისუფლების შესახებ მირთმეულ თხოვნაში ევგენია ფავრი აღნიშნავდა, რომ მატერიალური პირობები აიძულებს მას გახსნას თბილისის ქალთა კერძო პანსიონი. თხოვნას თან დართული ჰქონია ევგენია იაკობის ასულ ფავრის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობის საფუძველზე, 1854 წლის 1 სექტენბერს კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსის გენერალ რიადის განკარგულებით, ტიტ. სოვეტნიცას ევგენია ფავრს დაერთო ნება გაეხსნა თბილისში ქალთა კერძო პანსიონი.

პანსიონის ბინად ფავრს აურჩევია კუკია, მტკვრის ნაპირზე, ბელიაევის სახლი. 1854 წლის 1 ოქტომბერს მოხდა ხსენებულიპანსიონის გახსნა.

გაზეთი „კავკაზი“ აღნიშნული პანსიონის გახსნის გამო წერდა: „ქალბატონი ფავრი, ცნობილი თავის განათლებით, ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის ყოფ. დამრიგებელია... მან პანსიონის გახსნა განიზრახა, რომლის ნებართვა უკვე მიიღო. ოფიციალური გახსნა 1 ოქტომბერს მოხდა. უკვე თავმოყრილი იყო 15 გოგონა. წლიური გადასახადი 210 მან. ვერცხლით. მოთავსებულია კუკიაში, მტკვრის ნაპირზე, ბელიაევის სახლში. ისწავლება: საღვთო სჯული, არითმეტიკა, გეოგრაფია, ისტორია, რუსული, ფრანგული, ქართული, სომხური, სუფთა წერა, ცეკვა, მუსიკა, ხელსაქმე. გამგეს განზრახვა აქვს აგრეთვე შეასწავლოს დიასახლისობა მომავალ დედებს“.[1]

---

[1] გაზ. „Кавказ“, 1854.

მოსწავლეთა რიცხვი უმალვე 47-მდე ასულა. პანსიონი მაშინ ორკლასიანი იყო.

ორიოდე წლის შემდეგ ევგენია ფავრის ბინა გამოუცვლია და პანსიონი გადაუტანია გოლოვინის (ეხლა რუსთაველის) პროსპექტზე ვინმე მოხელე სტელეცკის სახლში. პანსიონში სწავლება შემდეგ შვიდწლიანი გამხდარა.

1858 წლის 16 თებერვალს ანასტასია მიხეილის ასულ თუმანიშვილი-წერეთლისა, შემდეგში ცნობილი საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ამ პანსიონში იქნა მიბარებული. 1862 წლიდან 1868 წლამდის ამ პანსიონში სწავლობდა აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი.

ეკატერინე გაბაშვილი თავის მოგონებებში ასე აგვიწერს მის მიყვანას ფავრის პანსიონში: „მაპაჩემმა ვერ გამიმეტა დახურულ პანსიონში მისაბარებლად, სადაც წლის წლამდე ბავშვები ტუსაღებივით დამწყვდეულები იყვნენ და კერძო პანსიონში მომათავსა.

მადამ ფავრის პანსიონი მოთავსებული იყო... საუკეთესო დიდ სახლში. მადამ ფავრმა ზემო სართულში მიგვიღო, სადაც გაგვაკვირვა მშვენიერმა მორთულობამ. ამისი კაბინეტი ხომ ძეფური სიმდიდრითა და გასაოცარი გემოვნებით იყო მოწყობილი.

მე მთლად სოფლელი ტინგიცა. ვიყავი, თავისუფლად აღზრდილი, ყოველ დისციპლინას მოკლებული, არ ვიცოდი რუსული ლაპარაკი. დაკარგულივით ვგრძნობდი თავს და პირდაღებული ვათვალიერებდი ამ მშვენიერ ოთახს: იატაკზე გაშლილ ძვირფას ხალს, აქა-იქ მოწყობილ წაკერ მუთაქა-ბალიშებს და დიდრონ მცენარეებს, რომლებიც ოთახის კუთხეებში იყო მოთავსებული და მაღალ ჭერში ჩამოკიდებულ ბროლის ხომლის გარშემო მწვანე თაღსა ჰკრავდნენ.

გამგემ გულთბილად მიგვიღო, ალერსითა და დიდის ზრდილობით ელაპარაკებოდა მამაჩემს და არწმუნებდა, რომ იმისი ხეპრე გოგონა პანსიონში ისე იქნებოდა, როგორც თავის სახლში და აუარებელ კეთილშობილ ქალს შორის მექ-

ნებოდა გართობა და ვარჯიშობა, რომ ჩინებული მასწავლებელნი და აღმზრდელნი მეყოლებოდა და ათასი სავა დაპირება... შემოსულ მორთულ მოახლეს ჩამაბარა. „წაიყვანე ეს ბალღი და სულ ქვემო სართულში, პირველ ოთახში, პირველ განყოფილებაში ჩააბარე მადმაზელ ლუკინას, უთხარი, რომ მე უბრძანებ გამოსცადოს და თავისი ადგილი მიუჩინოს.[1]

ფავრის პანსიონში პედაგოგებად მუშაობდნენ განათლებული მოწინავე მასწავლებლები, რომელთა შორის იყენენ პოლონეთის აჯანყების გამო საქართველოში გადმოსახლებული პოლონელები. ე. გაბაშვილი გვიამბობს:

„მადამ ფავრის პანსიონი ძვირფას ნავთ-საყუდრად აღმომიჩნდა, იქ ვიპოვე საუკეთესო მეგობრები—აღმზრდელი ქალები და ფრიად განათლებული და ცნობილი მეცნიერნი; მასწავლებელნი.

...შესაძლებელია რომ ფავრის სურვილი იყო, აღეზარდა ქალიშვილები ამ დროინდელი ფრანგულის მეთოდით: „გრაცია, ტანცაობა, ფრანგული ლიკლიკი და ცოტა რამ. თვალსაჩვენებლად, მეცნიერების ნაგლეჯებიც, მაგრამ დრომ და გარემოებამ სულ სხვა მიმართულება მისცა იმის აყვანილ ბარტყებს“.[2]

ე. გაბაშვილის დაუბეჭდავ მემუარებში მოთბრობილია ფავრის პანსიონის მოწინავე მასწავლებელთა შესახებ. მწერალი ქალი იძლევა პროგრესულ პედაგოგთა მოკლე, მაგრამ მკვეთრ დახასიათებას:

„ჩემი სწავლა ფავრის პანსიონში მიმდინარეობდა 1862-დან 1868-მდინ, სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთი ახალი ცხოვრების ხანას განიცდიდა ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ. კავკასია, თუ ტფილისი უფრო, სავსე იყო გადმოსახლებულ მალაროსთა და პოლშელ ინტელიგენტებით და ეს გადმოსახლებულნი, როგორც გაჭირვებულნი, მატერიალურად იაფად და საჩქაროდ სთანხმდებოდნენ ყოველ სამუშა-

---

[1] ჟურ. „მნათობი“, 1938. № 8.

[2] საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმის ხელნაწერი $\frac{№ 2053}{4}$.

ოზედ და ფავრიც, როგორც დედაკაცი გამოცდილი და ეკონომიის მიმდევარი, უთუოდ სიამოვნებით ჰპატიჟებდა ამ იაფფასიან პედაგოგებს.

მე მახსოვს რომ ფავრმა რუსული ენის მასწავლებლად მოიწვია ვინმე ყმაწვილი, სამშობლოდან განდევნილი სილიტრენკო...

გარდა ამ სილიტრენკოსი, ამ მაშინდელ ცნობილ გონებამახვილი მწერლისა, პანსიონში თითქმის ყველა საგნის მასწავლებელნი, პოლშიდან გადმოსახლებული პროფესორები იყვნენ. გეოგრაფიისა სოსეისკი, ისტორიისა მსტისლავსკი. გულაკი,[1] ივანენკო და სხვები. გულაკი ცნობილი მეცნიერი

---

[1] ნიკოლოზ ივანეს-ძე გულაკი დერპტის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1846 წლის დასაწყისში ნ. ი. კოსტომაროვთან (შემდეგში ცნობილ ისტორიკოსთან) და ჟურნალ „ოსნოვაიას" რედაქტორთან ე. მ. ელოხერსკისთან ერთად აარსებს ბატონყმობის საწინააღმდეგო კონ:ილე-მეთოდეს პოლიტიკურ ორგანიზაციას. ამ საზოგადოების წევრი ხშირად გახდა გენიალური უკრაინელი მწერალი ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო.

1847 წლის მარტში საზოგადოება იქნა გაცემული, ხოლო საზოგადოების წევრები დაპატიმრებული. პეტერბურგში შეპყრობილი გულაკი პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს. გამოძიების დასრულების შემდეგ 1847 წლის 30 მაისს იგი 3 წლით შლისენბურგის ციხეში მოათავსეს და ასეულის მოხდის შემდეგ პოლიციის ჩაკეტილ მეთვალყურეობის ქვეშ პერმში გადაასახლეს.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოახერხა გულაკმა მიეღო ნებართვა სამსახურში შესვლისა. ოთხი წლის განმავლობაში იგი მუშაობდა: ოდესაში, ქერჩში, სტავროპოლში, 1863 წლიდან მასწავლებლობდა ქუთაისში და მერე კი თბილისში.

საქართველოში ყოფნისას გულაკმა გამოაქვეყნა რამდენიმე შრომა და თარგმანები ევროპულიდან. 1877 წ. თბილისში გამოვიდა მისი წიგნი „Опыт Геометрии о четырех измерениях" (საქართველოს სახელმწიფო ლიტერ. მუზეუმის ხელნაწერი № $\frac{2051}{4}$).

1884 წელს კრებულში „Сборник материалов по описанию местности и племен Кавказа". т. IV. 1881 г. მან მოათავსა შრომა „ვეფხისტყაოსნი"-ს შესახებ, 1886 წელს გულაკმა. თავი დაანება რა სამსახურს, დასტოვა თბილისი და დღევანდელ კიროვაბადში გადასახლდა, სადაც სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა. (გაზ. „Заря Востока", 1954, № 23).

იყო და ქართულ ცხოვრებას და ლიტერატურას დიდის დაკვირვებით სწავლობდა, თუ არ ვცდები 1866 წ. გიმნაზიის დარბაზში წაიკითხა ლექცია ვეფხის ტყაოსანზედ და მთელი ქართული საზოგადოების ყურადღება მიიზიდა. სხვათა შორის იმან თურმე სთქვა:—„მოვა დრო, როდესაც ,კაცობრიობა ამ უკვდავების წყაროს დიდის წყურვილით დაეწაფება და საეწუხაროა, რომ თვით ქართველი ახალგაზრდობა ნაკლებად სწავლობს თავის ფასდაუდებელ და იშვიათს სიმშვენიერით აღსავსე ძეგლს. ამ აზრის გამოთქმისათვის გულაკს კინაღამ აუკრძალეს მასწავლებლობა“.

ეკატერინე გაბაშვილის მიერ მოხსენებული უცხოელი პედაგოგების გარდა ფავრის პანსიონში ასწავლიდნენ შემდეგში ცნობილი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო ინაშვილი, ნიკო დედაბრიშვილი, პ. მელიქიშვილი და სხვები.

პანსიონს ეხმარებოდა ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილი, რომელიც რჩევა-დარიგებას აძლევდა ევგენია ფავრს და ყოველნაირად ცდილობდა აემაღლებინა პანსიონში სწავლების დონე და ავტორიტეტი. ეკ. გაბაშვილი გვიამბობს:

„დავით სარაჯიშვილი, როგორც ქარგი ნაცნობი და მეზობელი ჩვენი პანსიონის პირდაპირ იდგა, ურჩევდა ფავრს ამა თუ იმ მასწავლებლის მოწვევას და თვითონაც ხშირად ესწრებოდა გაკვეთილებს. ერთხელ იაკობ გოგებაშვილიც მოიყვანა ეგზამენებზე დასასწრებლად და მან დაგვირიგა უმცროს მოწაფეებს თავისი ახალი მეთოდით გამოცემული, პირველ დაწყებითი წიგნი, რომლითაც შემდეგში ეხელმძღვანელობდი გორში მასწავლებლობის დროს და დიდი სამსახურიც გამიწია“[1].

ქართული ენის მასწავლებლის — ნიკო ინაშვილის შესახებ ეკატერინე გაბაშვილი აღფრთოვანებით წერს თავის მემუარებში:

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტ. მუზეუმის ხელნაწერი № $\frac{2054}{4}$.

„თავისდღეში არ დამავიწყდება ნ. ინაშვილის უკანასკნელი, გამოთხოვების გაკვეთილის სიტყვები, წარმოთქმული ყმაწვილურის სიწრფელით, სასოებით: „ქართველი ქალი უნდა გახდეს ქვაკუთხედად, რომელზედაც უნდა აშენდეს. აყვავდეს და გამობრწყინდეს მომავალი ქართველის ერისა, ქართველმა ქალმა უნდა შვას, გააახლოს ის ნეტარი დრო, როდესაც დედაკაცის მოწყალებით, ჩვენის დიდი თამარის დროს, როდესაც სამშობლოს ქედი მოუხრელი იყო და გაბრწყინვებული მთელ აზიაში და რომელ დროსაც ნეტარებით შეჰხარის ყოველი ქართველის გული"[1].

ცნობილი ქართველი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, რომელმაც 1872 წ. დაასრულა ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. დაბრუნდა რა საქართველოში კანდიდატის ხარისხით, ერთი წლის განმავლობაში ბოტანიკას ასწავლიდა ფავრის პანსიონში.

ევგენია ფავრის პანსიონის დამსახურება საკმაოდ დიდია. ქართველი მწერლები, პედაგოგები და პუბლიცისტები ყოველთვის დადებით შეფასებას აძლევდნენ მას. სახელოვანი ქართველი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი წერდა: „მადამ ფავრის პანსიონმა, მოკლე ხნის არსებობაში, ქართული ენისა და ლიტერატურის გვარიანი სწავლის მეოხებით, გამოუზარდა ჩვენს ქვეყანას იმისთანა ნიჭიერი და თავისი სამშობლოს მცოდნე და მოყვარე პირი, როგორიც არის ეკატ. გაბაშვილისა"[2].

ფავრის პანსიონში ეკ. გაბაშვილის გარდა განათლება მიიღო ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ანასტასია მიხეილის ასულმა თუმანიშვილ-წერეთლისამ.

* * *

კერძო პანსიონები საქართველოს სხვა ქალაქებშიც არსებობდა (გორი, ქუთაისი, სოხუმი). კერძო პანსიონები,

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტ. მუზეუმის ხელნაწერი № $\frac{2051}{4}$.

[2] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1952, გვ 270.

ისე როგორც სხვა სკოლები, 1848 წლამდე საქართველოს (შემდეგ ამიერკავკასიის) მთავარმართებელის საბჭოს სასწავლო ნაწილს ექვემდებარებოდა, ხოლო 1848 წელს, როდესაც შეიქმნა კავკასიის სასწავლო ოლქი, მის გამგებლობაში გადავიდა.

კავკასიის სასწავლო ოლქის დაარსებამდე ქალთა კერძო პანსიონები უმეტეს შემთხვევაში დამოუკიდებელი სასწავლო გეგმითა და პროგრამებით მუშაობდა და მათ შორის არ იყო რაიმე თანამიმდევრობა. კავკასიის სასწავლო ოლქის ქვემდებარე სასწავლებელთა დებულებისა და თვით სასწავლო ოლქის დამტკიცების (1848) შემდეგ კერძო პანსიონებისა და სასწავლებლების მუშაობაში ერთგვარი სისტემა შეიქმნა: ზოგი მათგანი (ხელმძღვანელთა სურვილისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილების მიხედვით) 4-წლიან დაწესებულებად გადაკეთდა და უმთავრესად გიმნაზიების პირველი ოთხი კლასის (პროგიმნაზიის) სასწავლო გეგმით და პროგრამებით მუშაობდა, ხოლო ზოგი კი 7—8-წლიან სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებად იქნა გადაკეთებული და უმთავრესად გიმნაზიების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე აგებდა თავის მუშაობას. ამის შედეგად, ზოგიერთი 7—8-წლიანი კურსის კერძო პანსიონი კერძო გიმნაზიად გადაკეთდა (მაგალითად, ფავრის პანსიონი ჯერ იყო 4-წლიანი, შემდეგ 6-წლიანი, ხოლო 1875 წელს ის გადაკეთდა ქალთა კერძო გიმნაზიად).

ქალთა კერძო პანსიონები, მიუხედავად მათი უსისტემო და პედაგოგიურად მოუწესრიგებელი საალმზრდელო და საგანმანათლებლო მუშაობისა, მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა დაწყებითი სკოლების პედაგოგთა და კერძო მასწავლებელთა მომზადების საქმეში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ტიპის ანუ 7—8-წლიანი კურსის მქონე კერძო პანსიონები რუსული და ფრანგული ენების ჩინებულ ცოდნას აძლევდნენ თავიანთ მოსწავლეებს, რომლებიც შემდეგ წარმატებით ეწეოდნენ ამ საგნების მასწავლებლობას დაწყებით სკოლებში, პროგიმნაზიებსა და კერძო სასწავლებლებში.

4. ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი

მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში რუსეთის მსხვილი საგუბერნიო ქალაქების მსგავსად თბილისში დაარსდა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, შინამასწავლებელ პერეირას მეუღლის თაოსნობით არსებული ქალთა პანსიონის ბაზაზე. 1840 წლის 23 მარტს დამტკიცებულ იქნა ამ ინსტიტუტის წესდება[1]. პანსიონისათვის ყოველწლიურად განკუთვნილ 2.500 მანეთის გარდა, 1841 წლიდან ინსტიტუტს ყოველწლიურად დაემატა 21.500 მანეთის კრედიტი, შენობის გადასაკეთებლად კი ერთდროულად მიეცა 15.365 მანეთი ვერცხლით.

ინსტიტუტი განკუთვნილი იყო 80 მოსწავლისათვის, აქედან 60 მოსწავლე სახაზინო და 20 საკუთარ ხარჯზე. 60 ადგილიდან—40 ეთმობოდა ადგილობრივ უმაღლეს არისტოკრატიას, 20—კი სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში მყოფ მოხელეთა შვილებს.

საკუთარ ხარჯზე მყოფი მოსწავლისათვის წლიური გადასახადი იყო 150 მანეთი ვერცხლით.

ინსტიტუტი 6-წლიანი იყო და 3 კლასად იყოფოდა. თითო კლასი ორ-ორი წლის კურსს შეიცავდა.

თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი ფაქტიურად 1842 წლის იანვარს გაიხსნა. პირველად ინსტიტუტში ისწავლებოდა: საღვთო სჯული, არითმეტიკა, ისტორია და გეოგრაფია ზოგადი (განსაკუთრებით რუსეთის), ბუნებისმეტყველებიდან და ფიზიკიდან საჭირო ცნობები, რუსული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, ქართული ან სომხური ენა (სურვილისამებრ), სუფთა წერა, ხატვა, ხელსაქმე და ცეკვა.

ინსტიტუტს სათავეში ედგა ინსტიტუტის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა თავმჯდომარე, საბჭოს წევრები, მოლარე, კლასის დამრიგებლები, ავადმყოფების მეთ-

---

[1] „Акты", т. IX.

ვალყურე, ღვთისმეტყველების მასწავლებელი, ინსტიტუტის ეკლესიისა მღვდელი და მასწავლებლები.

1845 წლის „კავკაზსკი კალენდარის“ მიხედვით ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველო-იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი, გენერალ-მაიორი თავადი დიმიტრი თომას-ძე ჯამბაკურ-ორბელიანი. წევრები: ინსტიტუტის გამგე—ეკატერინე ივანეს ასული გრაბარჩი, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი, გადამდგარი შტაბსკაპიტანი თავადი მიხეილ პავლეს-ძე არღუთინელი-დოლგორუკოვი, ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორი ნადვორნი სოვეტნიკი ივანე გრიგოლის-ძე კულჟინსკი (იგივე ინსტიტუტის კლასთა ინსპექტორი), მღვდელმთავარი ლაზარე დავიდოვი. მასწავლებლები: ფილადელფინი, ფილიპინი, ბონასტირსკი, ზაქარია სტეფანეს-ძე ყორღანაშვილი და სხვ.

1852 წლის 12 თებერვალს სასწავლო საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი სტატსკი სოვეტნიკი კამერგერი ბარონი ნიკოლაი.

1852 წელს თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის სრული კურსი დაასრულა 15 მოსწავლე ქალმა, აქედან — 11-მა საველმწიფო და 4-მა საკუთარი ხარჯით.

1865 წლიდან ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის ზემოჩამოთვლილ საგნებს დაემატა პედაგოგიკა. ამიერიდან ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს საშინაო დამრიგებლისა და მასწავლებლის წოდება ენიჭებოდა.

1866 წლის 1 ივნისისათვის გამოშვების კანდიდატები იყვნენ შემდეგი მოსწავლე ქალები: სახელმწიფო ბარჯზე მყოფნი: 1) ასტაფიევა ლიდა, 2) არღუთინელი-დოლგორუკოვა მარა, 3) გარტვიეი ლიდია, 4) ნიკიფოროვი ლიუბა, 5) თუმანიშვილი ნინა. საკუთარ ხარჯზე მყოფნი: 1) არღუთინელი-დოლგორუკოვა ელისაბედი. 2) ბაგრატიონ-მუხრანელი სოფიო, 3) ბეჟანოვი სოფიო, 4) ბენეკკაია მარიამი, 5) ბენეტი მარიამი, 6) ვრიონილი ლიუდმილა, 7) გარტვიხი ეკატერინე, 8) გალუბკოვა ნინო, 9) გასნევსკაია იულია, 10) ყორღანაშვილი

სოფიო, 11) ლიპინსკაია იზაბელა, 12) მორიცი ადელაიდა, 13) გასევიჩი იულია, 14) ნიკოლაევა ლიდია, 15) პოჟარსკაია ლიუბა, 16) ხაპროვა ელისაბედი"[1].

1870 წელს ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობამ კვლავ განიცადა ცვლილება. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი ქართველი მწერალი გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი, საბჭოს წევრების შემადგენლობაში კი შევიდნენ: ინსტიტუტის უფროსი ალექსანდრა თეოდორეს ასული ჟულკინსკაია, კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი ისაკ თუმანიშვილი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანუარიი მიხეილის-ძე ნეველოვი და სხვ.[2]

სასწავლო ნაწილის გამგედ და კლასების ინსპექტორად დანიშნულ იქნა ქართული ენისა და პედაგოგიკის მასწავლებელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის კანდიდატი, „ჩერნიშევსკის ერთგული მოწაფე"[3] ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე (1833—1879).

ბესარიონ ღოღობერიძის დამსახურებას უნდა მიეწეროს ის, რომ 1874 წელს თბილისში ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში ისტორიის, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად დანიშნულ იქნა ცნობილი ქართველი პედაგოგი ნიკო ზებედეს-ძე ცხვედაძე (1845—1911).

„ცხვედაძემ, თავისი ჩვეული ენერგიული და ფართო ცოდნა-განათლებაზე დამყარებული პედაგოგიური მუშაობით არა ერთ ქართველ ქალს ჩაუნერგა ქალის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულების იდეა, შეაგნებინა ნამდვილი საფუძვლიანი ცოდნის მნიშვნელობა, გაუღვიძა და განუმტკიცა ცოდნის შეძენისა და შრომის წყურვილი და ამიტომაც ყველა მოსწავლისათვის საყვარელ მასწავლებლად იქცა.

---

[1] გაზ. „Кавказ," 1866, № 21.

[2] „Кавказский календар", 1870

[3] В. Басков, Мировозрение Чернышевского, 1956, გვ. 245.

ნიკო ცხვედაძის ცოცხალმა, მიმზიდველმა და შინაარსიანმა გაკვეთილებმა იმდენად დააინტერესა მოსწავლეები, რომ მათ შეუყვარდათ ისტორია, გეოგრაფია და პედაგოგიკა და მათი მომზადება ამ საგნებში ყოველთვის მაღალი შეფასების ღირსი ხდებოდა"[1].

ამ ინსტიტუტში ნიკო ცხვედაძემ სრული 23 წელი (1874—1897 წ. წ.) იმუშავა და ღირსეულად დამსახურებული პენსიის მილების შემდეგ თავი დაანება სახელმწიფო სკოლებში მასწავლებლობას.

ბესარიონ ღოღობერიძე ინსტიტუტში სხვა მუშაობასაც ეწეოდა:

თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტს 1869 წლამდე არ ჰყავდა საკუთარი პედაგოგიური პერსონალი. მისი მასწავლებლები რეგულარულად ვერ ატარებდნენ ინსტიტუტში გაკვეთილებს, რადგან ისინი ძირითადად ვაჟთა გიმნაზიებში ან კერძო პანსიონებში მუშაობდნენ. ინსტიტუტის სწორ და ნორმალურ მუშაობას ძალიან აფერხებდა ეს გარემოება და თუ სასწავლებელმა ასეთ პირობებში მაინც შეძლო არსებობა, ეს მიეწერება კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის სათავეში მდგომი უფროსი ზედამხედველი ქალის ღვაწლს და ამავე სასწავლებლის კლასების ინსპექტორის - ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძის ენერგიულ შრომას. ბესარიონ ღოღობერიძე ინსტიტუტში, როცა სასწავლებლის დაბალ კლასებს „პეპინიორკები"[2] არ ჰყოფნიდათ, სცვლიდა მათ და სანიმუშო გაკვეთილებს ატარებდა.

კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში 1869 წელს გატარდა რეფორმა, რომელმაც გაუზარდა მას ბიუჯეტი და საშუალება მისცა ჰყოლოდა საკუთარი პედპერსონალი.

ამიერკავკასიის (თბილისის) კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, როგორც აღვნიშნეთ, იყო დახურული ტიპის კარ-

---

[1] ვ. ქ ა ჯ ა ი ა, ქართველი პედაგოგები, 1955. გვ 19—20.

[2] „Пепиньерка"-ს მეფის რუსეთში ეძახდნენ ქალთა დახურულ ინსტიტუტში კურსდასრულებულს, რომელიც იქვე იყო დატოვებული პედაგოგიური პრაქტიკისათვის.

ჩაკეტილი სასწავლებელი. იქ გამეფებული იყო სასტიკი რეჟიმი. ადგილი ჰქონდა გოგონების ფიზიკურ დასჯასაც.

ხშირად ინსტიტუტის „კაზიონურ“, სულისშემხუთავ რეჟიმს ზოგიერთი მოსწავლე პროტესტით პასუხობდა. ერთ-ერთი ასეთი თავისებური პროტესტის შესახებ 1875 წლის 2 მაისს ანასტასია თუმანიშვილი შემდეგს წერდა თავის ძმას, მწერალ გიორგი წერეთელს:

„ჩვენში მხოლოდ იმაზე-ღა ლაპარაკობენ, ინსტიტუტში რომ პატარა ხანძარი მოხდა. ერთმა, თითქმის პაწია გოგონამ, ვინმე შენგერტმა, ცეცხლი წაუკიდა და თვითონ კი მამადავითისაკენ გაიქცა. რათა იქიდან ეყურებინა (როგორც თვითვე თქვა) როგორ აგიზგიზდება საძაგელი ინსტიტუტი. ჯერ აპირებდნენ ავადმყოფად გამოეცხადებინათ იგი, მაგრამ, როგორც ამბობენ, თურმე ისე ჭკვიანურად უპასუხებდა, რომ საქმე გამომძიებლისათვის გადაუციათ.

ბარონესაც (გახსოვს, კოჯორში ჩვენს გვერდით რომ გაიარა) ჩარეულია. თუმცა ცეცხლი მალე ჩააქრეს, მაგრამ ცეცხლის წაკიდების საბაბი ყველას აინტერესებს. ამბობენ. უფროსს[1] შემოუღია სასტიკი დასჯა და ამ ამბის წინ ეს გოგონა მეტად ბარბაროსულად დაუსჯია: თავი გაუპარსვინებია. რაღაც ბლუზა ჩაუცმევინებია ისე, როგორც პაპმა გრიგოლმა ჰენრიხი დასაჯა და სამი თუ ოთხი დღით პატარა მყრალ საკუჭნაოში დაუმწყვდევიათ ცარიელ პურსა და წყალზე. თუ ამ საქმეს არ მიაფუჩეჩებენ და მართლა საოლქო სასამართლოს გადასცემენ, ალბათ, მოსალოდნელია ინსტიტუტის რეფორმა, რადგანაც ეს საკითხი ყველას უნდა გულისხმობდეს“.[2]

ეს საქმე მართლაც „მიაფუჩეჩეს“, ინსტიტუტის რეჟიმი კელავინდებური დარჩა.

სასწავლო საგნების სწავლება თბილისის კეთილშობილ

---

[1] 1875 წელს ინსტიტუტის უფროსი იყო ქვრივი მარიამ ვასილის ასული კოლუბიაკინა.

[2] მ. ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი, საბავშვო ლიტერატურის მოამბე, 1941, გვ. 9—10.

ქალთა ინსტიტუტში მისი დაარსების პირველ წლებში არ იდგა ჯეროვან სიმაღლეზე. მხოლოდ ფრანგული ენა წარმოადგენდა გამონაკლისს.

1843 წელს ინსტიტუტი ინახულა გერმანელმა მოგზაურმა ავგუსტ ჰაკსტჰაუზენმა. თავისი მოგზაურობის წიგნში იგი წერს: „თბილისში ამჟამად უკვე არსებობს დიდი პანსიონი, სადაც ქართველი ქალიშვილები ფრანგულად ლაპარაკობენ და ორიგინალში კითხულობენ ბალზაკის რომანებს“.[1]

1844 წელს ინსტიტუტის მუშაობა შეამოწმა საგანგებო დავალებათა უწყების მოხელემ—ვანლიარლიანსკიმ.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ საგნების სწავლება არ იყო დაყენებული დამაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით კი რუსული ენისა. საგნები წვრილმანებით იყო გადატვირთული და მათი სწავლება არასწორი მეთოდებით ხდებოდა. ამის გამო სასწავლებელში დაქვეითებული იყო მოსწავლეთა განათლების დონე. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მოსწავლეებს ინსტიტუტში შესვლისას არ ჰქონდათ რაიმე ცოდნა, მოუმზადებელნი იყვნენ. ვანლიარლიანსკიმ საჭიროდ სცნო: ინსტიტუტთან გახსნილიყო მოსამზადებელი კლასები, გაძლიერებულიყო ადგილობრივ ენათა შესწავლა, გაუმჯობესებულიყო სწავლების მეთოდები. მან შეადგინა აგრეთვე ინსტიტუტის მასწავლებელთა ახალი შტატის პროექტი 160 აღსაჩრდელისათვის.

ვანლიარლიანსკის მიერ შედგენილი პროექტი მთლიანად ვერ იქნა განხორციელებული. ცვლილება შეეხო უმთავრესად ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობასა და მისი მართვის სისტემას, ინსტიტუტში ჩასარიცხ კანდიდატთა მიღების წესებსა და მისაღებთა ასაკის განსაზღვრას.

ინსტიტუტში მოსწავლე ქალების საკმაო ნაწილი ან სრულიად ვერ ფლობდა რუსულ ენას. ან—ძალიან სუსტად, სასწავლებელს კი აღნიშნული მოსამზადებელი კლასი არ გაუხსნეს. ამის გამო 1854 წელს თბილისის კეთილშობილ ქალთა ინს-

---

[1] „Закавказский край“, т. 1, გვ. 77.

ტიტუტის სასწავლო ნაწილის საბჭოში წარდგენილ იქნა პროექტი, რომლითაც სწავლების კურსი უნდა დაყვანილიყო პროგიმნაზიის კურსამდე, მაგრამ ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული, რადგან თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი მოწოდებული იყო გაევრცელებინა ქალთა საშუალო განათლება ამიერკავკასიაში.

საბჭომ მიიღო ქალთა მეორე თანრიგის სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამა და გააძლიერა რუსული ენის სწავლება. ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ ინსტიტუტის მოსწავლეთა კონტინგენტი თანდათან იზრდებოდა და თუ მისი დაარსების წელს მასში 59 მოსწავლე ქალი ირიცხებოდა, 1876 წელს მათი რიცხვი 150-მდე გაიზარდა.

მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდას ხელი შეუწყო აგრეთვე ინსტიტუტის გადასვლამ უფრო დიდ შენობაში (ძველი შადინოვის სახლიდან ინსტიტუტი გადავიდა თუმანიშვილის უფრო დიდ სახლში),

1862 წლის 17 ნოემბერს უმაღლესად დამტკიცებული განკარგულების თანახმად, 1863 წლის იანვარში ინსტიტუტი გადაკეთდა შვიდკლასიან სასწავლებლად. მასწავლებლებისა და „პეპინიორკების“ რიცხვი გაიზარდა. სასწავლო დისციპლინებს 1865 წლიდან პედაგოგიკასთან ერთად დაემატა ბუნებისმეტყველება. ქართული ენა საეალდებულო საგნად გამოცხადდა ადგილობრივ მცხოვრებთათვის, ხოლო სასწავლებელში მოსწავლეთა ახალი კონტინგენტის მიღება და კურსდასრულებულთა გამოშვება ორ წელიწადში ერთხელ კი აღარ ხდებოდა, არამედ ყოველწლიურად. ახალმა განრიგმა სასწავლებელი უფრო სწორ გზაზე დააყენა და საშუალება მისცა უფრო მეტად გაეცა პასუხი ცხოვრების მზარდი მოთხოვნილებებისათვის.

1866 წლის 16 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებულ იქნა ახალი შტატები ქალთა სასწავლებლებისა, რომელიც გავრცელდა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტზე. სწავლის ქირა წინათ არსებული 150 მანეთის ნაცვლად

200 მანეთამდე გაიზარდა. გადიდდა ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის დაფინანსება.

თუმანიშვილის სახლი 70-იანი წლების დასაწყისიდან მოსწავლეთა რიცხვის ზრდის გამო ვერ აკმაყოფილებდა ინსტიტუტის მოთხოვნილებას. დაიწყო ზრუნვა სასწავლებლისათვის შესაფერისი შენობის ასაგებად.

განზრახვის სისრულეში მოყვანამ საკმაოდ დაიგვიანა. სახელმწიფო ხარჯზე ინსტიტუტის შენობის აგება 225 მოსწავლისათვის დაიწყო მხოლოდ 1888 წელს.

1890 წლის 7 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში აკურთხეს ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის ახალი შენობა (ამჟამად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლა). ეს შენობა როგორც ფასადით, ისე შიდა მოწყობილობით: საკლასო ოთახები, საწოლი, სამასწავლებლო, სამლოცველო და სხვა სამეურნეო სათავსოებით, აგებული იყო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. 12 ოთახი დათმობილი ჰქონდა სამუსიკო კლასებს, თითოულ მათგანში თითო ფორტეპიანო იდგა და ოთახიდან ოთახში ხმა რომ არ გასულიყო, კედლები ქეჩით იყო აკრული.

ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტმა ამ შენობაში ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე იარსება.

5. წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები

ქალთა პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში სათანადო ადგილი ეჭირა თბილისის, ქუთაისისა და თელავის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლებს. ეს სასწავლებლები „წმიდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას“ ეკუთვნოდა, რომელიც ქ. თბილისში 1846 წელს დაარსდა. საზოგადოების მიზანი იყო ხელმოკლე ოჯახის ქალიშვილთა გასათვითცნობიერებლად ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში სასწავლებლების დაარსება.

1846 წლის 17 დეკემბერს დამტკიცებული წესდებით[1] წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას უფლება ეძლეოდა გაეხსნა ქალთა სასწავლებლები. საქართველოს ტერიტორიაზე 40-იან წლებში მან, მართლაც გახსნა 3 სასწავლებელი თბილისსა და ქუთაისში, ხოლო 1865 წელს—თელავში.

საზოგადოების გამგეობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე ელისაბედ ქსავრის ასული ვორონცოვა, ვიცე თავმჯდომარე თამარ იულონის ასული ბატონიშვილი. გამგეობის წევრები: სალომე ივანეს ასული ჭავჭავაძე, ელისაბედ ქრისტეფორეს ასული კოხანოვა, ბარბალე ბაგრატის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი, ევრედიკა გრიგოლის ასული საფაროვა და სხვ.

ა) თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი

1846 წლის 5 მაისს, ქ. თბილისში, ამჟამად შიო ჩიტაძის ქუჩაზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი.

ამ სასწავლებელში სწავლის უფლება ეძლეოდა ყველა წოდების ქალს.

სასწავლებელი 6-წლიანი იყო. შეიცავდა 2 კლასს, თითოეულს სამ-სამი განყოფილებით. ამგვარად, თითო განყოფილებაში სწავლა ერთ წელს გრძელდებოდა. შემდგომში ეს განყოფილებები დამოუკიდებელ კლასებად გადაკეთდა.

თბილისის წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებლის მოსწავლე ქალები შედგებოდნენ პანსიონერებისა და ნახევრად პანსიონერებისაგან, პირველნი წლიურად 80 მანეთს იხდიდნენ ვერცხლით, რომელიც შეტანილი უნდა ყოფილიყო ორ წილად პირველ მაისს და პირველ ნოემბერს. მეორენი, რომელნიც მთელ დღეს სასწავლებელში ატარებდნენ და მხოლოდ დასაძინებლად მიდიოდნენ შინ, წელიწადში იხდიდნენ 40 მანეთს ვერცხლით.

წმიდა ნინოს სახელობის თბილისის ქალთა სასწავლებლის პირველ კლასში შემდეგი საგნები ისწავლებოდა: კატე-

[1] გაზ. „Кавказ", 1847, № 24.

ხიზისი და საღვთო სჯული, ისტორია, რუსული, სომხური და ქართული ენები, სუფთა წერა. გრამატიკა და არითმეტიკა, ხოლო მეორე კლასში — საღვთო სჯული, ისტორია, გრამატიკა, გეოგრაფია, საზოგადო და რუსეთის ისტორია. სწავლების უკანასკნელ წელს ისწავლებოდა ცეკვა და საოჯახო საქმე.

თბილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის მუშაობაში სპორადულად მონაწილეობდა ქართველი მწერალი გ. ერისთავი.

სასწავლებლის ერთი დამაარსებელთაგანი, კავკასიაში მეფის მოადგილის მ. ვორონცოვის მეუღლე ელისაბედი, 1850 წლის 18 დეკემბერს სწერდა გიორგი ერისთავს:

„დღეს 2 ½ საათზე, იქნება წმიდა ნინოს საქალებო სასწავლებელში ქართული ენის ეკზამენი. ჩემი დასწრება ამ ეკზამენზედ სრულიად უსარგებლო იქნება და რადგანაც მინდა შევიტყო როგორ შეისწავლეს ქალებმა თავისი სამშობლო ენა, ამიტომ გთხოეთ, პატივცემულო კნიაზო, გიორგი დავითის-ძევ, თქვენ დაესწროთ ამ ეკზამენზედ.— ორშაბათი, 18 დეკ. 1850 წ.“[1]

1851 წელს. როცა გ. ერისთავმა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა განიზრახა. „ფორმალურად საქმე ისე იყო შოგვარებული, რომ „ცისკარი“ წმიდა ნინოს „ზავედენიის“ სასარგებლოდ გამოდიოდა (ასე იყო აღნიშნული „ცისკრის“ გამოცემის განცხადებებში), მაგრამ ეს ისევ და ისევ „ცისკრის“ გამოცემის სასურველად დამთავრებისათვის იყო მოფიქრებული. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ჟურნალის გამოცემაზე ნებართვის მიღება უფრო ადვილი იყო...

მაშინ, თბილისში სხვა სასწავლებლებიც არსებობდა, მაგრამ ისინი „ცისკრისათვის“ არ გამოდგებოდა. ამ სასწავლებლებს საკუთარი სახსრები არ გააჩნდა. წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელს კი ასეთი სახსრები ჰქონდა და. ცხადია, ჟურნალს მისი გამოყენება შეეძლო. მართლაც, როცა „ცისკარი“ გამოვიდა, ამ სასწავლებლისათვის ვორონცოვის საშუალებით 100 ცალი ჟურნალი იქნა გამოწერი-

---

[1] იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები. 1954, წიგნი I. გვ. 268.

ლი. ხოლო ერთბაშად 100 ხელმომწერის შოვნა, ეს ქართული ჟურნალისათვის დიდი ბედნიერება იყო, რადგანაც ამით ჟურნალის არსებობა თითქმის უზრუნველყოფილი ხდებოდა.[1]

1852 წელს სასწავლებელს 100 პანსიონერი და ნახევრად პანსიონერი ჰყავდა. ამ წელს მოხდა სრულკურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება 5 ქალის რაოდენობით. მათ შორის იყო ერთი ქართველი (სოფიო ჯაფარიძე).

მომდევნო წლების განმავლობაში თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის კონტინგენტი სწრაფად გაიზარდა. მოსწავლეთა რიცხვის მხრივ მან პირველი ადგილი დაიკავა მთელ კავკასიაში. ასე, მაგალითად, 1853, 1857, 1858 და 1871-72 წლებში კავკასიაში არსებული წმ. ნინოს სახელობის 4 სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი უდრიდა:[2]

	1853 წ.	1857 წ.	1858 წ.	1872 წ.
1. თბილისის წმ. ნინოს სახ. ქალთა სასწავლებელში	117	136	142	235
2. ქუთაისის „ „ „ „	33	30	30	80
3. ერევნის „ „ „ „	30	35	—	40
4. სტავროპოლის „ „ „	106	100	113	195

1864 წელს თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელს დაემატა მე-7 სპეციალური პედაგოგიური კლასი. პედაგოგიკისა და დიდაქტიკის კურსს ასწავლიდა ამავე სასწავლებლის სასწავლო ნაწილის უფროსი ვლადიმერ ჟელიხოვსკი. მე-7 კლასის ჩაბოყალიბებით სასწავლებლის მიზანიც შეიცვალა თუ ის ამ-წლამდე „ამზადებდა კეთილ ცოლებსა და ოჯახის კარგ დედებს“, ამიერიდან მის მიზანს შეადგენდა დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა და შინამასწავლებლების მომზადება.[3]

---

[1] მ. ბოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, 1954, გვ. 321—322.

[2] „Кавказ“, 1872, № 127.

[3] „Кавказ“, 1866, № 35.

მე-7 პედაგოგიურ კლასში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რუსული ენისა და მათემატიკური საგნების სწავლებას, რადგანაც ეს კლასი სწორედ ამ საგნების მასწავლებლებს ამზადებდა. ამ კლასში მოსწავლე ქალები თავიანთი სურვილით აგრძელებდნენ სწავლას და ამით მათი შრომა და ცოდნა უფრო სრულყოფილი და კვალიფიცირებული ხდებოდა. ისინი კურსის დამთავრებისას ღებულობდნენ დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდებას.

მე-7 პედაგოგიურ კლასში ჟელიხოვსკის უშუალო ხელმძღვანელობით მოსწავლე გოგონები ვარჯიშობდნენ ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდებში. ძირითადი ყურადღება ექცეოდა თვალსაჩინო სწავლების პრინციპს. გოგონები დაბალ კლასებში აძლევდნენ საცდელ გაკვეთილებს რუსულ ენასა და მათემატიკურ საგნებში.

მე-7 პედაგოგიური კლასის დაარსებამ მეტად სასურველი შედეგი გამოიღო. „კავკაზ"-ის კორესპონდენტი ამის გამო შენიშნავს: „ეს კლასი საუკეთესოდ ასრულყოფილებს ამ სკოლის სწავლების კურსს. პედაგოგიურ კლასს სარგებლობა მოაქვს თვით ამ სასწავლებლისათვისაც, მასწავლებელთა პერსონალს უჩნდება შრომის მოყვარული დამბმარე ძალა, რომელნიც ასწავლიან დაწყებით 1—2 კლასებში... პედაგოგიური კურსის დამთავრების შედეგად მოსწავლე ქალიშვილებს გარკვეული ადგილი ეთმობა საზოგადოებაში, ისინი დამოუკიდებელი და უზრუნველყოფილი ხდებიან, რადგან მოსწავლე ქალიშვილები გარკვეულ პროფესიას დაეუფლენ და ვინ არ იცის, რომ რა ძლიერ საჭიროა ეხლა ჩვენთვის გამოცდილი მასწავლებელი ქალები".[1]

1866 წელს ჟელიხოვსკი თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორად დანიშნეს, რის გამოც იგი იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა თბილისის ქალთა წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელი. ამის გამო მე-7 პედაგოგიურ

---

[1] გაზ. „Кавказ", 1866, №35.

კლასში შეწყდა პედაგოგიური დისციპლინების სწავლება, რამაც ამ კლასის დახურვა გამოიწვია.

სასწავლებლის ადმინისტრაციამ ნება დართო მოსწავლე ქალებს მე-6 კლასიდან სწავლა განეგრძოთ თბილისის ქალთა I თანრიგის სასწავლებლის მე-3 განყოფილებაზე—სპეციალური პედაგოგიური განათლების მისაღებად. ეს გარემოება ავტორიტეტს უკარგავდა თბილისის წმიდა ნინოს სასწავლებელს და ამცირებდა მის მოსწავლეთა კონტიგენტს. ამ მიზეზით თბილისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლის დამაარსებელმა საქველმოქმედო საზოგადოებამ 1870 წელს სთხოვა დედოფალს ოლღა თეოდორეს ასულს, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფებოდა იმპერიის I თანრიგის ქალთა სასწავლებლები, წმიდა ნინოს სასწავლებელთან მე-7 პედაგოგიური კლასის გახსნა და ძველი უფლებების აღდგენა. საზოგადოების საბჭომ შემდეგი ხასიათის დადებითი პასუხი მიიღო: „გაიხსნას ძველებურად წმ. ნინოს სახელობის თბილისის სასწავლებელში უფროსი კლასი და შემდეგში არ გაიგზავნოს მოსწავლეები თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელში".[1]

ამის საფუძველზე 1871 წელს წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელში აღდგენილ იქნა მე-7 პედაგოგიური კლასი.

მე-7 პედაგოგიურ კლასში შემდეგი ზოგადი და პედაგოგიური საგნები ისწავლებოდა:

1) პედაგოგიკა,

2) დიდაქტიკა (რუსული ენის, არითმეტიკის, ბუნებისმეტყველებისა და ხაზვის სწავლების კერძო მეთოდებით),

3) ბუნებისმეტყველება,

4) ხაზვა.

მე-7 კლასის მოსწავლეები პედაგოგიურ პრაქტიკას (გაკვეთილების გადაცემას) აწარმოებდნენ იმავე სასწავლებლის დაბალ კლასებში.

თბილისის წმიდა ნინოს სახ. ქალთა სასწავლებლის მე-7 პედაგოგიური კლასის პირველი გამოშვება 1865 წელს მოხდა.

---

[1] ცსსა, ფონდი 107, საქმე 322, გვ 1—2.

ამ წელს აღნიშნული კლასი დაამთავრა 9 ქალიშვილმა.[1] 1866 წელს გამოშვებულ იქნა 7 ქალიშვილი, 1867 წელს—9, 1868 წელს 3, 1869 წელს—11, 1870 წელს—3, 1872 წელს—7, 1873 წელს—5 ქალიშვილი.[2]

1865-1873 წლებში, თბილისის წმიდა ნინოს სახ. ქალთა სასწავლებლის მე-7 პედაგოგიური კლასი დაამთავრა 54 ქალიშვილმა, რაც ცხადია, ძალიან მცირეა. მაგრამ 1882 წლიდან, როდესაც თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა მე-8 პედაგოგიური კლასით, ამ კლასის კონტინგენტი საგრძნობლად გაიზარდა.

წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელთა კურსდამთავრებულ ქალებს მე-7 პედაგოგიური კლასის აღდგენის შემდეგ, ისევ ეძლეოდათ დაწყებით სკოლებში მასწავლებლობის უფლება.

1874 წლიდან საქართველოში არსებული წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებლები, სწავლების კურსით გაუთანაბრდნენ იმპერიაში არსებულ ქალთა პროგიმნაზიებს.

„მისი იმპერატორობით უდიდესებულების, დედოფლის დიდი მთავრის ოლღა თეოდორეს ასულის მდივანმა, მიმდინარე წლის 14 მარტის №1213 მომართვაში აცნობა საზოგადოების საბჭოს მისი იმპერატორობითი უდიდესებულების ოლღა თეოდორეს ასულის განკარგულება წმ. ნინოს სახელობის თბილისის, ქუთაისის, თელავის და წმ. რიფსიმეს სახელობის ერევნის სასწავლებლების სასწავლო ნაწილის გარდაქმნის შესახებ. მომავალი 1874—75 სასწავლო წლიდან შემოღებული იქნეს კლასების განაწილება და მეცნიერების სწავლება სახალ-

---

[1] ამ წელს უკანასკნელ, გამოსაშვებ კლასში სწავლობდნენ შემდეგი ქართველი ქალიშვილები: ეკატერინე ალხაზიშვილი, არჯევანიძე, ბარბარე ბაგრატიონ-მუხრანელი, ანა ბებუთოვი, მარიამ მაღალაშვილი, ნინო სარაჯიშვილი, ანასტასია თუმანიშვილი და მარიამ თუმანიშვილი („Кавказ", 1865, № 18)

[2] ცსსა, ფ. 422, ს. 511, ფ. 457.

ხო განათლების სამინისტროს უწყების ქალთა პროგიმნაზიების მაგალითის მიხედვით".[1]

აღნიშნული განკარგულება ძალაში შევიდა 1874 75 სასწავლო წელს.

1874 წლიდან 1897 წლამდე ამ სასწავლებელში ისტორიას, გეოგრაფიას და პედაგოგიკას ასწავლიდა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის მასწავლებელი ნიკო ცხვედაძე.

1882 წელს თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი, რომელიც აქამდე საზოგადოების ანგარიშზე იმყოფებოდა, განათლების სამინისტროს ქალთა 7-კლასიან გიმნაზიად გადაკეთდა. რადგან აღნიშნული სასწავლებელი ოცდათექვსმეტ წელზე მეტ ხანს ატარებდა წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებლის სახელს, სათანადო შუამდგომლობის საფუძველზე, აღნიშნულ გიმნაზიას, დარჩა სახელწოდება წმიდა ნინოს თბილისის ქალთა სასწავლებლისა, რომელიც სარგებლობდა ქალთა 7-კლასიანი გიმნაზიის უფლებებით.[2]

ბ) წმიდა ნინოს სახელობის ქუთაისის და თელავის ქალთა სასწავლებლები

1847 წ. 14 მაისს ქუთაისში, დღეანდელ 1905 წ. რევოლუციის ქუჩაზე №1 სახლში, გაიხსნა წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი. აღნიშნული სასწავლებელი იმავე ტიპისა და სტრუქტურისა იყო და სარგებლობდა იმავე უფლებებით, როგორც თბილისის წმ. ნინოს სახ. ქალთა სასწავლებელი.

წმიდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრები იყვნენ: ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანი, ტერეზია მამიას ასული დადიანი, დ. ა. დობრაჟანსკაია, ანა პავლეს ასული კალაშნიკოვა, ალექსანდრა ანდრიას ასული კოლუბიაკინა, მ. კ. კოცებუ, თუმანიშვილი, მაკა წულუკიძე, ელენე ერისთავი და სხვ.

---

[1] ცსსა, ფონდი 107, საქმე 526, ფურ. 1.

[2] ცსსა, განათ. დეპარტ. საქმე №80, 1882, (ქალთა სასწ. თანრიგი).

სასწავლებელს დაარსების პირველ წელს ჰყავდა 22 პანსიონერი და 2 ნახევრად პანსიონერი.

ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის ბაზაზე 1877 წელს დაარსდა ქუთაისის ქალთა გიმნაზია, სადაც 1881 წელს გაიხსნა მე-8 სპეციალური პედაგოგიური კლასი. სახელწოდება სასწავლებელს წინანდელი დარჩა.

თელავის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი გაიხსნა 1865 წელს. მის დაარსებას წინ უსწრებდა პატარა მოსამზადებელი პერიოდი.

ჯერ კიდევ 1860 წელს თელავის ნაზრის თავადაზნაურობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ანა ილიას ასულმა ჭავჭავაძემ, რომელიც წინანდალში ცხოვრობდა, იკისრა ქ. თელავში ქალთა სასწავლებლის დაარსება. მას დახმარებას უწევდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ანა ჭავჭავაძემ გამოითხოვა ნებართვა წმიდა ნინოს სახელობის ქალთა საზოგადოებას გადასცემოდა თელავის სასახლე. რომელშიც ნავარაუდევი იყო ამავე საზოგადოების სახელობის ქალთა სასწავლებლის გახსნა. მოსახლეობის ერთსულოვანი თხოვნისა და დაინტერესებულ პირთა დაუცხრომელი ღვაწლის შედეგად, 1860 წელს თელავის სასახლე გადაეცა წმიდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას, ხოლო შემოწირულებათა თანსა 50.000 მანეთამდე გაიზარდა.

1865 წლის მარტში, თელავში, ერეკლეს სასახლეში გაიხსნა წმიდა ნინოს სახელობის ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი (თითო კლასი ორწლიანი სწავლების კურსით) და ორი მოსამზადებელი კლასი — სულ სწავლების ექვსწლიანი ვადით, წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლებისათვის დამტკიცებული სასწავლო პროგრამით. სწავლის ქირად დაწესებული იყო 100 მანეთი წელიწადში, პირველი წლის გამოკლებით. პირველ წელს აღნიშნული 100 მანეთის გარდა, ერთდროულ გადასახადად დაწესებული იყო პანსიონერთათვის 30 მან., გარედან მოსიარულეთათვის კი 15 მან.

1865—1866 წლებში მოსწავლეთა საერთო რიცხვი 34 უდრიდა. აქედან 18 პანსიონერი, 2—ნახევრად პანსიონერი და 14 გარედან მოსიარულე. თელავის ქალთა სასწავლებლის მოსწავლეთა კონტიგენტი სწრაფად იზრდებოდა. ასე მაგალითად:

1867	წელს სწავლობდა	32	მოსწავლე	ქალი
1868	„	39	„	„
1869	„ „	37	„	„
1870	„ „	42	„	„
1872	„ „	49	„	„
1873	„ „	59	„	„
1876	„ „	63	„	„

1875 წელს თელავის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი უსახსრობის გამო პროგიმნაზიად გადაკეთდა.

თელავის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის პირველი სრული გამოშვება მოხდა 1870 წლის 11 ივნისს საზეიმო აქტით. სასწავლებელი დაასრულა: ანასტასია ანდრონიკაშვილმა, სოფიო ვახვახიშვილმა, ეკატერინე ვაჩნაძემ, ბარბარე რუსიშვილმა და სიდონია სულხანიშვილმა.

თელავის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელმა თავისი არსებობის მანძილზე არაერთი მასწავლებელი ქალი გამოზარდა. თითქმის ყველა კახელ ქალს, რომელთაც საშუალო განათლება ჰქონდათ მიღებული, თელავის წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელი ჰქონდათ დამთავრებული.

1900 წელს თელავის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში მომუშავე ხუთი მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი ქალი აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო. ამ სასწავლებელში სწავლამიღებული ქალები ყოველთვის კარგი წარმატებით განაგრძობდნენ სწავლას თბილისის სასწავლებლებში.

* * *

წმიდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თბილისის, ქუთაისისა და თელავის ქალთა სასწავლებლებმა მრავალი ათეული მასწავლებელი ქალი შესძინეს

საქართველოს დაწყებით სკოლებს. მაგრამ, როგორც სავსებით სამართლიანად წერდა 1881 წელს იაკობ გოგებაშვილი, „წმიდა ნინოს ზავედენიები თბილისს და თელავში მაღალი მიზნის მისახწევად იქმნენ დაარსებულნი. მათ უნდა მოემზადებინათ ნამდვილად განათლებულნი ქალნი დემოკრატული მიმართულებისანი, დემოკრატული ყოფა-ქცევისანი, წინააღმდეგ ქალთა ინსტიტუტისა, რომელიც არისტოკრატის შვილთა ზრდიდა არისტოკრატული მიმართულებით. მათ უნდა აღეზარდნათ გონიერნი დედანი, მოქმედნი პირნი საზოგადო ასპარეზზე, მაგრამ ყველა ეს მოლოდინი ფუჭად დარჩა... უმთავრესი მიზეზი ამ უნაყოფობისა გახლავთ ის გარემოება, რომ ამ სასწავლებლებს ფეხი არ უდგიათ გამაცხოველებელს ნიადაგზედ...“.[1] ასეთ გამაცხოველებელ ნიადაგად იაკობი თვლიდა ქართული კულტურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლას. ამ საგნების ცოდნას არ ღებულობდნენ წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელთა მოსწავლე ქალები და ამიტომ მათი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მუშაობა, აღნიშნულ სასწავლებელთა კურსის დამთავრების შემდეგ, მართლაც მოკლებული იყო ეროვნულ ხასიათს და ვერ უზრდიდა ჩვენს ქვეყანას ხალხისათვის თავდადებულ მოქალაქეებს.

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი. ტ I. 1952, გვ. 269—270.

ნაწილი მეორე

ქალთა პედაგოგიური განათლება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში იწყება კაპიტალიზმის განვითარების პერიოდი. კაპიტალისტური წარმოების წესის საბოლოო გამარჯვების შედეგად მოისპო ნატურალური მეურნეობა, გაუქმდა ბატონყმობა, დაიწყო რკინიგზების გაყვანა. 1861 წლიდან „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში წავიდა ისეთი სისწრაფით, რომ რამდენიმე ათწლეულში ხდებოდა გარდაქმნები, რომელთაც ევროპის ზოგიერთ ძველ ქვეყანაში მთელი საუკუნეები დასჭირდათ"[1].

ამ ტემპებს არც საქართველო ჩამორჩებოდა.

მრეწველობის განვითარება მოითხოვდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბუნების სიმდიდრეთა შესწავლასა და გამოყენებას, მისი ნედლეულის ბაზების მოპოებასა და ექსპლოატაციას, ფაბრიკა-ქარხნებისა და სახელოსნოების გამრავლებას, ტრანსპორტის გაუმჯობესებას. ყოველივე ამისათვის საჭირო იყო კულტურული მუშაკები, საჭირო იყო განათლების ქსელის გაფართოება.

60-იანი წლები საქართველოში აღინიშნება, როგორც მნიშვნელოვანი გონებრივი მოძრაობის პერიოდი. ქართული „აზროვნების ამ გამოცოცხლებას", როგორც ამ პერიოდის აზროვნებას უწოდებენ, ხელი შეუწყო 60-იანი წლების რუსეთის მოწინავე ინტელიგენციამ, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე იყო აღზრდილი. განსაკუთრებით

[1] В. И. Ленин, Сочинения, т. 17, стр. 95—96

აღსანიშნავია ბელინსკისა და ჩერნიშევსკის გავლენა 60-იანი წლების ქართველ ინტელიგენციაზე. მათი იდეური გავლენით წარიმართა ქართული საზოგადოებრივი კულტურის განვითარება. ნ. გ. ჩერნიშევსკის პირადი ურთიერთობაც ჰქონდა რუსეთში მოსწავლე ქართველ ინტელიგენციასთან აღნიშნულ პერიოდში. „შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინებაზე 60-იან წლებში ნ. გ. ჩერნიშევსკიმ და მისმა „სოვრემენიკმა“ დიდი გავლენა მოახდინა“[1]. ქართველ 60-იანელთა მოწინავე თაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ენერგიულად ილაშქრებს ძველი წყობილების, ბატონყმური ურთიერთობის ნაშთებისა და სქოლასტიკური აზროვნების წინააღმდეგ. იწყება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი პერიოდი.

1. ქალთა აღზრდის ახალი მიზნები და ამოცანები

60-იანი წლების ახალი იდეები და ახალი დემოკრატიული მიმდინარეობანი დიდ გარდატეხას ახდენენ ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაზეც. ძირფესვიანად იცვლება სწავლა-აღზრდის ამოცანები, ფორმები და მეთოდები. იცვლება აგრეთვე ქალთა აღზრდის მიზნები და ამოცანები. თუ წინათ ქალის ძოვალეობად მხოლოდ კარგი მეუღლეობა, ცეკვა, ფრანგული ენის ცოდნა, სასიამოვნო საუბარი და მიმზიდველი მანერები ითვლებოდა, ახლა ეს თვისებები სრულებით აღარ აკმაყოფილებენ მზარდ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. აუცილებელი და საჭირო ხდება ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა, მისი მონაწილეობა კულტურისა და საზოგადოებრივი შრომის სხვადასხვა დარგში.

60-იან წლებში ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ქალთა აღზრდა-განათლების აუცილებლობის შესახებ საინტერესო

---

[1] ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949, გვ. 3.

ახრს გამოთქვამდა ბაშინდელი საზოგადო მოღვაწე პეტრე ჩარექიშვილი.

..იმ დროში, რომელშიაც კაცის აზრნი და იდეანი სიჩქარით იცვლებიან და განიწმინდებიან ყოველთა საშუალო საუკუნეთა შეცდომილებითაგან, ამით გვაახლოვებენ ჩვენ ჭეშმარიტებისადმი, რომელშიაც მეცნიერება და განათლება იქმნიან დიდსა ნაბიჯსა წარმატებისა და განათლების გზაზედ და უკანასკნელ რომელშიც იბადებიან და დაბადებისთანავე თხოულობენ დაუყოვნებლივსა და გარდაწყვეტასა ბრავალნი სხვადასხვა გვარნი კითხვანი შესახებელ საზოგადოებით და სახელმწიფო ცხოვრებით საგანთა, ხოლო ამათ რიცხვში პირველი უეჭველ ქალის აღზრდასა"...[1]

წერილის ავტორს ქალი მიაჩნია „აღმზრდელად ახალის შთამომავლობისა, რომელიც გონიერითა სიყვარულითა გახსნის და განამტკიცებს შვილებში ყოველსა უმაღლესთა სულიერთა ნიჭთა და თვისისა ცხოვრებისა ბაგალითით წარუდგენს მათ მიმზიდველობითსა ყოველთა კეთილ მოქმედებათა. ბოძრაობათა და რწმუნებათა".

..აქედან ცხადად ჰსჩანს თუ რა დიდი და უაღრესად არიან ზნეობითნი მოვალეობანი ქალისა და მაშასადამე აღსასრულებლად მათთა რაოდენათ ბოუცილებელი საჭირო არს მისთვის მიღება კანონიერისა აღზრდისა. გინა განათლებისა. რომელიც აკმაყოფილებდეს ყოველთა მოთხოვნილებათა ამ ჩვენისა თანამედროულისა ცხოვრებისას".[2]

3. ჩარექიშვილი ქალის აღზრდის უმთავრეს მომენტად თვლის მის გონებრივ განვითარებას: „გონებათა გახსნა ქალისათვის საჭიროა მარტო იმისათვის კი არა, რომ გონიერად და საადვილოთ მართოს და განაგოს თავისი ოჯახებრივი მოვალეობა, არამედ იმისათვისაც, რათა პირველ დაწყებითს შვილის აღზრდაში გადასცეს იმათ ნამდვილი და უტყუარი ცნებანი სხვადასხვა ნივთებზედ, ამისათვის უსაჭიროესი არს,

[1] ჟურ. „ცისკარი", 1863, № 2.
[2] იქვე.

რომ თვითონ მან წინათვე იქონიოს კანონიერი და სწორე შეხედვა ყოველ ქვეყნის საგანზედ, რომ ყოველ ნივთს უწოდოს თავისი საკუთარი სახელი და მაშასადამე ყოველ ნივთზე იქონიოს სწორე და შეუცდომელი სჯა. ხოლო ამაების შეძენა არ შეიძლება თუ კაცს არა აქვს გონება გახსნილი და ესრეთ გახსნა შეიძლება ხოლოთ სწავლისა და მეცნიერების გაცნობით და შესწავლით».[1]

რაც შეეხება ფიზიკურ აღზრდას, ჩარექიშვილი ამასაც თვლიდა საჭიროდ და აუცილებლად, რათა ფიზიკური განვითარების შედეგად ქალებს ჰყოლოდათ ჯანსაღი შვილები და ჰქონოდათ დედობრივი მოვალეობის შესრულების მეტი უნარი. ჩარექიშვილს ქართველი ქალის ზნეობრივი აღზრდაც არ ავიწყდება და მოითხოვს ქალის მაღალი მორალური თვისებებით, ხასიათის სიმტკიცითა და კეთილშობილებით აღჭურვას.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში სკოლების რიცხვი ძალზე მცირე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც ეს სკოლები იყო უზრუნველყოფილი სპეციალური პედაგოგიური განათლების მქონე პერსონალით, რადგან საქართველოში მამინ არ იყო სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლები, სადაც შეიძლებოდა აღზრდილიყვნენ პროფესიონალური განათლების მქონე სპეციალისტი —პედაგოგები, მათ შორის პედაგოგი-ქალები.

60-იანი წლების დასაწყისიდან კავკასიის სასწავლო ოლქში ყურადღება მიექცა მასწავლებელთა სპეციალური პედაგოგიური განათლებისა და მომზადების საკითხს; ეს იმის შედეგიც იყო, რომ ამავე პერიოდში რუსეთის იმპერიაში ქალთა ზოგადი განათლების სასწავლებლების ქსელი იშლებოდა. საქართველოში კი ეს მნიშვნელოვანი საქმე იმ დროისათვის ჯერ კიდევ კერძო პირების ხელში იყო და მხოლოდ მათ ინიციატივაზე იყო დამოკიდებული ამ ფრიად სერიოზული წამოწყების წარმატება.

ყველა მოწინავე ადამიანისათვის ნათელი გახდა, რომ ქალთა განათლება, ისე როგორც განათლება საერთოდ, მო-

---

[1] ჟურ. „ცისკარი", 1863, № 2.

წყვეტილი იყო ხალხის ინტერესებს, ჩამოშორებული იყო ცხოვრებას და რეალურ ვითარებას. მოწინავე - ადამიანები მოითხოვდენ სკოლის მუშაობის გარდაქმნას, ახალ სასწავლო გეგმებს, ახალ პროგრამებს. 60-იანი წლების მოწინავე პედაგოგი და ლიტერატორი პეტრე უმიკაშვილი წერდა:

„რაც დარბაისლურ და დიდკაცურ გარემოებას ეჭირება, იმგვარი ახალგაზრდის გაწვრთნა და აღზრდა ჰგონიათ, რასაკვირველია იმისათვის შკოლური აღზრდა, ესე იგი, ახალი ენების, ბუნების, საგნებისა და ისტორიის კილოკავად ცოდნა საკმაო იქნება, მაგრამ აღზრდას ამაზე უფრო დიდი ადგილი უნდა ეჭიროს: საკუთრად აღზრდისაგან უნდა მოვითხოვოთ გონებითის და ზნეობითის ძალის გახსნა, მეცნიერების გამახვილება, გემოვნების გაუმჯობესებაში მოყვანა და იმისთანა თვისებები როგორიც არიან მოთმინება და მშვიდობიანობა. მოკლეთ ვსთქვათ, აღზრდამ უნდა - მოსწავლე ახალგაზრდა მტკიცე ხასიათის კაცი გამოიყვანოს და იმგვარი ნიჭი და შეძლება მისცეს, რომ. პატიოსნურად მოეხმაროს მამულს, ქვეყანასა და მშრომელ საზოგადოებას. სახელიც მისცეს ბედმა და საზოგადოების დამამშვიდებელი იყოს".[1]

სახელმწიფო ხარჯზე მყოფ ოფიციალურ სასწავლებელთა რიცხვის ზრდასთან ერთად თანდათანობით კლებულობდა საშინაო სკოლებისა და კერძო პანსიონების რიცხვი. სამოციანი წლების მიწურულში თბილისში ქალთა პანსიონების რიცხვი უფრო მცირე იყო, ვიდრე მის დასაწყისში და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც გამოიწვია მათი რიცხვის შემცირება, იყო საზოგადოებრივი აზრის მომწიფება ქალთა საფუძვლიანი და ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოსაყენებელი განათლების აუცილებლობის შესახებ, რასაც ეს პანსიონები ვერ აკმაყოფილებდნენ.

სამოციანი წლების მეორე ნახევარში, ბატონყმური ურთიერთობისაგან გლეხთა განთავისუფლებამ მოსწავლეთა რი-

[1] ჟურ. „ცისკარი", 1862, № 8.

ცხვის სწრაფი ტემპით ზრდა და სასწავლებლების რიცხვის გადიდება გამოიწვია. ამ პერიოდისათვის საქართველოში 250-ზე მეტი სასწავლებელი იყო, რომელშიც 11000-მდე მოსწავლე ირიცხებოდა. მიუხედავად ამისა. მოთხოვნილება მაინც დიდი იყო და აღნიშნული სასწავლებლების რიცხვით არ კმაყოფილდებოდა სწავლა-განათლებას მოწყურებული საზოგადოება. სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების მშობლები მოუთმენლად ელოდნენ ახალი სკოლების გახსნას. ამის შესახებ 1866 წლის ჟურნალ „ცისკარში" ვკითხულობთ: „ასობით არიან კანდიდატები ქალები და ვაჟები პანსიონებში მისაღებად. მოუთმენლივ მოელიან მშობლები გაიხსნება თუ არა ერთი ვაკანსია. ამ ერთს ვაკანსიას ორმოცი და სამოცი ჰყავს მაყურებელი. კლასებში აღარ არის ალაგი, სადაც შეიძლებოდეს დაწესებულის რიცხვზედ მეტის მოთავსება".[1]

ეს მდგომარეობა შემდეგაც გრძელდებოდა. 1879 წელს ი. ჭავჭავაძე სკოლების სიმცირის შესახებ წერდა:

„მარიამობისთვის უკანასკნელს რიცხვებში განკითხვის დღე დაუდგათ ჩვენებურს მოზარდ ყმაწვილებს. ამბობენ ათასხუთასი მეტი ყმაწვილი იყოო აქაურს სასწავლებლის კარზედ მიყენებულიო და მარტო ორასიოდეს გაელო კარიო. სხვანი კი. რიცხვით ათას სამასი. გულხელ-დაკრეფილმა მშობლებმა წყევლა-კრულვით წაიყვანეს შინაო. ვაკანსიების უქონლობის გამოო. თუ ეს მართალია. ეს აბბავი ჭირადაც სამყოფია და ლხინადაც. ხუთუ ყოველწლივ ამოდენა უშველებელი რიცხვი მოზარდის ყმაწვილებისა აგრე უნუგეშოდ უნდა იყოს დარჩენილი? რასაკვირველია. უნდა დარჩეს. რადგანაც აქაურს სასწავლებლებში ტევა აღარ არის.

ჩვენ არ ვიცით. მთავრობა ამ საგანზედ რასა ფიქრობს. მაგრამ დიდად საფრთხილო საფიქრებელი კია. ხუმრობა არის. ამოდენა ხალხს განათლების კარი დახშული ქონდეს".[2] სკოლების სიმცირის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მასწავლებელთა სიმცირე იყო.

---

[1] ჟურ. „ცისკარი", 1866. № 3.
[2] ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1952, გვ. 41.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში წამოიჭრა საკითხი სახალხო სკოლების მასწავლებელთა თანამდებობაზე ქალთა გამოყენების აუცილებლობის შესახებ. მასწავლებელ ქალთა ნაკლებობა მწვავედ იგრძნობოდა მთელი რუსეთის იმპერიაში. 1860 წელს გამოჩენილი რუსი პედაგოგი ნ. პიროგოვი, მოითხოვდა რა საყოველთაო სახალხო სკოლების ქსელის გაფართოებას და ამ ქსელისათვის აუცილებელ მასწავლებელთა მომზადებას, წერდა: „ჩვენში მასწავლებელთა სიმცირის გამო ქალებიც უნდა დაუშვათ მასწავლებლად როგორც ეს ამერიკაში ხდება“.[1]

ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საქართველოშიც. მართალია, თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიები და წმიდა ნინოს სახელობის — თბილისის, ქუთაისის და თელავის ქალთა სასწავლებლები ამზადებდნენ მასწავლებლებს საშაზრო სკოლებისათვის, სასულიერო და საერო სასწავლებლებისათვის, მაგრამ მათ არ ჰქონდათ საკმაო პედაგოგიური მომზადება და ისინი ვერც რიცხობრივად აკმაყოფილებდნენ საქართველოს დაწყებითი სკოლების მზარდ მოთხოვნილებებს. ეს მოთხოვნილებები აყენებდნენ გარდაუვალ საკითხს ახალი სკოლების გახსნისა და განათლებულ სპეციალისტ-მასწავლებელთა მომზადების შესახებ.

სამოციანი წლების პრესაში, კერძოდ, ჟურნალ „ცისკარში“ და გაზეთ „კავკაზში“, გამოქვეყნებული წერილები კატეგორიულად უჭერენ მხარს ქართველი საზოგადოების სამართლიან მოთხოვნას ქალთა სამოქალაქო ტიპის სკოლებისა, გიმნაზიებისა და პედაგოგიური სასწავლებლების გახსნის აუცილებლობის შესახებ.

ქალთა სკოლების ქსელის გაშლის საქმეში პირველი ინიციატივა თვით ქალებს ეკუთვნის. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის „ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, რომელმაც 1862—1865 წლებში თბილისში გახსნა ქალთა 5 ელე-

---

[1] Н. И. Пирогов, Избранные педагогические сочинения, 1955, გვ. 219.

მენტარული სკოლა, სადაც 13-18 წლის ასაკის გოგონებს ღებულობდნენ. ამ სკოლებში 84 მოსწავლე გოგონა სწავლობდა, აქედან: 23 ქართველი, 26 რუსი, 31 — სომეხი, 3 — გერმანელი და 1 — პოლონელი.[1]

ამავე საზოგადოების მიერ 1866-70 წლებში გახსნილ იქნა კიდევ ხუთი სკოლა. აქედან: 4 — ქალთა და ერთი — ვაჟთა, რომელთანაც 1870 წ. დაარსებულ იქნა ქალთა განყოფილებაც.

1870 წლისათვის „საქველმოქმედო საზოგადოების" ქალთა ცხრა სკოლაში 380 მოსწავლე გოგონა ირიცხებოდა. ამ სკოლებში ისწავლებოდა: წერა-კითხვა მშობლიურ და რუსულ ენაზე, საღვთო სჯული, არითმეტიკა და ხელსაქმე.

ქუთაისის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ 1866 წლის სექტემბერში ქუთაისში სხვადასხვა პირთა მიერ შემოწირული თანხით, ობოლი და ღარიბი ქალებისათვის გაბსნა ქალთა უფასო სკოლა. სკოლის მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად და არსებობის შესანარჩუნებლად სოფიო იაკობის ასულმა ორბელიანმა (ქუთაისის გუბერნატორის დიმიტრი ივანეს-ძე სვიატოპოლ-მირსკის მეუღლემ) ქუთაისში მყოფ სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელეთა და მათი ოჯახის წევრთაგან შეადგინა სცენისმოყვარეთა დასი. ამ დასმა დასახელებული სკოლის სასარგებლოდ ქუთაისის კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში გამართა რამდენიმე წარმოდგენა. 1866 წლის დეკემბერში ადგილობრივი საზოგადოების მიერ იმავე მიზნით წარმოდგენილი იყო „გაყრა", „შეშლილი" და „ძალად ექიმი".

გიორგი წერეთელი ამ სპექტაკლების მიზანდასახულების გამო შენიშნავდა: „ეს წარმოდგენები იყვნენ ქალების სასწავლებლის სასარგებლოთ, რომელიც გაიხსნა ქუთაისში ორი თვის წინეთ. დანიშნულება ამ შკოლისა ის არის, რომ აქაურს ღარიბი კაცების ახალგაზრდა ქალებს მიეცეს ღონისძიება, რომ უსასყიდლოთ ისწავლონ წერა-კითხვა და შეძლე-

[1] გაზ. „Кавказ", 1862, №22.

ბის დაგვარად, სხვა უსაჭიროესი ცნობაები და ხელსაქმობა, ამ შკოლის გახსნა დიდად სასიამოვნო და სანუგეშო ფაქტია. იმერეთი, როგორც საზოგადოდ მთელი საქართველო, ძლიერ ღარიბია სასოფლო შკოლებით, მაგრამ რაც უნდა იყოს, ვაჟებისათვის კი ოთხი-ხუთიოდე სასწავლებელი მაინც არის, ქალებისათვის ძლიერ ნაკლები არიან საზოგადო სასწავლებლები.

მთელს დასავლეთ საქართველოს ერთად-ერთი ქალების სასწავლებელი აქვს ქუთაისში. მე ვამბობ წმიდა ნინოს სასწავლებელზე (ზავედენიაზე), ამოდენა მხარისათვის რას ნიშნავს ერთი ქალების სასწავლებელი? მერმე კიდევ ბევრს შეუძლიან იმაში შვილი გაზარდოს? ძალიან ცოტას. აი რისთვის არის დიდად სასიამოვნო ახალი შკოლის გახსნა,

ჯერ-ჯერობით 50 პატარა ქალები დადიან სასწავლებელში. როგორც ამბობენ, მსურველები სხვებიც ბევრნი არიან თურმე, მაგრამ სახლის სივიწროვის გამო, მეტს ვერ იღებენო. სახლის ქირას და სხვა შკოლის ხარჯს კერძო შეგროვებულ და შემოტანილი ფულებით იხდიან, სულით და გულით ვისურვებთ ამ სასარგებლო საქმისთვის სრულს წარმატებას".[1]

თავდაპირველად სკოლაში გახსნილი იყო ერთი კლასი, რომელშიც ასწავლიდნენ ქართულ ენას, რუსულ ენას, არითმეტიკას, ხელგარჯილობასა და საღვთო რჯულს.

1867 წლიდან სკოლის მზრუნველობა გადავიდა ქუთაისის გუბერნატორის გრაფ ლევაშოვის მეუღლის ზედამხედველობის ქვეშ. ამავე წელს სკოლაში გახსნილ იქნა მეორე კლასი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხელგარჯილობას.

1868 წლის მარტიდან ლევაშოვას წინადადებით დაწესდა: მოსწავლე გოგონებს გაკვეთილების შემდეგ უფასოდ ეძლეოდათ სადილი, ასევე უფასოდ ეძლეოდათ ფეხსაცმელი, საცვლები და ტანსაცმელი.

---

[1] გ. წ ერ ე თ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. 1. 1931, გვ. 74—75.

როდესაც გოგონები კერვასა და ხელსაქმეში დახელოვნდნენ, სკოლა სხვადასხვა საკერავს იღებდა. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ხელსაქმის მასწავლებელი გორჩაკოვა.

კერვითა და ხელსაქმით შეწოსული ფულის ერთი ნაწილი სკოლის სასარგებლოდ მიდიოდა, მეორე – სკოლის გამგის და მესამე ნაწილი კი მოსწავლე გოგონების სასარგებლოდ, რომელსაც მოსწავლე ქალები სასწავლებლის დასრულების შემდეგ ღებულობდნენ.

სკოლა მოთავსებული იყო ბოქალაქე წულუკიძის ორსართულიან შენობაში, რომელსაც ჰქონდა ფართო ეზო, ჭა და ბაღი.

1870 წელს პირველ კლასში იყო 32 ქართველი გოგონა, 4 – რუსი, 5– სომეხი, მეორე კლასში: 10—ქართველი, 1— სომეხი-კათოლიკე.

1871 წლის 4 აპრილს ახალციხეშიც იქნა გახსნილი ანალოგიური ხასიათის ქალთა უფასო სკოლა ანა ბესარიონის ასულ ღოლობერიძე-მუსხელაშვილის მზრუნველობით. 1872 წლის 30 მაისს შეწდგარ სკოლის მზრუნველ წევრთა ყრილობაზე სასწავლებლის დაფაარსებელმა ანა ბესარიონის ასულმა ღოლობერიძე-მუსხელაშვილმა განაცხადა, რომ: „ზემოხსენებულ სასწავლებელთან დაფუძნდეს საკერავისა და სხვადასხვა ხელსაქმის საველოსნო ინ აზრით. რომ ღარიბ ქალებს, რომელნიც აქ ათავებენ სწავლას, მიეცეთ საშუალება თავის შრომით ცხოვრებისა''.[1]

ახალციხის ქალთა უფასო სკოლაში სწავლა კარგად ყოფილა დაყენებული. გაზეთ ,,დროებაში'' ბოთავსებულ წერილში ბარბარე მამაცაშვილი, რომელიც 1872 წლის გაზაფხულზე სკოლის მუშაობას გასცნობია, წერდა: „ქართული კითხვა და წერა კარგად უსწავლიათ, არითმეტიკა და სხვადასხვა გეომეტრული ფიგურებიც რიგიანათ იციან. უფროს განყოფილებას „ბუნების კარიც" გაუთავებია და საფუძვლიანათ უსწავლიათ. ჩვენდა საუბედუროთ „ბუნების კარის" გარდა

[1] გაზ. „Кавказ", 1872, №57.

სახელმძღვანელო ქართულ ენაზე სხვა არა გვაქვსრა, ასე, რომ მასწავლებელი იძულებულია რუსულის წიგნებიდან შეადგინოს საჭირო საგნები და ისე ზეპირად აუხსნას ყმაწვილებს, რომლებიც იმასთანავე იმეორებენ და მერე სწერენ".[1]

რუსულ ენაშიც კარგი წარმატებები ჰქონდათ მოსწავლე ქალებს. ისინი თავისუფლად კითხულობდნენ უშინსკის „Родное слово"-ს მეორე ნაწილს.

სამოცდაათიან წლებში ახალციხის ქალთა უფასო სკოლაში ასწავლიდნენ ილია აბაშიძე, თეოფილე კობეშავიძე, ანა გოპაძე, ბარბარე მესხიშვილი, მარიამ ხოჯევანიშვილი და მარიამ მეფისაშვილი.

ყველა ეს მასწავლებელი დიდი მონდომებითა და პედაგოგიური საქმის უანგარო სიყვარულით მუშაობდა, მაგრამ სასწავლებლის სულისჩამდგმელის, ანა ღოღობერიძე-მუსხელაშვილის თავდადებული შრომა ამ სასწავლებელში ყოველგვარ შოლოდინს აჭარბებდა.

ზედმეტი არ იქნება ჩვენს მკითხველს მივაწოდოთ ზოგიერთი ცნობა ამ შესანიშნავი ქართველი ქალის ბიოგრაფიიდან.

ანა ღოღობერიძე დაიბადა ქუთაისში, 1842 წელს. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. მისი აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ძმამ—ნიკო ღოღობერიძემ და ბიძაშვილმა—ბესარიონ ღოღობერიძემ—შემდეგში ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა.

ქუთაისის წმიდა ნინოს საეკლესიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუსხელაშვილზე გათხოვილმა სრულიად ახალგაზრდა ანამ გადაწყვიტა ახალციხეში ქალთა დაწყებითი სასწავლებელი დაეარსებინა და განზრავხა, როგორც აღვნიშნეთ, 1870 წელს შეასრულა კიდეც.

გაზეთი „ივერია" ასე აფასებდა ქართველი პედაგოგი ქალის ამ ინიციატივას:

---

[1] გაზ. „დროება", 1872, № 25.

„ვინაც კი ბეჯითად თვალ-ყურის მდევნელია საქართველოში სწავლა-განათლების მოფენის საქმისა, უეჭველად იცნობს ანა მუსხელაშვილის მეუღლეს, როგორც პირველ საქმის დამწყებს და ქართველ ქალების განათლების და სწავლებისათვის მზრუნველსა...

ეს საქმე ადვილი არ იყო იმ დროს და ისაც ისეთ მიყრუებულ ადგილას, როგორც ახალციხეა, საცა ქართველი საზოგადოება მეტად ღარიბია და ჭრელი. ღარიბ-ღატაკი ახალციხის მართველობა შესდგება მართ-შადიდებელ და კათოლიკე სარწმუნოების საზოგადოებისაგან. ხანგრძლივის უსწავლელობით, უსკოლობით, სიღარიბისა და მრავალი სავა მიზეზის გამო ხალხი გონება-დახშული იყო და სკოლას არამც თუ პირველ ხანებში, შემდეგაც მომბრე და შენწევნელი იშვიათად ეპოვებოდა. ამისთანა გარემოებაში და ამისთანა დროს მსოლოდ უსაზღვრო სიყვარულს, ბეჯითს შრომას და ერთგულს მხნეობას შეეძლო დედათა სკოლის გაშართვა და უზრუნველყოფა მისი“.[1]

ანა ღოღობერიძე-მუსხელაშვილისა ახერხებდა, რომ ახალციხის ქალთა სკოლადამთავრებული წარჩინებული გოგონების ერთი ნაწილი სასწავლებლის ხარჯით გაეგზავნა საქართველოს ქალთა გიმნაზიებში სწავლის გასაგრძელებლად.

უდიდესი მადლიერების გრძნობას გამოხატავდა ამის გამო გაზეთი „ივერია“. სკოლამ იმდენი შეიძლო, რომ გაგზავნა თავისის ხარჯით ორი მოსწავლე სწავლის გასაგრძობად: ერთი ტფილისის დედათა გიმნაზიაში და მეორე ჩცხეთის საბონასტრო სასწავლებელში“.[2]

სიკვდილამდე ერთგულ გუშაგათ ედგა ანა ღოღობერიძე-მუსხელაშვილისა მის მიერ ფეხადგმულ ახალციხის ქალთა სკოლას.

ამიტომ იყო, რომ 1890 წლის 13 მაისს თბილისში მისნა გარდაცვალებამ ქართველი საზოგადოების საერთო ბწუხარება გამოიწვია.

---

[1] გაზ. „ივერია“, 1890, № 101.

[2] გაზ. „ივერია“, 1890. № 104.

გაზეთი „ივერია“ ნეკროლოგში წერდა: „დიდი უმრავლესობა ამ სკოლის მოსწავლე ქალთა ეკუთვნოდა ახალციხის ულარიბეს წრესა. ეს ღარიბი მოსწავლე ქალები თავისივე ხელსაქმით ირჩენდნენ თავსა და ხშირად ეხმარებოდნენ თავის ღარიბ ოჯახსაც. გულის დამატკბობელს სანახავს წარმოადგენდა მაშინდელი ღარიბ ქალთა სკოლა ახალციხისა, დაფუძნებული ჭეშმარიტ სიყვარულზე და გონიერ შრომაზე.

ხსოვნა იმ ხანში იქ გატარებულის დროისა მთელს თავის სიცოცხლეში ცხოვრების მანათობელ სანთლად ენთება თითოეულ იმ ღარიბ ქალთათვის, რომელნიც ანა მუსხელაშვილისამ გამოიყვანა სიბნელიდან და მისცა შეძლება სწავლა-ცოდნის შეძენისა.

ასეთი სამაგალითო სკოლის დაარსება შეეძლო მხოლოდ ისეთს იშვიათს ადამიანს, როგორიც იყო განსვენებული ანეტა, რომლისთვისაც არ არსებობდა არაფერი კერძო, საკუთარი ინტერესი. იმის ცხოვრება მთლად ეკუთვნოდა მის სკოლას, რომლითაც განახორციელა თავისი საზოგადო მოღვაწეობა“.[1]

ანა ღოღობერიძე-მუსაელაშვილისა მონაწილეობას ღებულობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებისა და მისი მუშაობის საქმეში.

ცნობილი პედაგოგი, ნწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი წერდა. რომ „ამავე წრეს ამშვენებდა ხანდიხან ახალციხიდან ჩამოსვლის დროს ანა ბესარიონის ასული მუსხელაშვილისა, ღვიძლი და ნიკოლოზ ღოღობერიძისა. ეს იმერეთის ასული მაშინ საუკეთესო მანდილოსნად იყო მიჩნეული მთელს შეგნებულს საქართველოში თავისი იშვიათი ჭკუით, მომბიბლავი გულკეთილობით, დარბაისლური ხასიათით და მხურვალე მონაწილეობით ყველა საზოგადო საქმეში“.[2]

ნაამაგარი სახალხო მასწავლებლისა და საზოგადო მო-

---

[1] გაზ. „ივერია“. 1890. № 112.

[2] ჟურ. „განათლება“, 1912, № 2.

ღვაწის ანა ღოღობერიძე-მუსხელაშვილის ხსოვნისადმი ძი-ძღვნილ ლექსში მწერალი ნინო ორბელიანი წერდა:

...შენ არ მოკვდები, იცოცხლებ ჩვენში.
შენს შრომას ვერვინ ვერ დაივიწყებს.
შთამომავლობა შენგან აღზრდილი
შენს წმინდა საფლავს გრძნობით აკურთხებს.

ბოიგონებენ მათი მშობელნიც.
ვინც შენის შრომით კაცად ქცეულან.
ვინც ბნელში მყოფნი შენისა ღვაწლით
იმ სიბნელისგან გამორკვეულან.[1]

1867 წელს ქალაქ გორში გაიხსნა ე. წ. „ნასადილევის კლასები ქალთათვის“.

ამ სკოლას იმიტომ ეწოდებოდა „ნასადილევის კლასები“, რომ იგი საკუთარი სასკოლო ბინისა და საკუთარი მასწავლებლების უყოლობის გამო, ვაჟთა გიმნაზიის შენობაში იყო მოთავსებული და მეცადინეობა ნასადილევს, ე. ი. მეორე ცვლაში წარმოებდა.

1881 წელს ამ სკოლას ეწოდა ანასტასიას სახელობის ქალთა გორის პროგიმნაზია, რომელმაც 1903 წლამდე იარსება (23 წლის განმავლობაში იგი 4-კლასიანი პროგიმნაზია იყო და მას შემდეგ, რაც სასწავლებელი მყარ ნიადაგზე დადგა, თანდათან დაიწყო საგიმნაზიო კლასების გახსნა).

დაწყებითი განათლების გაშლა ქალთა და ვაჟთა დაწყებითი სკოლების ქსელის გაფართოების საბით, რომელიც მე-19 ს. სამოციან წლებში დაიწყო, უეჭველია, უფრო სწრაფი ტემპით წარიმართებოდა, რომ მისთვის სხვა მიზეზებთან ერთად ხელი არ შეეშალა მასწავლებელთა კადრების დიდ სიმცირეს, რასაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის 60—70-იანი წლების საქართველოში.

2. პედაგოგიური განათლება 60-70-იან წლებში

დაწყებითი სკოლის მზარდი ქსელისათვის მასწავლებელთა მომზადების აუცილებლობის გამო, მე-19 საუკუნის 60-იანი

---

[1] გაზ. „იერია“, 1890, № 104.

წლებიდან საქართველოში იწყება საშუალო პედაგოგიური განათლების დაწესებულებათა აღმოცენება.

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ თუ რა ადგილი ეჭირა აღნიშნული პერიოდის პედაგოგიური განათლების საერთო სისტემაში ქალთა პედაგოგიურ განათლებას, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ვაჟთა პედაგოგიური განათლების დაწესებულებებს ამავე პერიოდში.

* * *

პირველი ნაბიჯი მე-19 ს. 60-იანი წლების ვაჟთა პედაგოგიური განათლების დაწესებულებათა შექმნის მიმართულებით გადადგა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ", რომელიც კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში პირველდაწყებით სასწავლებელთა დაარსებას აწარმოებდა. 1865 წლისათვის ამ საზოგადოებას კავკასიაში ჰქონდა 58 სკოლა 1000-ზე მეტი მოსწავლით, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე 32 სკოლა 627 მოსწავლით. აღნიშნულ საზოგადოებას მასწავლებელთა კადრების სიმცირის გამო, არამც თუ ახალი სკოლების გახსნა აღარ შეეძლო, არამედ იმ სკოლების მოვლაც უჭირდა, რომლებიც უკვე არსებობდა.

საზოგადოების წესდება, თუმცა ითვალისწინებდა აღნიშნულ სკოლებში მასწავლებლებად საეკლესიო პირების გამოყენებას, მაგრამ მთიანეთის საღვდელოება გამოუსადეგარი შეიქნა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, როგორც საშსაპურებრივი გადატვირთვისა, ისე მათი თეორიული მოუმზადებლობის გამო. „საზოგადოების" მიერ აღნიშნული საკითხის შესახებ შედგენილ განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: „ჩაშოთვლილი ნაკლოვანებანი პირდაპირ მიუთითებენ, რომ აუცილებელია შეიქმნას დაწესებულება, რომელიც სპეციალურად მოამზადებს მთიანი მხარის დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლებს".[1]

1864 წლის 14 ოქტომბერს „კავკასიაში მართლმადიდებე-

[1] ცსსა, ფონდი 141, საქმე № 48.

ლი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ გამგეობამ მეფის მოადგილის მთავარსამმართველოში წარადგინა „თბილისის სამასწავლებლო სემინარიის წესდების“ პროექტი და ითხოვა მისი დამტკიცება.

თუმცა „კავკასიის ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“ საქმის დასაჩქარებლად ითვალისწინებდა სათანადო სახსრების გაღებას და კავკასიის და ამიერკავკასიის მხარის სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორი ნეველოვი ყოველნაირად ცდილობდა სამასწავლებლო სემინარიის დაარსების პროექტის დროულად განხილვას, ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებამ მაინც რამდენიმე წელს დაიგვიანა. სამასწავლებლო სემინარია, ანუ როგორც მას ოფიციალურად ერქვა, „ალექსანდრეს საბელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლა“. გახსნილი იქნა 1866 წლის შემოდგომაზე.

ეს სკოლა შეიცავდა 3 კლასს სწავლების სამწლიანი კურსით. ღებულობდნენ დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულთ, მაგრამ არა ნაკლებ 16 წლის ასაკისა. მიღება შეიძლებოდა აგრეთვე დაწყებითი სკოლის კურსზე გამოცდების ჩაბარების შედეგად.

სკოლის გახსნისთანავე პირველ კლასში მიღებულ იქნა 23 მოსწავლე (აქედან 16 ქართველი), მაგრამ მსურველთა რიცხვი ბევრად მეტი იყო. ამის გამო მოწაფეთა რიცხვი ადმინისტრაციამ 40-მდე გაადიდა.

თბილისის სამასწავლებლო სკოლასთან არსებობდა პანსიონი, სადაც ცხოვრობდა მოწაფეთა უმრავლესობა.

ადმინისტრაციულად სკოლა ექვემდებარებოდა „ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას“, ხოლო სასწავლო-პედაგოგიურ მუშაობაში—კავკასიის სასწავლო ოლქის სასწავლებელთა მთავარ ინსპექტორს.

თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლაში ისწავლებოდა: 1) საღვთო სჯული, 2) რუსული ენა, 3) პედაგოგიკა, დაწყებითი სკოლის დისციპლინების კერძო მეთოდებით, 4) ისტორია, 5) გეოგრაფია, 6) არითმეტიკა, 7) გეო-

მეტრია, 8) ჰიგიენა, 9) პოპულარული მედიცინა, 10) ბუნებისმეტყველება (ზოგადი ცნობები), 11) სუფთა წერა, 12) ხაზვახატვა, 13) გალობა, 14) გიმნასტიკა. მშობლიური ენა ისწავლებოდა სავალდებულო გაკვეთილების შემდეგ, კვირაში 4 საათს.

„ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლა იზიდავდა ახალგაზრდობას იმით, რომ იგი ამზადებდა არა მარტო ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების, არაშედ, საერთოდ, საქართველოს ყველა დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს, წარმოადგენდა საერო ტიპის სასწავლებელს, რომელიც თავისუფალი უნდა ყოფილიყო სასულიერო სასწავლებელთა და გიმნაზიაში გამეფებული სქოლასტიკურ-დოგმატიკური მეთოდებისა და ადამიანის ღირსების დამამცირებელი რეჟიმისაგან“.[1]

ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა სპეციალური ინსტრუქციით ხელმძღვანელობდა („ინსტრუქცია ალექსანდრეს სახელობის სკოლის მასწავლებელ-აღმზრდელებს“).

1869 წელს სამასწავლებლო სკოლამ პირველი გამოშვებით 13 კვალიფიციური პედაგოგი მისცა საქართველოს დაწყებით სკოლებს.

1871 წელს „ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ გამგებლობიდან სამასწავლებლო სკოლა გადაეცა კავკასიის სასწავლო ოლქს და სახაზინო ხარჯზე გადავიდა.

70-იანი წლების დასაწყისში სახალხო სკოლებში სათანადო ცვლილებები ხდება. სამაზრო სკოლებს დაემატა ერთი წელი. შეიქმნა ოთხკლასიანი (ოთხწლიანი) საქალაქო სკოლები, გადიდდა დაწყებითი სკოლების ქსელი. საჭირო შეიქნა უფრო კვალიფიციური მასწავლებლების მომზადება. ამ აუცილებლობამ, ს

გადაკეთება ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლო-ინსტიტუტად 1871 წელს.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში საქართველოში სახელმწიფო ხარჯზე მყოფ პირველდაწყებით სასწავლებელთა რიცხვი შეტად მცირე იყო, სამაგიეროდ სოფლის საზოგადოებისა და კერძო პირთა თაოსნობით დაარსებული პირველდაწყებითი სკოლები კი თანდათან მრავლდებოდა.

1873 წელს კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა გამოთქვა აზრი ამიერკავკასიის თითოეულ გუბერნიაში სახალხო სკოლების თანდათანობით გახსნის შესახებ.

ამასთან ერთად 1874 წლის 6 მაისს სასწავლო ოლქის მზრუნველმა დააყენა საკითხი ამიერკავკასიის ქართულ, სომხურ და ნაწილობრივ თათრულ (აზერბაიჯანულ) დაწყებით სასწავლებელთა მასწავლებლების მოსამზადებლად შემდეგი წლიდან გახსნილიყო ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია და ამ სასწავლებლებისათვის გამოითხოვა ყოველწლიურად 21.500 მანეთი.

განხილვისა და შესწორების შემდეგ 1874 წლის 11 ივლისს ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დებულება და შტატი დასაბეჭდად პეტერბურგში გაიგზავნა. ერთი წლის შემდეგ გადაწყდა ამიერკავკასიის მიარის დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა მოსამზადებლად გახსნილიყო სამასწავლებლო სემინარია, მაგრამ ფაქტიურად აღნიშნული სემინარია გაიხსნა 1876 წელს ქ. გორში.

სემინარიისათვის დაქირავებულ იქნა ზუბალაშვილის სახლი. სწავლა 1876 წლის 12 სექტემბერს დაიწყო. სასწავლებელში 48 მოსწავლე ითვლებოდა, ამათგან 31 ქართველი იყო. მასწავლებლებიდან სკოლაში იყო ორი ქართველი პედაგოგი: საღვთო სჯულისა — ლაზარე ალექსის-ძე ტურიაშვილი, რომე-

ლიც ისტორიასაც ასწავლიდა და ფარნაოზ სიმონის-ძე ნათიშვილი, რომელიც ასწავლიდა ქართულს და მასთან ერთად სიმღერასა და გიმნასტიკას.

სემინარიის პირველი დირექტორი იყო სპირიდონ დიმიტრის-ძე დივარი, რომელიც მათემატიკას ასწავლიდა,

გორის სამასწავლებლო სემინარია პირველი პედაგოგიური სასწავლებელი იყო ამიერკავკასიაში, რომელიც მიზნად ისახავდა: „ამიერკავკასიის მკვიდრი ერების—ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების და აგრეთვე ამიერკავკასიაში მუდმივად მცხოვრები რუსი ახალგაზრდების სახალხო მასწავლებლებად მომზადებას და დაწყებითი სკოლების რამდენადმე მაინც კადრებით უზრუნველყოფას. ამ მხრივ გორის სემინარიამ თავისი 42 წლის არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა და საკმაოდ დახელოვნებული მასწავლებლები გამოუშვა, რომელთა რიცხვი 700-ს აღემატება".[1]

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გორის სამასწავლებლო სემინარია ყველა სემინარიისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი მრავალეროვანი იყო, ხანდახან ოცზე მეტ სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეს ითვლიდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტი იყვნენ ქართველები, რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები.

მიუხედავად ცარიზმის ცდისა, ჩამოეგდო შუღლი სხვადასხვა ეროვნებათა შორის, ისინი აქ ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და უმეგობრდებოდნენ.

სემინარიაში ისწავლებოდა პედაგოგიკა, რუსული ენა და ლიტერატურა, ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული), ფიზიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია, საღვთო სჯული, გეოგრაფია; სასკოლო ჰიგიენა, ბუნებისმეტყველება, სუფთა წერა, ხაზვა, ხატვა გიმნასტიკა; სიმღერა-მუსიკა. ამას გარდა ტარდებოდა პრაქტიკული გაკვეთილები პედაგოგიკაში და ისწავლებოდა სოფლის მეურნეობა და სახელოსნო საქმე.

---

[1] მ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, გორის სამასწავლებლო სემინარია, 1956, გვ. 156.

გორის სამასწავლებლო სემინარიის ერთ-ერთი წამყვანი საგანი პედაგოგიკა იყო.

ამ საგანს გორის სემინარიაში, როგორც წესი, დირექტორები ასწავლიდნენ და პროგრამებსაც თითონვე ადგენდნენ, გამონაკლისი იყო მხოლოდ ს. დივარი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათემატიკას ასწავლიდა.

პედაგოგიკის ზემოჩამოთვლილი მასწავლებლებიდან საუკეთესო იყო დ. სემიონოვის მიერ შედგენილი პროგრამა, რომელსაც წინ უძღვის მეტად საყურადღებო განმარტებითი ბარათი „საფუძვლები" და პროგრამა სპეციალურ-პედაგოგიური განათლებისა ამიერკავკასიის საქასწავლებლო სემინარიაში.

დ. სემიონოვი აღნიშნავდა, რომ „სამასწავლებლო სემინარიებში პედაგოგიკის სწავლების პრაქტიკული მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მომავალ სახალხო მასწავლებლებს განვუვითაროთ მასწრაფება შეგნებულად დაიწყონ სასწავლო-საალმზრდელო მოღვაწეობა და მივცეთ საშუალება გაიგონ პედაგოგიური თხზულებანი და ამით შემდეგში შეავსონ თავისი პედაგოგიური განათლება, რასაც სემინარიაში მხოლოდ პირველი საფუძვლები ეყრება. მეორეც, აბალგაზრდა მასწავლებლებს უნდა მივცეთ საშუალება სასწავლო დაწესებულებებიდან გამოსვლისას, წარმატებით, დიდი წვალებისა და უხეში შეცდომების გარეშე, შეუდგნენ ბავშვების აღზრდას და პირველ დაწყებით სწავლებას".[1]

სემიონოვის აზრით, ამ მიზანს რომ მივაღწიოთ, საჭიროა მომავალი სახალხო მასწავლებლები გავაცნობიეროთ პედაგოგიკის თეორიაში, პედაგოგიკის მონათესავე მეცნიერებებში და გამოვიმუშაოთ მათში აუცილებლად საჭირო პედაგოგიური ჩვევები, რომლებიც მათ მომავალ პედაგოგიურ მუშაობაში გამოადგებათ.

ამის გამო დ. სემიონოვს პედაგოგიკის პროგრამაში შეტანილი აქვს: „საკუთრივ პედაგოგიკა, დიდაქტიკა, სპეციალური მეთოდიკა თითოეული საგნისა, აღზრდის ისტორია, ცნობები ფსიქოლოგიიდან და ლოლიკიდან.

---

[1] მ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, გორის სამასწავლებლო სემინარია, 1955, გვ. 45.

დ. სემიონოვმა პედაგოგიკის პროგრამა ააგო კონცენტრულ სისტემაზე, რადგან იგი მას განსაკუთრებით არჩევდა".[1]

პედაგოგიკისათვის განკუთვნილი საათების სიმცირის გამო პედაგოგიკის ისტორია არ ისწავლებოდა. მის ნაცვლად პედაგოგიკის მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობდა გამოჩენილ პედაგოგთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ასეთ პედაგოგთაგან სემიონოვს თავის პროგრამაში შეტანილი აქვს: იან ამოს კომენსკი, ჰენრიხ პესტალოცი, ფრიდრიხ ფრებელი და ადოლფ დისტერვეგი. მისი აზრით ამ პედაგოგთა სამასწავლებლო მოღვაწეობა და პირადი ცხოვრება ბრწყინვალე მაგალითის მიმცემი იქნება ახალგაზრდა პედაგოგისათვის, თუ როგორ თავდადებით და უანგაროდ უნდა ემსახუროს იგი თავის საქმეს ბავშვის აღზრდისას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პედაგოგიკის სხვადასხვა მასწავლებელი სხვადასხვანაირად ადგენდა დასახელებული საგნის პროგრამას. ასე, მაგალითად, ნ. ა. მიროპიევმა პედაგოგიკის პროგრამიდან სრულიად ამოიღო პედაგოგიკის ისტორიის საკითხები და ცნობილ პედაგოგთა ცხოვრება-მოღვაწეობა, სამაგიეროდ სლოვინსკიმ პროგრამაში დატოვა ზემოდასახელებული პედაგოგები და მათ ჟან-ჟაკ რუსოც დაუმატა და ზოგიერთ საკითხთა გადაჯგუფება მოახდინა.

გორის სამასწავლებლო სემინარიის პედაგოგიკის მასწავლებელთა შორის ყველაზე პროგრესული იყო კ. დ. უშინსკის მოწაფე და მეგობარი დ. სემიონოვი, რომლის დროსაც პედაგოგიკა და პედაგოგიური პრაქტიკა ყველაზე უფრო საფუძვლიანად ისწავლებოდა.

გორის სამასწავლებლო სემინარიამ თავისი არსებობის მანძილზე არა ერთი სახელოვანი სახალხო მასწავლებელი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე გამოზარდა. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ: ვაჟა-ფშაველა, ლადო აღნიაშვილი, ალექსანდრე ნათაძე, ვანო ავალიშვილი, ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა), თედო რაზიკაშვილი, ვანო გიუნაშვილი,

---

[1] მ. კეკელიძე. გორის სამასწავლებლო სემინარია, 1955, გვ. 43—44

ტარასი მამალაძე, ნიკო ჯანაშია. თეოფილე ხუსკივაძე და სხვები.

გორის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია: ვ. ნ. პავლოვი, არ. ქუთათელაძე, ნ. ნოვოსასკი, მ. ქ. ყიფიანი, ნ. ლომოური, კ. მ. ბალინინი, მ. ი. რაზუმოვსკი, პ. გ. პეტროვი და სხვ.

გორის სამასწავლებლო სემინარიის კურსდასრულებულთაგან ზოგმა პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ორიგინალური სახელმძღვანელოებიც კი დაბეჭდა.

გორის სამასწავლებლო სემინარიის გაახსნის შემდეგ ასეთივე სემინარია დაარსდა ქ. ბონშიც. ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოება პირველდაწყებით საჯალბო სკოლების გახსნასთან ერთად 60-იანი წლებიდანვე ცდილობდა თავის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნას.

ქუთაისის გუბერნიის საზოგადოების სწრაფვა განათლების მისაღებად დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა ასე გამოსატა: „მთელ დედამიწის ზურგზედ ვერ მოსძებნით იმასთანა კუთხეს. სადაც ხალხსა ჰქონდეს იმაზედ მომეტებული წადილი სწავლისა და ცოდნისა. როგორიც არსებობს დასავლეთ საქართველოში“ [1]

შეიძლება თამამად ითქვას. რომ მე-19 ს. 60-იანი წლებიდან. ქალაქ თბილისის შემდეგ. საქართველოს არც ერთ გუბერნიაში იმდენი პირველდაწყებითი სკოლები არ იხსნებოდა. როგორც ქუთაისის გუბერნიაში.

ქუთაისის გუბერნიის მოსაალეობის აღნიშნული ინიციატივა ჰქონდა მიედველობაში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს. როცა 1875 წელს ერთ თავის ანგარიშში წერდა: „ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა კუთხის მისწრაფება განათლების მიღებისაკენ ხვდება წინააღმდეგობას. უმთავრესად; იმის გამო, რომ არა ჰყავთ წესიერად მომზადებული მასწავლებლები“. [2]

---

[1] ი. გოგებაშვილი. პედაგოგიური თხზულებანი, 1910. ტ II. გვ. 77.

[2] Циркуляр. 1875. № 5—6. გვ. 20.

ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის დაარსება გადაუდებელ საქმედ გადაიქცა.

1880 წლის 20 ოქტომბერს უმაღლესად გადაწყდა ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის დაარსების საკითხი.

გაიგო თუ არა ხონის საზოგადოებამ, რომ ნებადართულია ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნა, მან მოითხოვა, რომ იგი გახსნილიყო დაბა ხონში, ქუთაისის საზოგადოება კი სემინარიის გახსნას ითხოვდა ქალაქ ქუთაისში.

დავამ ამ საკითხის შესახებ პრესაშიაც ჰპოვა გამოძახილი, მაგრამ ხონელებმა გაიმარჯვეს და სამასწავლებლო სემინარიამ მუშაობა დაიწყო ხონში 1881 წლიდან.

ხონის სამასწავლებლო სემინარიამ არა ერთი კვალიფიციური სახალხო მასწავლებელი გამოზარდა, რომელნიც პატიოსან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ა) პედაგოგიური კურსები

მე-19 საუკუნის 60-იანი და 70-იანი წლების ქართული პედაგოგიური განათლების სისტემაში აღნიშნულ დაწესებულებებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პედაგოგიურ კურსებს, რომლებიც უმთავრესად სასწავლო დაწესებულებებთან არსებობდა, მაგრამ ეს კურსები ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას და, რა თქმა უნდა, მართალი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, როცა წერდა, რომ „დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადების ეს საშუალება, მიუხედავად მიღწეული გამოცდილებისა, უნდა ჩაითვალოს მხოლოდ დროებით საშუალებად, რომლითაც მხოლოდ ცოტა თუ ბევრად მოფიქრებული პირველდაწყებითი სწავლების მწვავე მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება“.[1]

მასწავლებელთა მომზადება-გადამზადებას საერო განათლების უწყების გარდა აწარმოებდა სასულიერო ეპარქიაც.

ასე მაგალითად: 1866 წელს თბილისის სასულიერო სემი-

[1] Циркуляр, 1875, № 5—6 გვ. 20.

ნარიასთან ღვთისმეტყველების მაგისტრის მღვდელ გიორგი ხელაძის ინიციატივით დაარსებულ იქნა პედაგოგიური კურსები. ამ კურსებზე ღებულობდნენ სემინარიადასრულებულებს, რომელთაც მასწავლებლობა უნდოდათ. კურსები ერთწლიანი იყო. რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და სასულიერო სასწავლებელთათვის.

* * *

60-იანი და 70-იანი წლების ვაჟთა პედაგოგიური სასწავლებლები თავიანთი კადრების რიცხვითა და ხარისხით მთავარ როლს თამაშობდნენ აღნიშნული პერიოდის დაწყებებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადების საქმეში, მაგრამ ეს სასწავლებლები, როგორც საბელმწიფო დაწესებულებები, უმთავრესად საბელმწიფო სკოლებისათვის ამზადებდა მასწავლებლებს, მათაც არასაკმაო რაოდენობით. რაც შეეხება კერძო და საქველმოქმედო საზოგადოებათა სკოლებისა და პანსიონების მასწავლებლებს, აგრეთვე საშინაო მასწავლებლებსა და აღმზრდელებს და სასულიერო წოდების ქალთა სკოლებისა და ქალთა პროფესიული სკოლების მასწავლებლებს, ისინი უმთავრესად ქალთა პედაგოგიურ სასწავლებლებში მზადდებოდნენ და, ამდენად, ამ უკანასკნელთა როლი მასწავლებელთა კადრების მომზადების საქმეში განუწყვეტლად იზრდებოდა როგორც 60 —70-იან წლებში, ისე შემდგომ პერიოდში.

60—70-იანი წლების ქალთა პედაგოგიურ სასწავლებლებზე ლაპარაკის დროს ჩვენ მბედველობაში გვაქვს: 1) თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი, 2) თბილისისა და ქუთაისის ქალთა გიმნაზიების მე-8 პედაგოგიური კლასები, 3) წმინდა ნინოს საეკლესიო სკოლების თბილისის, ქუთაისისა და თელავის ქალთა სასწავლებლები, 4) თბილისისა და ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებლები. 5) თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი და 6) ქალთა პედაგოგიური კურსები.

ზოგიერთ ამ სასწავლებელთა მუშაობას ჩვენ უკვე ვიცნობთ, რამდენადაც ისინი მე-19 ს. პირველ ნახევარში წარ-

მოიშვენ და ამ შრომის პირველ ნაწილში უკვე გვქონდა ლაპარაკი მათ შესახებ.

გავეცნოთ დანარჩენებსაც.

3. თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი

როგორც აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოში არ იყო სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლები. ამიერკავკასიისა და კავკასიის სასწავლებელთა იმ დროის დებულებებში ასეთი სასწავლებლები არ იყო ნაგულისხმევი. მართალია, ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, წმინდა ნინოს სასწავლებლები და კერძო პანსიონები ამზადებდნენ მასწავლებლებს, მაგრამ სპეციალური განათლების გარეშე. აქასთან ამ სასწავლებლებში განათლების მიღების შესაძლებლობა ჰქონდათ მხოლოდ კეთილშობილ და შეძლებული ოჯახის ქალებს. ეს დახურული ტიპის სასწავლებლები ვერ აკმაყოფილებდა პედაგოგების ნზარდ მოთხოვნილებას, რის გამოც გადაწყდა თბილისში გაეხსნათ პირველი ღია ქალთა პედაგოგიური სასწავლებელი კავკასიის სკოლების მთავარი ინსპექტორის წარდგენით.

1865 წლის 12 მარტს დამტკიცდა თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებლის პროექტი და მაშინვე შეუდგნენ მზადებას სასწავლებლის გაბსნისათვის. სკოლის დირექტორად დაინიშნა ნადვორნი სოვეტნიკი ვ. ი. ჟელიხოვსკი, და 1865 წლის ჟურნალ „ცისკარში“[1] გამოქვეყნებული იყო ამ სასწავლებლის წესდება. წესდებაში, რომელიც ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში, ვკითხულობთ:

„თბილისის ქალთა სასწავლებელი არსდება იმ მიზნით, რომ ქალაქის მცხოვრებთ მიეცეთ საშუალება მიაღებინონ თავიანთ ქალიშვილებს მათი მოთხოვნილების შესაფერისი განათლება ოჯახიდან მოუწყვეტლად“.[2]

სასწავლებელი იმყოფებოდა დედოფალ ოლღა თედორეს ასულის ხარჯზე და აგრეთვე, ერთდროულსა და მუდმივ შემო-

---

[1] ჟურ. „ცისკარი“, 1865, № 3.

[2] ცსსა, ფონდი 422, საქმე № 214.

წირულებებზე. ამას გარდა აღნიშნული სასწავლებელი ყოველწლიურად ღებულობდა სათანადო დოტაციას.

ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი უშუალოდ ექვემდებარებოდა მზრუნველთა საბჭოს, რომელიც შედგებოდა: სასწავლებლის მზრუნველის, კავკასიის სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორის, თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლის, დირექტორის, ქალაქის თაეისა და მთავარი ზედამხედველისაგან.

საბჭოს უფლებებსა და, მოვალეობებში შედიოდა სასწავლებლის საარსებო წყაროების გამონაბვა, სასწავლო გეგმის დამტკიცება, საგნების განაწილება კლასების მიხედვით, პროგრამების შედგენა; ანგარიშებისა და საკლასო წიგნების შემოწმება (რევიზია), შინაგანაწესის დადგენა და ინსტრუქციები მომსაბურე პერსონალისათვის, სასწავლო-საეალდებულო თანხის ოდენობის დადგენა, სასწავლო-საეალდებულო ხელმოკლე მოსწავლეების გადასაბადიდან განთავისუფლება იმ ანგარიშით, რომ განთავისუფლებულთა რიცხვი 10% არ აღმატებოდა, მზრუნველობა და საჩუქრები იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც გამოიჩეოდნენ კარგი სწავლითა და წესიერი ყოფაქცევით, მეთვალყურეობა მოსწავლეთა გონებრივ და ხნეობრივ განვითარებაზე.

მზრუნველთა საბჭო იკრიბებოდა ყოველი თვის დასაწყისში, აუცილებელ შემთხვევაში კი, რიგგარეშე.

სასწავლებლის მმართველობა დაკისრებული ჰქონდა დირექტორს, რომელიც ინიშნებოდა მზრუნველთა საბჭოს მიერ.

სასწავლებლის მმართველობაში შედიოდნენ მთავარი ზედამხედველი, დამრიგებელი (ქალები), ნათი დამხმარენი და მასწავლებლები.

უფროსი ზედამხედველი დირექტორის პირველ მოადგილედ ითვლებოდა.

მზრუნველთა საბჭოს ეკისრებოდა სასწავლო საგნების განაწილება კლასების მიხედვით, სასწავლო პროგრამების შედგენა, მასწავლებლების შერჩევა, გამოცდების მოწყობა, მოსწავლეთა მიღება, ერთი კლასიდან ნეორეში გადაყვანა, სასწავლებლიდან გარიცხვა და სხვა საკითხები.

მოსწავლეთა მიღება სასწავლებლის პირველ კლასში სას-

წავლო წლის დასაწყისში ხდებოდა, ხოლო სხვა კლასებში (გამოცდების ჩაბარებით)—მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. პირველ კლასში მიიღებოდნენ 8 წლის ასაკის გოგონები, გამონაკლის შემთხვევაში მზრუნველთა საბჭოს უფლება ჰქონდა მიეღო 7 წლის ასაკისა, უკეთუ ამ ასაკში გონებრივად მომწიფებული აღმოჩნდებოდნენ. პირველ კლასში შემსვლელთათვის წინასწარ მომზადება არ იყო საჭირო, ხოლო იმ შემთხვევაში თუ. მოსწავლე სხვა კლასში შედიოდა, სავალდებულო იყო გამოცდები იმ კლასის პროგრამით ჩაებარებინა. რომელშიც უნდა ჩარიცხულიყო. საბჭო მოსწავლეთა მიერ კურსის დამთავრებას 18 წლის ასაკში ითვალისწინებდა.

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფ ქალთა სასწავლებლები 1860 წლის 10 ივნისის დებულების საფუძველზე ორ თანრიგად იყოფოდა: პირველი თანრიგის სასწავლებლები კურსით უთანაბრდებოდენ ვაჟთა გიმნაზიებს, მეორე თანრიგის სასწავლებლები კი—სამაზრო სასწავლებლებს.

პირველი თანრიგის სასწავლებლებში სწავლის კურსი ექვსი წლით განისაზღვრებოდა, ხოლო მეორე თანრიგის სასწავლებელში სწავლება სამწლიანი იყო.

ზემოდასახელებული დებულების 26-ე პუნქტის საფუძველზე, როგორც პირველი, ისე მეორე თანრიგის სასწავლებლებში შესაძლებელი იყო მოსამზადებელი კლასის არსებობა. ამგვარად, პირველი თანრიგის სასწავლებლებში სწავლის ხანგრძლიობა შვიდ წელს გრძელდებოდა.

პირველი თანრიგის სასწავლო კურსი სამ ციკლად იყოფოდა:

1) ელემენტარული, ანუ პირველი საფეხურის სასწავლებელი, რომელიც შეიცავდა ორ კლასს (I და II კლასებს) სწავლების ორწლიანი კურსით:

2) ზოგადი განათლების, ანუ მეორე საფეხურის სასწავლებელი. რომელიც განისაზღვრებოდა ორი კლასით (III და IV კლასებით) სწავლების ორწლიანი კურსით და

3) სპეციალურ-პედაგოგიური ანუ მესამე საფეხურის სას-

წავლებელი, რომელიც ორ კლასს შეიცავდა (V —VI კლასებს) (სწავლების ორწლიანი კურსით).

პირველ საფეხურზე შემდეგი დისციპლინები ისწავლებოდა: 1) საღვთო სჯული, მოკლე კატეხიზმო, ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, 2) წერა-კითხვა რუსულ ენაზე, 3) წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე, 4) არითმეტიკა ოთხი მოქმედების ფარგლებში და აგრეთვე 5) ზოგიერთი დისციპლინის ელემენტარული კურსი, რომლის შერჩევა დამოკიდებული იყო სასწავლებლის ადმინისტრაციაზე. პირველი საფეხურის კლასებში ფაკულტატურული საგნებიდან ისწავლებოდა: ფრანგული და გერმანული ენები, ცეკვა და მუსიკა.

მეორე საფეხურზე ანუ ზოგადი განათლების კლასებში ისწავლებოდა: 1) საღვთო წერილი, ძველი და ახალი აღთქმის ეკლესიური ისტორია, ლიტურგია და ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, 2) რუსული ენა და სიტყვიერება, 3) ზოგადი და რუსეთის ისტორია, 4) ზოგადი და რუსეთის გეოგრაფია, 5) არითმეტიკა და მათემატიკური განზომილების ელემენტები, 6) ფილოსოფიური პროპედევტიკა, 7) სუფთა წერა, 8) ხატვა, 9) ხელსაქმე, 10) გალობა და 11) მშობლიური ენა. მეორე საფეხურის ციკლში ფაკულტატურულ საგნებად შედიოდა გერმანული, ფრანგული, ქართული, სომხური და თათრული ენები, ცეკვა და მუსიკა.

რაც შეეხება მესამე სპეციალურ პედაგოგიურ ციკლს, აქ ხდებოდა I და II საფეხურის სასწავლებელში გავლილი დისციპლინების ცოდნის გაღრმავება მათი განმეორების გზით, ახალ საგნებად კი ემატებოდა ზოგადი პედაგოგიკის საფუძვლები დიდაქტიკით, და პრაქტიკული გაკვეთილების გადაცემა დაბალ კლასებში.

არასავალდებულო საგნების (გერმანული, ფრანგული, ქართული, სომხური, თათრული ენების, ცეკვისა და მუსიკის) სწავლებისათვის დაწესებული იყო სწავლის ქირა მზრუნველთა საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობით.

ადგილობრივი ყველა მოსწავლე ქალი მშობლიურ ენას უფასოდ სწავლობდა.

თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებლის სპეციალური. ანუ პედაგოგიური კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ენიჭებოდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის უფლება და „საშინაო მასწავლებლის“ წოდება.

სასწავლებლის დირექტორი წოდებით და ხელფასით უთანაბრდებოდა გიმნაზიის დირექტორებს. მასწავლებლები, რომელნიც არ იმყოფებოდნენ სახელმწიფო სამსახურში, სასწავლებლის ზედამხედველი, კლასის დამრიგებლები და მათი თანაშემწეები სარგებლობდნენ საშინაო მასწავლებლის უფლებებით.

თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებლის 1860 წლის 12 მარტის დებულების საფუძველზე მზრუნველთა საბჭოს ყველა საპატიო წევრი, ვიდრე ისინი ამ საბჭოს წევრებად ითვლებოდნენ, ატარებდნენ სახალხო განათლების სამინისტროს უწყების მერვე თანრიგის მუნდიროს ისეთივე სახისას, როგორსაც იმპერიის მსგავს სასწავლებელთა საბჭოების საპატიო წევრები.

თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელში სწავლის ქირა დაწესებული იყო წელიწადში 150 მან. რაოდენობით. სასწავლებელში მომსახურე პერსონალის ბავშვებს სწავლის ქირა არ ხდებოდათ.

სასწავლებლის მეურნეობის შემოწმება ევალებოდა მზრუნველთა საბჭოს, რომელსაც უფლება ჰქონდა დაენიშნა რევიზია, როდესაც საჭიროდ სცნობდა.

თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებლის გახსნის წელს სასწავლებელში მიღება წარმოებდა მხოლოდ პირველ ორ კლასში და მიღებულ იქნა 107 ქალიშვილი 7—9 წლის ასაკისა. თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი, როგორც სასწავლო, ისე ხელმძღვანელობის მხრივ, სისტემატურად რეორგანიზაციას განიცდიდა, სანამ ის არ გადაკეთდა ქალთა გიმნაზიად, რაც მოხდა 1870 წლის ნოემბერში.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლის მიზანი იყო მოემზადებინა მასწავლებელი ქალები, მან ვერ შეძლო სათანა-

დო სიმაღლეზე დაეყენებინა სპეციალური პედაგოგიური მომზადების საქმე.

როგორც წესდებიდან ჩანს, მსმენელთა პედაგოგიური მომზადება სწავლების მე-5 წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ პირველი ოთხი წელი, რომელიც ზოგად განათლებას ჰქონდა დათმობილი, არ იყო საკმარისი. ამ დროის მონაკვეთში მსმენელები ვერ ასწრებდნენ იმ დისციპლინების ათვისებას, რომელიც განკუთვნილი იყო მათთვის და მე-5 სპეციალურ კლასში მოუმზადებლები გადადიოდნენ. ამიტომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მიერ საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი სასწავლო კურსის 3 წლით გადიდების შესახებ. განკუთვნილ ექვს წელს უნდა დამატებოდა კიდევ სამი წელი და, ამრიგად, 9-წლიან სასწავლებლად გადაკეთებულიყო. აქედან ორი წელი ეთმობოდა მოსამზადებელ კლასს. 6 წელი ზოგად განათლების და უკანასკნელი—სპეციალურს. პროექტის გატარება იმ პერიოდში მოუსერხებელი აღმოჩნდა, რადგან ამისათვის არც მასწავლებელია კადრები იყო და არც სათანადო საახსრები.[1]

იმ განზრახვით, რომ I თანრიგის ქალთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთებულიყო. სასწავლებელს 1870 წ. დაუმატეს მე-7, პედაგოგიური კლასი. მე-7 კლასის დამატებით იცვლებოდა სასწავლებლის მიზანი და უფლებებიც. ახლა უკვე ამ სასწავლებელმა დაიწყო „მოსწავლეთა მომზადება სამასწავლებლო მოღვაწეობისათვის სწავლა-აღზრდის საქმის თეორიული და პრაქტიკული გაცნობის საშუალებით. პედაგოგიკასა და დიდაქტიკას კითხულობდა ლ. ბ. მოძალევსკი (კვირაში 2 ს.). მე-7 კლასის მოსწავლეები გაკვეთილებს ატარებდნენ იმავე სასწავლებლის დაწყებით კლასებში“.[2]

მე-7 კლასის დამატებით იცვლება აგრეთვე მესამე საფეხურის კლასებში სასწავლო გეგმა. ამ საფეხურის ციკლს ზოგადი ხასიათი ეძლევა, რაც შემდეგში გამოიხატება: იგი გადაკეთდა V—VI კლასების გეგმის მიხედვით. მე-7 კლასის შემოღე-

---

[1] ცსსა, ფონდი 107, საქმე 218. ფურ. 143-147.

[2] იქვე, გვ. 148

ბას შეშდეგ I თანრიგის ქალთა სასწავლებელი 1870 წელს „უმაღლესი ბრძანებით“ გადაკეთდა ქალთა გიმნაზიად, 7 კლასით. ეს იყო ქალთა პირველი გიმნაზია მთელ აშიერკავკასიაში, რომელიც სპეციალურ პედაგოგიურ განათლებას აძლევდა მოსწავლე ქალებს.

4. თბილისის ქალთა პედაგოგიური კურსები

1869 წელს ცნობილი პედაგოგების ბეს. ღოლობერიძის, ლ. მოძალევსკის, ვ. ჟელიბოვსკის, რ. შენგერის თაოსნობით ქ. თბილისში, პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებლის შენობაში, შეეწყო ქალთა პედაგოგიური კურსები. სწავლების ვადა განისაზღვრებოდა 1 წლით.

1869 წლის ქართული გაზეთი „დროება“ წერილში „ქალების კურსებზე“ იუწყებოდა:

„თბილისის სასწავლებლის ზოგიერთთა მასწავლებელთა ნოემბრის თვეში მისცეს კავკასიის საგასწავლებლო მაზრის (ოლქის—რ. ს.) უფროსს (პოპეჩიტელს) შემდეგი ქაღალდი:

„პირველ დაწყებითს სწავლებაში ქალების შრომას წლითი წლობამდე უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა თბილისში.

პირველ დაწყებითს საქალებო შკოლებში და საქალებო სასწავლებელთა მდაბალს კლასებში ასწავლიან ქალები და აგას გარდა კერძო სახლებშიაც ბევრგან ასწავლიან ისინი. კარგათ მომზადებულს ქალებს ძალიან ითხოვენ და იმდენი კი არავინ არის. ამისთვის მიუცილებელად საჭირო გახდა სამოსწავლო (პედაგოგიური) კურსების დაარსება ქალებისათვის.

აგა მოთხოვნილებას სრულებით დააკმაყოფილებს საგოსწავლო პედაგოგიური კლასი, რომლის დაარსებასაც ფიქრობენ პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელთან, თუ გარეშე ქსმენელთაც ნება ექნებათ ამ კლასში სიარულისა—მასწავლებლად მომზადებისათვის.

ჩვენს საქალებო შკოლებში ეძლევა ისეთი საზოგადო სწავლა, რომელიც საჭარისი არ არის, რომ ზოგიერთი საგნები ასწავლოს შკოლაში განათლებულმა ქალმა...

ამისათვის ისეთი ქალების კურსის გახსნა, რომელიც ეხ-

ბარებოდეს კურს შესრულებულს ქალებს თავის სწავლის შევ-სებაში, მიუცილებლად საჭიროა ზემოთ მოხსენებულ სამოსწავ-ლო კლასთან.

რადგან ამ კურსებიდან უფრო მეტი მეცნიერება უნდა გამოიტანონ ქალებმა, ვინემც ყველა საქალებო შკოლებიდან, რომელნიც თბილისში არსებობდენ, ამისათვის, რომელთაც ზემოხსენებულს შკოლებში გაუთავებიათ სწავლა, ისინიც სარ-გებლობას გამოიტანენ აქედგან და საზოგადოთ სხვა ქალებიც, რომელნიც კი ისურვებენ თავის სწავლის შევსებას...

ქვემორე ხელის მომწერნი მასწავლებელნი სთხოვენ კავ-კასიის საგმოსწავლო მაზრის უფროსს, ნება მისცეს მან ამის-თანა კურსების გახსნისა, რადგანაც თავი აზრი ამ საქმეში ეკუთვნის თვითონ საგმოსწავლო მაზრის უფროსს, რომელმაც ამ წლის თებერვალს გამოაცხადა ამაზე".[1]

კურსებზე თავდაპირველად ჩარიცხულ იქნა 106 ქალი. კონტიგენტის ძირითად ნაწილს თბილისის 1-ლი თანრიგის ქალთა სასწავლებელში კურსდასრულებული ქალები შეადგენ-დნენ, მეორე ნაწილს-- სხვა ქალთა სასწავლებლებში კურსდა-სრულებულნი, მესამეს -- საშინაო განათლების მქონენი

კურსებზე ისწავლებოდა: რუსული ენა და სიტყვიერება, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ფიზიკა და ბუნებისმეტ-ყველება.

მსმენელები ესწრებოდნენ იმ საგანს, რომლის სწავლე-ბაც მათ სურდათ კურსების დამთავრების შემდეგ.

1870 წელს კურსებზე 106 ქალიდან ფიზიკას სწავლობდა 39 ქალი, მათემატიკას - 35, ბუნებისმეტყველებას— 33.

გახსნის პირველ წელს ამ კურსებზე არ ისწავლებოდა პედაგოგიკა და სხვა ისეთი საგნები, რომლებიც გარკვეულ ცოდნას მისცემდნენ ქალებს მოზარდი თაობის საერთო გან-ვითარებისა და მისი აღზრდის საქმეში, იგნორირებული იყო მომავალ დედებისათვის საჭირო და აუცილებელი ინსტრუქ-ტაჟი. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში გაზეთ „დროების" კორესპონდენტს, რომელიც ამის გამო წერდა:

---

[1] გაზ. „დროება", 1869, № 51.

„როგორც გაგვიგია, კურსების პროგრამა არ ეთანხმება იმათ დანიშნულებას: იქ ასწავლიან: საზოგადო ისტორიას, მათემატიკას, ბუნებით საგნებსა, რუსულ ენას (სამ საგნად არის გაყოფილი) და გეოგრაფიას. ვინ არ იცის, რომ ყოველი აღმზრდელისათვის და განსაკუთრებით დედისათვის აუცილებელი საჭიროა ჰიგიენის ცოდნა, ე. ი. ისეთი მეცნიერებისა, რომელიც ასწავლის სიმრთელის მოვლას. ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ ამ პედაგოგიურ კურსებში პედაგოგიას არ ასწავლიან, ე. ი. არ ასწავლიან იმ საგახს, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროა ყოველ აღმზრდელისათვის".[1]

ეს სამართლიანი შენიშვნა მაშინვე მხედველობაში ყოფილა მიღებული და უნალვე კურსებზე კვირაში ორი საათი დათმობია პედაგოგიკასა და დიდაქტიკას, რომელსაც კითხულობდა კ. დ. უშინსკი' მოწაფე—ლ. მოძალევსკი. გარდა ამისა თბილისის ქალთა კურსებზე ტარდებოდა:

1. ლექცია - საუბრები პირველდაწყებით სწავლების თეორიულ საკითხებზე, 2. განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი დაწყებითი სასწავლებლების სასწავლო პროგრამისა და საბელჭძღვანელოების გაცნობა და შესწავლა, 3. დაკვირვება პირველდაწყებითი სასწავლებლების მუშაობაზე და მისი პრაქტიკულად შესწავლა, 4. საცდელი გაკვეთილების გადაცემა, 5. დაწყებითი სკოლების სამუშაო პროგრამების შედგენა.

საშინაო მასწავლებლის წოდებისათვის გამოცდებზე დაიშვებოდნენ ის ქალები, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ განათლების საშინისტროს უწყების ქალთა პროგიმნაზია, ან ანალოგიური სასის სასწავლებელი.

მოსწავლე ქალებს, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ პროგიმნაზიის სრული კურსი და სურდათ მიეღოთ საშინაო მასწავლებლის წოდება, უნდა ჩაებარებინათ სპეციალური პედაგოგიური კლასის ყველა სავალდებულო საგანი და გადაეცათ ერთი სანიმუშო გაკვეთილი.

გამოცდა ტარდებოდა როგორც ზეპირი, ისე წერითი

---

[1] გაზ. „დროება", 1870, № 58.

სახით. ჯერ ზეპირი გამოცდა წარმოებდა საღვთო სჯულში. ვინც ამ გამოცდას ჩააბარებდა, ნება ეძლეოდა წერითი გამოცდისა იმ საგნებში, რომელსაც სპეციალობად აირჩევდა შემდეგი საგნებიდან: რუსული ენა და სიტყვიერება, არითმეტიკა, გეოგრაფია და ისტორია.

წერითი ნაბუშევრის მოწონების შემდეგ აბიტურიენტი დაიშვებოდა ამ საგნის ზეპირ გამოცდაზე, რის შემდეგ იგი ვალდებული იყო ჩაეტარებინა ერთი სანიმუშო გაკვეთილი რუსული ენიდან და არითმეტიკიდან.

შეფასება სდებოდა ბუთნიშნიანი სისტემით: 5—ნიშნავდა წარჩინებულ წარმატებას, 4—„კარგს", 3—„დამაკმაყოფილებელს", 2—„სუსტს" და 1—„ცუდს".

ისინი, რომლებიც გამოცდას ჩააბარებდნენ „წარჩინებულზე", „კარგზე", ან „დამაკმაყოფილებელზე", მიიღებდნენ სათანადო საბის მოწმობას.

მასწავლებლის წოდებაზე ჩაბარებელი ის მოსწავლე ქალები, რომლებიც გამოცდაზე ჩაიჭრებოდნენ, ხელახლა დაიშვებოდნენ არანაკლებ ექვსი თვის გავლის შემდეგ.[1]

კურსებდამთავრებულთ ენიჭებოდათ საშინაო მასწავლებლისა და დამრიგებლის წოდება. ისინი სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებით, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ განათლების საბინისტროს უწყებაში მყოფი ქალთა გიმნაზიების მერვე პედაგოგიურ კლასდასრულებულნი. კურსდასრულებულთ ეძლეოდათ ისეთივე საბის ატესტატი, როგორსაც იღებდნენ დასასელებული სასწავლებლების მერვე პედაგოგიურ კლასდამთავრებულები.

თბილისის ქალთა პედაგოგიური კურსები სრულიად ახალი საქმე იყო კავკასიის სასწავლო ოლქის პრაქტიკაში და ამიტომ მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. კავკასიის და აბიერკავკასიის სასწავლებლების მთავარი ინსპექტორი ნეველროვი თითონ ამტკიცებდა კურსების სამუშაო პროგრამებს. ზოგჯერ ნეველროვი პირადად ესწრებოდა კურსების მსმე-

[1] ცსსა, ფ. 422, საქ. 5400. ფ. 2—3.

ნელთა მიერ გადაცემულ გაკვეთილებს და მონაწილეობას იღებდა გადაცემული გაკვეთილების გარჩევა-შეფასებაში.

კურსების ხელმძღვანელები ჟელიბოვსკი და ბეს. ღოლობერიძე დიდი სიყვარულით და მონდომებით უძღვებოდნენ ნაკისრ ვალდებულებას და თითონ აძლევდნენ სანიმუშო გაკვეთილებს დაწყებით კლასებში, რომლებსაც კურსების მსმენელნი ესწრებოდნენ. ისინი ლექციებს უკითხავდნენ მსმენელებს სწავლების ორგანიზაციული საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ. მათი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ტარდებოდა კურსების მსმენელთა მიერ საცდელი გაკვეთილების გადაცემა და გარჩევა.

5. ქალთა გიმნაზიების მე-8. პედაგოგიური კლასები

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ქალთა პედაგოგიური განათლების ქსელი გაფართოვდა. დაწყებითი და სახალხო სკოლებისათვის პედაგოგიური კადრების მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია საშუალო განათლების მქონე პირთა გამოყენების აუცილებლობა მასწავლებელთა თანამდებობაზე, მაგრამ იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ პედაგოგიური მომზადება, ღირსეულად ვერ ასრულებდნენ ნაკისრ მოვალეობას. 1870—71 სასწავლო წლიდან ერთერთ ღონისძიებად საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა პედაგოგიური ცოდნით შეიარაღებისათვის, 1870 წლის 24 მაისის დებულების საფუძველზე, ქალთა გიმნაზიებთან შეიქმნა მე-8, პედაგოგიური კლასები.

მე-8, პედაგოგიურ კლასებს ამ დებულების მიხედვით უნდა მოემზადებინა მასწავლებლები საშინაო მასწავლებლისა და პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდებაზე.

სპეციალურ პედაგოგიურ კლასში სწავლის უფლება ენიჭებოდა ამავე გიმნაზიებში შვიდკლასდამთავრებულებს, ქალთა ინსტიტუტდამთავრებულებს და ქალთა სხვა გიმნაზიებში კურსდამთავრებულებს. განზრახული იყო მიეღოთ აგრეთვე ის ქალები, რომლებსაც სპეციალური პედაგოგიური კურსები ჰქონდათ დამთავრებული.

აღნიშნული დებულების 43-ე და 44-ე მუხლების საფუ-

ძველზე მე-8, დამატებით კლასში უგამოცდოდ ღებულობდნენ იმ ქალიშვილებს, რომლებსაც ქალთა გიმნაზიის დამთავრების დაბეკმაყოფილებელი ატესტატი ჰქონდა და, აგრეთვე, განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფ ქალთა სხვა გიმნაზიის კურსდამთავრებულებს, ხოლო „ყველა სხვა პირი, რომელსაც დამთავრებული არა აქვს ქალთა გიმნაზია ან ქალთა გიმნაზიის კურსის თანაბარი სასწავლებელი, მიიღება მე-8 დამატებით კლასში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩააბარებს განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფ ქალთა გიმნაზიის გეგმით გათვალიწინებულ ყველა სავალდებულო საგანს“.[1]

მე-8 დამატებით კლასში სწავლება განისაზღვრებოდა ერთი წლით, ხოლო იმ მოსწავლეებს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში ვერ აითვისებდნენ პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, უფლება ეძლეოდათ კიდევ ერთი წლით გაეგრძელებინათ სწავლა.

ამავე პედსაბჭოს დადგენილებით მე-8 დამატებითი კლასის მოსწავლეები გაირიცხებოდნენ სასწავლებლიდან იმ შემთხვევაში, თუ დაარღვევდნენ გიმნაზიაში დაწესებულ სავალდებულო წესებს ან სწავლაში ვერ გამოიჩენდნენ სათანადო წარმატებას.

პედაგოგიურ კლასში ისწავლებოდა პედაგოგიკა დიდაქტიკით, რუსული ენა, ძველი სლავური და სიტყვიერება, ფრანგული და გერმანული ენები, მათემატიკა, ისტორია და გეოგრაფია.

იმ შემთხვევაში კი, თუ გიმნაზიაში შემოღებული იქნებოდა ბერძნული ან ლათინური ენის სწავლება, ეს საგნები უნდა ესწავლებინათ მე-8 დამატებით კლასშიაც.

„მე-8 კლასის ყველა მოსწავლეთათვის სავალდებულო იყო პედაგოგიური თეორიული კურსის გავლა, ხოლო დიდაქტიკის პრაქტიკულად შესწავლის მიზნით ისინი ეცნობოდნენ

[1] Д. Кузменько. Сборник постановлении и распоряжении по женск. гимназ. и прогим. Т. I. 1905, стр. 146.

გამოცდილი მასწავლებლის გაკვეთილის გადაცემის ნიმუშებს რუსულ ენასა და არითმეტიკის სწავლების პროცესში.

ყოველ მოსწავლე ქალს ევალებოდა წინასწარ ამოერჩია სურვილის მიხედვით, ის საგანი, რომელშიაც აპირებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და შეესწავლა ეს საგანი განათლების სამინისტროს უწყებაში ნყოფ ვაჟთა გიმნაზიების პროკრამის მიხედვით".[1]

ქალთა გიმნაზიების 7-8, პედაგოგიური კლასის მოსწავლეებს არ გააჩნდათ რაიმე სერიოზული წინასწარი განათლება პედაგოგიკაში. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა.

მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში არამც თუ საქართველოში, არამედ რუსეთშიაც კი არ არსებობდა რაიმე პედაგოგიური დაწესებულება საშუალო სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებლად .. პედაგოგიკისა და დიდაქტიკის მასწავლებელთა მომზადება კი სულ უიმედო მდგომარეობაში იყო. დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი 1867 წელს ნწუხარებით აღნიშნავდა:

„უკეთუ პედაგოგიკას სურს, აღზარდოს ადამიანი ყოველმხრივ, მან უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიგოს იგი აგრეთვე ყოველმხრივ. მაგრამ, გვეტყვიან, რომ ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება ცალკე და ფართო ფაკულტეტი პედაგოგებისათვის. მართლაც, რატომ არ უნდა იყოს პედაგოგიური ფაკულტეტი. უკეთუ უნივერსიტეტში არსებობს არა მარტო მედიკური, არამედ კამერალური ფაკულტეტიც კი და რა არის პედაგოგიური—ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი ჯერჯერობით უფრო უფრთხილდება თავისი სხეულისა და მოდგმის ჯანმრთელობას, ვიდრე თავის ზნეობრივ სისაღეს და უფრო მეტად ზრუნავს მომავალი თაობის სიმდიდრეზე, ვიდრე მის კარგად აღზრდაზე. საზოგადოებრივი აღზრდა არ არის ისე პატარა საქმე, რომ არ ღირდეს მისთვის ცალკე ფაკულტეტის დაარსება. ხოლო ჩვენ თუ დღემდის ვამზადებდით აღმზრდელებს—არ უნდა გვიკვირდეს, რომ აღზრდის საქმე

[1] Д. Кузменько, Сборник постановлении и распоряжении по женск. гимназ. и прогим. Т. I. 1905, стр 147.

მიდის ცუდათ, რომ თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობა სრულებით არ შეეფერება მის მშვენიერ ბირჟებს, გზებს. ფაბრიკებს, მის მეცნიერებას, ვაჭრობასა და მრეწველობას.

პრაქტიკული მნიშვნელობა ასეთი პედაგოგიური, საერთოდ, ანთროპოლოგიული ფაკულტეტისა მეტად დიდი იქნებოდა. პედაგოგები რიცხვით მედიკებზე უფრო მეტი არიან საჭირო და უკეთუ ჩვენ მედიკებს ვანდობთ ჩვენს ჯანმრთელობას, სამაგიეროდ აღმზრდელებს ვანდობთ ჩვენი ბავშვების ზნეობრიობასა და ჭკუა-გონებას, ვანდობთ მათ სულსა და მასთან ერთად ჩვენი საშობლოს მომავალსაც".[1]

პედაგოგიური განათლების ნქონე მასწავლებელთა იშვიათობის გამო ქალთა გიმნაზიების მე-8, პედაგოგიური კლასების პედაგოგიკა-დიდაქტიკის მასწავლებელთა თანამდებობას შემთხვევითი ხალხი, არასპეციალისტები იკერდნენ, მაგრამ არც ისინი იყვნენ სახარბიელო მდგომარეობაში.

1878 წლამდე ქალთა გიმნაზიებში პედაგოგიკის მასწავლებლები შტატის მასწავლებლებად არ ითვლებოდნენ იმის გამო, რომ პროგრამის მიხედვით მათ საგანს კვირაში მხოლოდ 2 ან 4 საათი ჰქონდა დათმობილი. ეს გარემოება კი პედაგოგიკის. როგორც მეცნიერების, უკეთ დანერგვის საქმეს დიდად აბრკოლებდა. მიოლოდ 1878 წელს სან. განათლების მინისტრის ბრძანებით (№ 12963) დაწესდა პედაგოგიკის მასწავლებლის სპეციალური შტატი.

ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ საელჩწიფო სამსახურის უფლებით სარგებლობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა გაკვეთილების რაოდენობას, არამედ იმას, რომ ყოველი სასწავლო საგნის სწავლებისათვის ერთნაირად საჭირო იყო დიპლომი, სპეციალური მომზადება და გამოცდილება. მაშასადამე, ქალთა გიმნაზიის პედაგოგიკის მასწავლებლებიც, დატვირთვის მიუხედავად, უნდა ჩათვლილიყვნენ

[1] К. Д. Ушинский. Человек как предмет воспитания, I, გვ. XI XII.

ტატის მასწავლებლად და ესარგებლათ იმავე უფლებებით, რა უფლებებითაც სარგებლობდნენ სავა საგნის მასწავლებლები.

ამ მდგომარეობამ ერთგვარად გააუმჯობესა ქალთა გიმნაზიების მე-8 კლასების მომარაგება მასწავლებელთა პერსონალით, მაგრამ სპეციალური პედაგოგიკური განათლების მქონე მასწავლებლები მაშინ ძნელად მოიძებნებოდა.

მე-19 ს. 70-იან წლების დასაწყისში თბილისის ქალთა გიმნაზიის ინსპექტორის თანამდებობას ასრულებდა უშინსკის მოწაფე, ცნობილი პედაგოგი ლ. ნ. მოძალევსკი, რომელიც ამავე დროს ასწავლიდა პედაგოგიკას მე-8 კლასში. მან საგრძნობლად გააუმჯობესა არა მარტო სასწავლებლის მუშაობა, არამედ ბევრი რამ კარგი გააკეთა იმდროინდელი საქართველოს ქალთა განათლებისათვის. მოძალევსკიმ გარკვეული რეჟიმი შექმნა ქალთა გიმნაზიის კლასების მუშაობისათვის, გააუმჯობესა სასწავლო გეგმები და პროგრამები, გარდაქმნა მე-8 კლასის მოსწავლეთა პედაგოგიური პრაქტიკის ფორმა, შემოიღო საჯარო ლექციების კითხვა პედაგოგიკიდან და ხელს უწყობდა პედაგოგიური კურსების გახსნა-გაძრავლების საქმეს. მაგრამ ერთეულების ცოდნასა და კეთილსინდისიერ შრომას არ შეეძლო პედაგოგიკის სწავლების საერთო, სავალალო მდგომარეობის გამოსწორება. მართალია, ქალთა გიმნაზიების მე-7 კლასში ასწავლიდნენ პედაგოგიკის ელემენტარულ კურსს (კვირაში 2 საათი), მაგრამ ძალიან ღარიბი იყო ეს კურსი თავისი შინაარსით, მაგალითად, მე-7 კლასის პედაგოგიკის კურსის ე. წ. სასწავლო გეგმა პედაგოგიკის კურსში შემდეგ საკითხებს ითვალისწინებდა „1) ზოგადი პედაგოგიკიდან: გონებრივი აღზრდა, ფიზიკური აღზრდა, ზნეობრივი და რელიგიური აღზრდა, 2) დიდაქტიკიდან: ზოგადმეცნიერული მეთოდები და სპეციალურ პედაგოგიური მეთოდები: 3) მეთოდიკიდან: კითხვა-წერის, საღვთო სჯულის, მშობლიური ენის, არითმეტიკის, ელემენტარული ხაზვისა და ელემენტარული გეოგრაფიის სწავლების ხერხები“.[1]

---

[1] Д. Кузменько. Сборник постановлении и распоряжении по женск. гимназ. и проч. т. 1. 1905. стр. 145.

ფიზიკურ აღზრდაში შედიოდა: ჰიგიენის წესები, რომელიც მოსწავლე ქალებს უნდა გამოეყენებინათ თავიანთი მომავალი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს. ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა ჩვილ ბავშვთა და მოზრდილთა კვების საკითხს, სუფთა ჰაერის მნიშვნელობას ბავშვის ჯანმრთელობისათვის, ბავშვის კანის მოვლას, მის მოსვენებას, მოძრაობას და ბავშვთა ჩვეულებრივ დაავადებებს.

გონებრივ აღზრდაში შედიოდა: ფართო მასშტაბით ცნებები ფსიქოლოგიიდან და ლოგიკიდან, როგორც ეს მიღებული იყო პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში. რაც შეეხება ზნეობრივსა და რელიგიურ აღზრდას, აქ საჭიროდ იყო მიჩნეული მისი განმტკიცება: ა) მაგალითებით, როგორც თანამედროვე, ისე ძველი კლასიკური ხალხების აღმზრდელობითი პრაქტიკიდან, ბ) გამოჩენილი ძველი და ახალი პედაგოგების შეხედულებებით.

პედაგოგიკის სწავლების დროს გამახვილებული იყო ყურადღება რუსული ენისა და არითმეტიკის სწავლების ხერხების გარკვევაზე, ხოლო წერა-კითხვის სწავლების ხერხების გაცნობის დროს კი საჭიროდ იყო მიჩნეული იმის განმარტება, თუ რა მეთოდებით იყო შედგენილი ჩვენში გავრცელებული საანბანო სახელმძღვანელოები უშინსკისა, პაულსონისა, ბარონ კორფისა, გლავინსკისა და ნიკოლსკისა.

მოსწავლეთა სახელმძღვანელო წიგნად მითითებული იყო როშჩინის — „ნარკვევები პედაგოგიკის, დიდაქტიკისა და მეთოდიკის უმთავრეს პრაქტიკულ დებულებათა შესახებ“, მე-2 შესწორებული გამოცემა, მოსკოვი, 1873 წ.

ამგვარად, ძალიან დაბალი იყო პედაგოგიური განათლების დონე მე-8 პედაგოგიურ კლასში გადასული მოსწავლე ქალებისა. მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მე-7 კლასში პედაგოგიკის სწავლა არ იყო ყველასათვის სავალდებულო და მისი არცოდნა ზსურველებს ხელს არ უშლიდა მე-8 კლასში ჩასარიცხად, ნათელი გახდება, თუ რამდენად აუცილებელი იყო პედაგოგიკა-დიდაქტიკისა და კერძო მეთოდიკების თავიდან დაწყება მე-8 პედაგოგიურ კლასში.

ა) თბილისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიური კლასი

თბილისის ქალთა გიმნაზიასთან მე-8, პედაგოგიური კლასი გაიხსნა 1870-71 სასწავლო წელს.

მსმენელთა უმრავლესობას შეადგენდნენ ამავე გიმნაზიაში 7-კლასდამთავრებულნი და იმის გამო, რომ ამ პედაგოგიურ კლასებში არ შეხვედრილიყვნენ მოუმზადებელი მოსწავლეები, დაინიშნა მისაღები გამოცდები, როგორც ეს დებულებით იყო გათვალისწინებული. აქის შედეგად მიღების პირველ წელს თბილისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიურ კლასში მხოლოდ 6 მოსწავლე ჩაირიცხა.

პედაგოგიკაში თეორიული კურსისა და აგრეთვე ნაწილობრივ პრაქტიკული საათების ჩატარება ითავა ლ. ნ. მოძალევსკიმ.

პედაგოგიკის სახელმძღვანელოდ ერთხანს იხმარებოდა დიტესის „Очерк практической педагогики". მოსწავლეებს თანაშიშდევრობით ეძლეოდა გარკვეული ადგილები ამ სახელმძღვანელოდან, რომელსაც იწერდნენ და ამზადებდნენ მოშავალი გაკვეთილისათვის.

მასწავლებელი დავალების მიცემისას აძლევდა ახსნა-განმარტებას და მითითებებს. გარდა ამისა, პედაგოგიკასა და დიდაქტიკაში მოსწავლეებს ეძლეოდათ თემები წერითი სამუშაოებისათვის, რასაც მოსწავლე ქალები დამოუკიდებლად ასრულებდნენ და გაკვეთილებზე არჩევდნენ.

რაც შეეხება პრაქტიკულ მუშაობას, მას შემდეგი ხასიათი ჰქონდა: პირველ ეტაპზე, წლის პირველ ნახევარში, ყველა მოსწავლე ქალი მე-8, დამატებითი კლასისა ესწრებოდა მოსამზადებელ და დაწყებით კლასებში იმ საგნის გაკვეთილებს, რომლებსაც ისინი ირჩევდნენ სპეციალურ საგნად მოშავალი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის (რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, ისტორია და სხვ.) ამასთან ყოველი მათგანი ვალდებული იყო წარედგინა იმ გაკვეთილის ანალიზი, რომელსაც ესწრებოდა. ამ ანალიზს მოსწავლე კითხულობდა სათანადო კომისიის წინაშე და ხელმძღვანელი მეთოდისტი აძლევდა მითითებებს კონსპექტის ირგვლივ.

მეორე ეტაპზე, წლის მეორე ნახევარში, მოსწავლე ქალიშვილები ემზადებოდნენ გაკვეთილის დამოუკიდებლად გადაცემისათვის.

ისინი ვალდებული იყვნენ ჩაეტარებინათ საცდელი გაკვეთილები დაწყებით წერა-კითხვაში, რუსულ ენასა და არითმეტიკაში და სხვ. ადგენდნენ კონსპექტს პირველი ორი გაკვეთილისათვის იმ საგანში, რომელშიც უნდა გადაეცათ გაკვეთილი. გაკვეთილის კონსპექტი მოწმდებოდა ხელმძღვანელი მასწავლებლის მიერ. კონსპექტის მოწონების შემდეგ მოსწავლე ქალები აძლევდნენ საცდელ გაკვეთილებს.

საცდელ გაკვეთილებს ესწრებოდნენ: გიმნაზიის დირექტორი, ხელმძღვანელი მასწავლებელი და ის მოსწავლე ქალები, რომელთაც იმავე საგანში უნდა გადაეცათ გაკვეთილი. გადაცემულ საცდელ გაკვეთილს არჩევდნენ კომისიის წინაშე, სადაც პირველად აზრს გამოსთქვამდნენ ჩატარებულ გაკვეთილზე დამსწრე მოსწავლე ქალები, საბოლოო სიტყვას ამბობდა ხელმძღვანელი-მასწავლებელი, რომელიც სათანადო შეფასებას აძლევდა მოსწავლის მიერ ჩატარებულ საცდელ გაკვეთილს.

1873 სასწ. წელს წარმატებით კურსდასრულებულთაგან გიმნაზიაში პეპინიორკებად დატოვებულ იქნა ორი ქალი. პროგიმნაზიაში მასწავლებლებად განწესებულ იქნა აგრეთვე ორი, რადგან სპეციალურ-პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებელთა ნაკლოვანება მწვავედ იგრძნობოდა იმ ხანად თბილისშ , დანარჩენი კურსდამთავრებულნიც მაშინვე მოეწყვნენ სხვა სასწავლებლებში და კერძო ოჯახებში.

ამავე სასწავლო წელს პედაგოგიკისა და საღვთო სჯულის გამოცდას, აგრეთვე საცდელი გაკვეთილების გადაცემას დაესწრო სასწავლო ოლქის მზრუნველი. საცდელი გაკვეთილების გადაცემაზე დასწრების შედეგად სასწავლო ოლქის მზრუნველი მისულა იმ დასკვნამდე, რომ „მოსწავლე ქალები კარგად ფლობენ მათ მიერ აღებული საგნის მასალას, თუმცა

ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ შეეძინათ ის გამოცდილება სწავლებისა, რომელიც მოდის დროთა მანძილზე".[1] მართლაც და, 5 ან 6 საცდელი გაკვეთილის გადაცემას რა დიდი ეფექტი უნდა გამოეწვია ან რა გამოცდილება უნდა მიეცა მოსწავლე ქალებისათვის, ხოლო მეტი გაკვეთილების გადაცემის საშუალება კი არ იყო.

ოთხი წლის განმავლობაში სპეციალური პედაგოგიური კლასი დაამთავრა 31 ქალმა, რომელთგან 12 ამავე გიმნაზიის დაბალ კლასებში იქნა გამოყენებული მასწავლებლებად, დანარჩენთა უმრავლესობა კი მასწავლებლობდა სხვა სკოლებს, და კერძო ოჯახებში.

გიმნაზიაში მე-ᲐᲑ სპეციალური კლასის გახსნის დღიდან 1874/5 სასწ. წლამდე ყოველი მოსწავლე, საღვთო სჯულის, პედაგოგიკისა და დიდაქტიკის გარდა, რომელიც ყველასათვის სავალდებულო იყო, ირჩევდა ერთ ან ორ საგანს, რომელიც მას უნდა ესწავლებინა მომავალში. ამ საგნებს ის სწავლობდა სპეციალურად დამატებითი ლიტერატურის გამოყენებით და ვარჯიშობდა ამ დისციპლინების საცდელი გაკვეთილების გადაცემაში.

1874/5 სასწავლო წელს მდგომარეობა იცვლება. ვინც მე-ᲐᲑ სპეციალურ კლასს ამთავრებდა, ვალდებული იყო თანაბრად ესწავლა ყველა საგანი და ყველა სასწავლო დისციპლინაში ჩაეტარებინა საცდელი გაკვეთილები, როგორც ეს მიღებული იყო სამასწავლებლო სემინარიებში. ასე რომ, მოსწავლე ქალის სწავლების არე ფართოვდებოდა. საცდელი გაკვეთილების გადაცემის რიცხვიც 5—6-ჯერ დიდდებოდა, რაც ხშირად ცუდ გავლენას ახდენდა პრაქტიკანტების მომზადებაზე. თეორიული და პრაქტიკული კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლე ქალები აბარებდნენ გამოცდებს სათანადო ინსტრუქციის საფუძველზე. 1873/4 სასწ. წელს 12 მოსწავლიდან, რომელთაც დაამთავრეს საერთო განათლების კურსი, მხოლოდ 7 მოსწავლემ მიიღო ატესტატი.

მოგვყავს ატესტატის ნიმუში:

---

[1] Отчет по управлению Тифлисскому женскими Великой Княгини Ольги Федоровны гимназ. и прогимназ. за 1873 год.

ატესტატი

წარმომდგენელი ამისა ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის თბილისის პირველი ქალთა გიმნაზიის მე-8 დამატებითი კლასის მოსწავლე ბადრიძე ოლღა ალექსანდრეს ასული, აზნაური, მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დაბადებიდან 20 წლისა, დაასრულა კურსი თბილისის მეორე გიმნაზიაში 1898 წელსა და შევიდა მერეე დამატებით ორწლიან კლასში, აირჩია სპეციალურ საგნად ისტორია და გეოგრაფია, რომლებშიაც გამოიჩინა დამაკმაყოფილებელი წარმატება. ამის გარდა კარგი წარმატებით სწავლობდა პედაგოგიკასა და დიდაქტიკას, გაეცნო ღვთის მეტყველების, მშობლიური ენის და არითმეტიკის დასაწყის სწავლების ხერხებს. იმის გამო რომ ქალბატონმა ბადრიძემ ორი სასწავლო წლის განმავლობაში, სრულიად დამაკმაყოფილებლად შეასრულა ყველა თეორიული და პრაქტიკული საშუშაოები, პედაგოგიური საბჭო, ხელმძღვანელობს რა განათლების საშინისტროს მიერ 1870 წლის 24 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ „ქალთა გიმნაზიების და პროგიმნაზიების დებულების“ 44 მუხლით, თავის სხდომაზე 1900 წლის 9 ივლისს ანიჭებს მას, ბადრიძეს, საშინაო მასწავლებლის წოდებას, და ამ წოდების ყველა უფლებებსა და უპირატესობებს.

აღნიშნულის დასადასტურებლად ეძლევა მას, ბადრიძეს, ეს ატესტატი. 12 ივნისი 1900 წ.[1]

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი გარეგნულად დიდი თანაგრძნობით შეხვდა თბილისის ქალთა გიმნაზიასთან პედაგოგიური კლასის დაარსებას და იმედსაც გამოსთქვამდა, რომ ეს კლასი კარგ შედეგებს მოგვცემდა. მაგრამ ფაქტიურად ბევრი არაფერი გაკეთებულა ამ მიმართულებით. ოლქის მზრუნველი და ოფიციალური წრეები ხელს არ უწყობდნენ თბილისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიური კლასის კონტიგენტის ზრდას, ასე, მაგალითად, ათი წლის მანძილზე 1871-1881 წ. წ. თბილისის ქალთა გიმნაზიის მე-8. პედაგოგი-

[1] ცსსა, 453, საქმე 269, ფურ. 2.

ური კლასი მასწავლებლის სხვადასხვა წოდებით მხოლოდ 125 ქალმა დაამთავრა.

1887 წელს მოხდა ქალთა გიმნაზიის მე-7 კლასის მე-18 სრული გამოშვება, აქედან მე-7 კლასის სრული კურსი დაამთავრა ატესტატზე 43 მოსწავლე ქალმა. მათგან სამი დაჯილდოებული იყო ოქროსა და ვერცხლის მედლით. სულ კი 18 გამოშვების მანძილზე სრული საერთო „საგანმანათლებლო" კურსი დაამთავრა 595 ქალმა. აქედან ოქროს მედლით—57, ვერცხლის მედლით—58. მერვე, დამატებითი პედაგოგიური კლასი დაასრულა 53 მოსწავლე ქალმა, რომელთაგან 12 მიიღო საშინაო დამრიგებლის წოდება და 41—საშინაო მასწავლებლის წოდება.

რაც შეეხება პროგიმნაზიის კურსს, მათი აღრიცხვა არ წარმოებდა, რადგან თითქმის ყველა პროგიმნაზიადამთავრებული განაგრძობდა გიმნაზიაში სწავლას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგიმნაზიაში კლასების რაოდენობა შუდამ ცვალებადი იყო.

პროგიმნაზია 1874 წლამდე ოთხკლასიანი იყო, ხოლო 1884 წელს მას დაემატა მეხუთე კლასი, 1885 წელს—მეექვსე კლასი, 1886 წელს მეექვსე კლასი დაიხურა და 1887 წლისათვის პროგიმნაზია ხუთკლასიანი იყო.[1]

1888 წლისათვის გიმნაზიას ჰქონდა 21 კლასი. მოსამზადებელი კლასი (უმცროსი და ორი უფროსი განყოფილებით), 7 ნორმალური ანუ ძირითადი კლასი და 8 პარალელური, მერვე დამატებითი პედაგოგიური კლასით (სამი სპეციალური განყოფილებით). პროგიმნაზიაში კი სულ 8 კლასი იყო, აქედან 1 მოსამზადებელი კლასი, 5 ნორმალური, ე. ი. ძირითადი კლასი და 2—პარალელური.

* *

თბილისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიური კლასის კურსდამთავრებულ ქალთა ხვედრითი წონა საქართველოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა და საშინაო მასწავლებელთა შორის საკმაოდ დიდი იყო. გიმნაზიის მოსწავლეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. მისი არსებობის 20 წლის თავ-

[1] ცსსა, ფ. 153. საქ 27

ზე, ე. ი. 1890 წელს, გიმნაზიის მე-8 პედაგოგიური კლასი, რომ-
გორც აღვნიშნეთ, 3 განყოფილებას შეიცავდა; 1) რუსულ ენი-
სას, 2) მათემატიკისას, 3) ისტორია-გეოგრაფიისას. ამის მი-
ხედვით თბილისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიური კლა-
სი დაწყებითი სკოლისა და პროგიმნაზიების რუსული ენის,
მათემატიკური საგნებისა და ისტორია-გეოგრაფიის მასწავ-
ლებლებს ამზადებდა.

1890 წელს მოხდა ოცდამეერთე გამოშვება საერთო სა-
განმანათლებლო მეშვიდე კლასისა და მეოცე გამოშვება მერვე.
პედაგოგიური კლასისა. 21 გამოშვებიდან შვიდწლიანი კურსი
751 მოსწავლე ქალმა დაამთავრა, რომელთაგან ოქროს მედ-
ლით დასრულებული აქვს 65-ს, ხოლო ვერცხლის მედლით
67 -ს.

მერვე, პედაგოგიური კლასი 1890 წელს დაასრულა 56
ქალმა, რომელთაგან 11-მა მიიღო საშინაო დამრიგებლობის
წოდება და 45-მა — საშინაო მასწავლებლისა. ისე კი, გიმნაზი-
ის არსებობის მთელი 20 წლის მანძილზე მე-8 პედაგოგიური
კლასი 591 ქალმა დაასრულა. მათგან რუსული ენის განყოფი-
ლება — 233, მათემატიკის — 253 და ისტორია-გეოგრაფი-
ისა—93 ქალმა. დანარჩენმა 12 ქალმა უცხო ენების მასწავლებ-
ლის წოდება მიიღო.

გარდა ამისა, თბილისის ქალთა გიმნაზიამ 1890 წლისა-
თვის, ე. ი. თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე, მე-7 კლა-
სებიდან საშინაო დამრიგებლისა და საშინაო მასწავლებლის
წოდებით გამოუშვა 427 ქალი (მათ კერძო პანსიონებსა და
ოჯახებში აღმზრდელ-მასწავლებლობის უფლება ეძლეოდათ),
შეეძლოთ ჰყოლოდათ მოსწავლეთა კერძო ჯგუფი საკუთარ
ოჯახებშიც.

მერვე, პედაგოგიური კლასის მოსწავლეთა მოძრაობა
ამ კლასის გახსნიდან 20 წლის განმავლობაში გვიჩვენებს, რომ
მათი რიცხვის ზრდა სრულიად უმნიშვნელოა. მაგალითად.
1871 წელს გიმნაზიას გამოუშვია 10 მასწავლებელი ქალი. 1876
წელს — 12, 1881 წელს—40, 1886 წელს — 31, 1890 წელს—56.
საშუალოდ წელიწადში მოდის 29 მასწავლებელი. მტკიცება არ
უნდა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების საქართველო-
ში დაწყებითი სკოლებისა და საშუალო სკოლების დაბალი
კლასების მასწავლებელთა კადრების მოთხოვნილებას ეს რი-
ცხვი ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებდა.

წლების მიხედვით (1870—1890) ეს ცხრილი შემდეგნაირად არის განაწილებული

წლები	მეშვიდე კლასი						მერვე კლასი				
	ოქტომბერ.	ფებრალ.	ივნისში	სულ	საშინაო დავალებანი	საშინაო მასწავლ.	სულ	ოქტომბერ.	ფებრალ.	ივნისში	საშინაო
1870	1	1	2	4	—	—	—	—	—	—	—
1871	2	2	6	10	2	3	5	3	1	1	—
1872	2	1	9	12	4	6	10	3	5	2	—
1873	2	2	3	7	2	6	8	1	2	3	2
1874	2	3	14	19	1	3	4	2	2	—	—
1875	2	3	12	17	4	5	9	4	5	—	—
1876	2	3	16	21	4	8	12	3	7	2	—
1877	2	3	24	29	7	10	17	7	9	—	—
1878	2	3	19	24	13	9	22	8	11	3	—
1879	3	5	31	39	7	13	20	12	8	—	—
1880	4	6	50	60	5	13	18	5	13	—	—
1881	4	6	51	61	18	22	40	17	23	—	—
1882	6	3	40	49	17	20	37	14	24	9	—
1883	3	3	33	39	7	30	37	11	23	3	—
1884	5	2	54	61	9	27	36	15	16	5	—
1885	4	4	29	37	12	50	62	26	26	10	—
1886	8	2	53	63	10	29	39	11	20	8	—
1887	3	9	34	46	12	41	53	24	15	14	—
1888	3	2	43	48	15	32	47	25	12	10	—
1889	1	3	57	61	9	45	54	23	15	11	5
1890	4	4	43	51	11	45	56	19	21	12	4
სულ	65	70	619	758	169	417	586	233	258	93	12
%											[1]

ბ) ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიური კლასი

ქუთაისის ქალთა გიმნაზია, როგორც აღვნიშნეთ, 1877 წელს ქუთაისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის ბაზაზე დაარსდა.

1881 წლის 19 მაისს ქუთაისის ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე გადაწყდა საკითხი ამ გიმნაზიაში

[1] ცსსა, ფ. 367, საქ, 27.

შერვე პედაგოგიური კლასის გახსნის შესახებ. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის მიერ წაკითხული იქნა წესები, რომელიც ეხებოდა ქალთა გიმნაზიასთან არსებულ პედაგოგიურ კლასებს. შემდეგ განხილულ იქნა სამი საკითხი:

„1) საკმაოდ მომზადებულნი იყვნენ, თუ-არა უკანასკნელი მე-7 კლასის მოსწავლეები პედაგოგიური კურსის მოსასმენად.

2) შესაძლებელი იყო, თუ-არა ინ[illegible]ის დამყარება იმაზე, რომ აღნიშნული მე-8 დამატებითი კლასისათვის აღმოჩნდებოდა შუდმივი კონტიგენტი, როგორც გიმნაზიის მოსწავლეთაგან, ისე გარეშე პირთაგან და

3) აღმოჩნდებოდა, თუ-არა საკმაო სახსრები (მატერიალური საშუალებანი) მე-8 პედაგოგიური კლასის გახსნისათვის".[1]

პირველი საკითხის განხილვის დროს ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, რომ ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მოსწავლე ქალები საკმარისად არ იყვნენ დაუფლებული რუსულ ენას, მათ არ შეეძლოთ თანმიმდევრულად გადაეცათ თავიანთი აზრი ამ ენაზე. ამასთან მე-7 კლასის მოსწავლე ქალებს სწორად არ ჰქონდათ გავლილი გიმნაზიის კურსით გათვალისწინებული საკალდებულო საგნები, რადგანაც მე-5 კლასამდე ისინი ითვლებოდნენ წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებლის მოსწავლეებად, სადაც სწავლების სულ სხვა პროგრამა არსებობდა. მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებისა. ის მოსწავლე ქალები, რომელთაც კურსი დაამთავრეს 1881 წელს, სავსებით მომზადებულად იყვნენ ცნობილი იმისათვის, რომ მათ უფლება მისცემოდათ მე-8, პედაგოგიურ კლასში კურსის მოსმენისა.

მეორე საკითხის შესახებ, რომელიც მერვე, დამატებითი კლასის მუდმივ კონტიგენტს შეეხებოდა, გიმნაზიის ინსპექტორმა აღნიშნა, რომ „მრავალი კერძო პირი, რომელ-

---

[1] ქუთაისის საქალაქო სახელმწიფო არქივი. ფონდი 15. „ქუთაისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი".

თაც უფლება ჰქონდათ აღნიშნულ მე-8, დამატებით კლასში შესვლისა, მოუთმენლად ელოდა პედაგოგიური კლასის გახსნას. საზოგადოებაც დიდ ინტერესს იჩენდა ამ კლასის გახსნისადმი. ყოველივე ეს საკმაო საფუძველს იძლეოდა იმისათვის, რომ მომავალში მე-8, დამატებითი კლასი, უზრუნველყოფილი იქნებოდა მუდმივი კონტიგენტით. მე-7 კლასის მოსწავლე ქალები ყოველთვის ხალისით გააგრძელებდნენ თავიანთ განათლებას მე-8 კლასში, ვინაიდან პედაგოგიური ცოდნის შეძენა ერთნაირად აუცილებელია თითეულ ქალისათვის იმის მიუხედავათ მასწავლებლად წავიდოდა ის თუ არა".[1]

ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელთა საბჭომ გაიღო 400 მანეთი, პირველი სამი თვის მანძილზე პედაგოგიუ- კლასის შენახვისათვის. შემდეგ პედაგოგიური საბჭო, თავმჯდომარის წინადადებით, შეუდგა მე-8, პედაგოგიური კლასის სასწავლო საგნების საკითხის განხილვას. პირველად დაისვა საკითხი საღვთო სჯულის სწავლების შესახებ, რამდენადაც საღვთო სჯულის სრული კურსის შესწავლა დასრულებული ყოფილა გიმნაზიის მე-7 კლასში, დირექტორის წინადადება იყო მე-8 დამატებით კლასში ამ საგნის სწავლება აღარ განეგრძოთ; ასევე ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილებიც. მათ ნაცვლად უნდა წარმოებულიყო ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფიზიკურ-ქიმიური შინაარსის სტატიების კითხვა. რუსული ენის სწავლებას მე-8, დამატებით კლასში დირექტორი აუცილებლად მიიჩნევდა, მხოლოდ მას უნდა ჰქონოდა არა მარტო ფილოლოგიური ხასიათი, არამედ დიდაქტიკურიც.. რაც შეეხებოდა პედაგოგიკის სწავლებას,' დირექტორის აზრით, ეს უნდა წარმოებულიყო მოსწავლეთათვის მისაწვდომ ფორმებში. მისივე აზრით პედაგოგიკას მოსწავლე ქალებისათვის უნდა მიეცა შემდეგი ცოდნა: „ა) ადამიანის ორგანიზმის აგებულება, ბ) ადამიანის სულიერი განვითარება, გ) ჰიგიენის მთავარი პირობები, დ) გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის საფუძვლები. დიდაქტიკის სწავლება

[1] ქუთაისის საქალაქო სახ. არქივი, ფონდი 15, „ქუთ. წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლების პედაგოგიური საბჭოს ოქმი"

უნდა ჩატარებულიყო უმთავრესად რუსული ენისა და არითმეტიკის სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით."[1]

ქუთაისის ქალთა გიმნაზიის საბჭომ მიიღო დირექტორის წინადადება, რომელიც მე-8, დამატებით კლასის მოწყობას ეხებოდა. ამ კლასის მუშაობის გეგმის უფრო დაწვრილებით განხილვისათვის გამოიყო კომისია გიმნაზიის მასწავლებელთაგან სტარიცკის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის მოხსენება მოსმენილ იქნა გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოზე 1881 წლის 5 სექტემბერს. განხილულ იქნა პროგრამები, რომლებიც წარმოდგენილი იყო მასწავლებლების პეტროვისა და ზგურსკის მიერ და შეტანილ იქნა პროგრამებში საჭირო შესწორებები.[2]

მე-8, პედაგოგიურ კლასში მეცადინეობა დაწყებულა 15 სექტემბერს. კლასში ირიცხებოდა რვა მოსწავლე ქალი (ბეთანიშვილი, ვარფომოლეევა, გურინა 1-ლი, გურინა მე-2, სვინცოვა, ყაუთმაზოვა, იურკოვსკაია). მასწავლებლებად იყვნენ: ნ. ღოღობერიძე, პეტროვი, შაფრანოვი, ზგურსკი და გროზდოვი. ასწავლიდნენ რუსულ სიტყვიერებას, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებასა და პედაგოგიკას დიდაქტიკით. იმ საგნებს რომელსაც მოსწავლეები ირჩევდნენ, როგორც სპეციალურ საგანს, რაც მათ უნდა ესწავლებინათ, ე. ი. რომელშიც მათ უნდა მიეღოთ მასწავლებლის წოდება.

გიმნაზიის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მთავარი ყურადღება შიპყრობილი იყო იმისკენ, რომ მოსწავლეებს კარგად შეესწავლათ დაწყებით სკოლაში სწავლების წესები და შეეძინათ მათი პრაქტიკულად გამოყენების ჩვევები.

თეორიული მეცადინეობა პედაგოგიკასა და დიდაქტიკაში მე-8 კლასში იმაში მდგომარეობდა, რომ მოსწავლეებს შეესწავლათ შერჩეული ადგილები სპენსერის თხზულებებიდან: „გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდა", ერისმანის

---

[1] ქუთაისის საქალაქო სახ. არქივი, ფონდი 15, „ქუთ. წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლების პედაგოგიური საბჭოს ოქმი".

[2] იქვე

„სასკოლო ჰიგიენა“, ფოსტერის „ფიზიოლოგია“, ჯექსონის „ლოგიკის საფუძვლები“, ელნიცკის — „დიდაქტიკა“.

განვლილი მასალის უკეთ შეთვისებისათვის და დამოუკიდებელი გონებრივი მუშაობის ჩვევების შემუშავებისათვის, მოსწავლეებს ეძლეოდა წერითი სამუშაოები. მოგვყავს ნუსხა წერითი სამუშაოებისა, რომელიც შესრულებული იყო მე-8 კლასის მოსწავლე ქალების მიერ დამოუკიდებლად: 1) ფიზიკური აღზრდა, 2) სასკოლო ჰიგიენა, 3) მეხსიერება, 4) იდეების ასოციაცია, 5) აღქმა, 6) თანაგრძნობის თეორია, 7) ხასიათი, 8) ადამიანის ზნეობრივი განვითარება. 9) ესთეტიკური გრძნობები, 10) ცოდნისმოყვარეობა, 11) სწავლების ფორმები, 12) სასწავლო მასალის განაწილება, 13) მასწავლებლის პიროვნება, 14) არითმეტიკის სწავლება და სხვ. ყველა ასეთი სამუშაოები მოსწავლე ქალს აიძულებდა წაეკითხა ამ თემის გარშემო რამოდენიმე წიგნი, ჩაკვირვებოდა წაკითხულს და დალაგებით გადმოეცა მისი მოკლე შინაარსი.

არითმეტიკის სწავლების მეთოდიკას ასწავლიდნენ გიმნაზიის მასწავლებლები პეტროვა და ზგურსკი. პეტროვა აცნობდა საგნის თეორიას და აძლევდა საჩვენებელ გაკვეთილებს; ზგურსკი კი უმთავრესად პრაქტიკულ მეცადინეობას ხელმძღვანელობდა. რუსული ენის მეთოდიკას ასწავლიდნენ მასწავლებლები გროზდოვა და პეტროვა.

მთელი წლის მანძილზე მე-8, პედაგოგიური კლასის მოსწავლე ქალები ესწრებოდნენ გიმნაზიის მასწავლებელთა გაკვეთილებს და ამ გზით ეცნობოდნენ პირველი საფეხურის სკოლის რეჟიმსა და სწავლების მეთოდებს. ამავე მიზნით ესწრებოდნენ პროგიმნაზიის მოსამზადებელი კლასის გაკვეთილებს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში და ზოგჯერ სათავადაზნაურო სკოლაშიც.

სასწავლო წლის მეორე ნახევარში ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიური კლასის მოსწავლეები რიგრიგობით გადასცემდნენ გაკვეთილებს რუსულ ენასა და არითმეტიკაში ქალთა გიმნაზიის მოსამზადებელ და სამ დაბალ კლას-

ში. თითოეულ გაკვეთილს წინ უძღოდა მოსწავლე ქალის მიერ სათანადო გაკვეთილის კონსპექტის შედგენა. ეწყობოდა ამ კონსპექტის კითხვა და გარჩევა მოსწავლე პრაქტიკანტებისა და ხელმძღვანელი მასწავლებლების მიერ და კონსპექტის მოწონების შემდეგ ეძლეოდა მის ავტორს გაკვეთილის გადაცემის უფლება. გაკვეთილის გადაცემის შემდეგ მოსწავლეს ეძლეოდა მითითებები ჩატარებული გაკვეთილის ნაკლზე და მისი გამოსწორების საშუალებებზე.

ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიური კლასის მოსწავლენი სათანადო პრაქტიკას იღებდნენ აგრეთვე ალმზრდელობითი მუშაობის დარგშიც. ისინი ეხმარებოდნენ გიმნაზიასთან არსებულ პანსიონის უმცროსი კლასის ბავშვებს გაკვეთილების დამზადებაში. კლასგარეშე კითხვაში და შესვენების დროს ყურადღებას აქცევდნენ მათ თამაშს, თუ ყოფაქცევას. ყველა ეს სამუშაო იყო ნებაყოფლობითი ხასიათისა, მოსწავლე ქალები არ იყვნენ ვალდებული აღერიცხათ ის.

„1882 წლის მაისის დამლევს, ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლეთა მიერ, გადაცემული იყო რამდენიმე საცდელი გაკვეთილი რუსულ ენასა და არითმეტიკაში. გაკვეთილების გადაცემას ესწრებოდენ გიმნაზიის უფროსი, გიმნაზიის ინსპექტორი და მეთოდისტი მასწავლებლები. გადაცემულ გაკვეთილების გარჩევის შემდეგ მოწყობილ იქნა ორი „კოლოქვიუმი“ მე-8 კლასის მოსწავლეთა ზოგადი განათლების შესამოწმებლად.“[1]

6. მასწავლებელთა მომზადება ქალთა სასულიერო განათლების სისტემაში

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ქალთა პედაგოგიური განათლება საქართველოში არსებით ცვლილებებს განიცდის. რამდენადაც ეს ცვლილებები უმთავრესად დაკავშირებულია 80-იან წლებში დაწყებულ რეაქციასთან მთელ რუსეთის იმპერიაში, იმდენად მათი ხასიათიც რეაქციულია.

---

[1] ქუთაისის საქალაქო სახელმწიფო არქივი, ფონდი 13, „ქუთაისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლების პედაგოგიური საბჭოს ოქმი“.

საქართველოში კოლონიური რეჟიმის გაძლიერებამ მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მთელი სახალხო განათლება, კერძოდ, ქალთა განათლება. შეიზღუდა მოწინავე კერძო ინიციატივა ქალთა განათლების დარგში, დაიხურა კერძო ქალთა სკოლებისა და პანსიონების აბსოლუტური უმრავლესობა, პირველ რიგში იმ სკოლებისა და პანსიონებისა, რომლებსაც ადგილობრივი ელემენტები ინახავდნენ: მრავალი ხელოვნური დაბრკოლება შეიქმნა საშინაო მასწავლებლის (აღმზრდელის) წოდების მიღებისა და კერძო სკოლის ან პანსიონის გახსნისათვის, დაწესდა სასტიკი სახელმწიფო კონტროლი ადგილობრივ ქალთა საქველმოქმედო წრეების საგანმანათლებლო მუშაობაზე საერთოდ.

მიუხედავად პოლიტიკური რეაქციისა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტური პირობები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და ამით გამოწვეული წერა-კითხვისა და ელემენტარული განათლების გავრცელების აუცილებლობა, მოითხოვდა დაწყებითი სკოლების ქსელის დაუყოვნებლივ გაფართოებას. მეფის ხელისუფლებამ ეს საქმე უმთავრესად დააკისრა საეკლესიო უწყებას, ე. წ. უწმინდეს სინოდს, რომელიც მის (მეფის ხელისუფლების) იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენდა.

1884 წელს სინოდმა მეფეს წარუდგინა „საეკლესიო სამრევლო სკოლების წესდება," რომელიც მეფემ დაამტკიცა იმავე წლის 23 ივნისს. „ამ წესდების" მიხედვით იმპერიის მართლმადიდებელ სასულიერო წოდებას ანუ სამღვდელოებას ეკისრებოდა ყოველი ეპარქიის მრევლისათვის გაეხსნა ერთ და ორკლასიანი სკოლები ხალხში მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და პირველდაწყებითი ცოდნის გასავრცელებლად.

საეკლესიო სამრევლო სკოლების გახსნას იმპერიის მთელ რიგ ადგილებში წინ უსწრებდა სასულიერო წოდების ქალთა სასწავლებლების დაარსება დედათა სავანეებთან.

საქართველოში ასეთი სასწავლებელი დაარსდა 1866

წლის 5 სექტემბერს მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერთან.[1]

მცხეთის სასულიერო წოდების ქალთა სასწავლებლის ამოცანა იყო „მტკიცე მართლმადიდებელ ქრისტიან ქალთა აღზრდა, რომლებიც მართლმარწმუნებლათ უნდა ემსახურონ ეკლესიას და ოჯახს“.[2]

სასწავლებელში საღვთო სჯულის გარდა ისწავლებოდა: არითმეტიკა, გეოგრაფია, სუფთა წერა, ხელგარჯილობა და სხვ. სწავლა წარმოებდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე.

ამ სკოლაში ასწავლიდნენ მცხეთის სობოროს საკრებულოს წევრნი, აღმზრდელებად კი იყვნენ აღნიშნული მონასტრის მონაზონი ქალები.

1878 წელს მცხეთის სამთავროს ქალთა სკოლაში 28 მოსწავლე ირიცხებოდა. აქედან 21 იმყოფებოდა საქართველოს სასულიერო ეპარქიის ხარჯზე, დანარჩენები კი — თავიანთ ხარჯზე.

მოსწავლე გოგონების უმრავლესობა სასულიერო წოდებიდან იყო გამოსული. სამთავროს დედათა მონასტერთან გახსნეს ქალთა ოთხწლიანი სკოლა პროგიმნაზიული კურსით, სადაც ასწავლიდნენ სობოროს მღვდელი და ქალთა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ქალიშვილები. სკოლა იმყოფებოდა მონასტრის მონაზონის ნინო ამილახვრის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ნიკო ბაგრატიონი (1868—1933) თავის მოგონებებში ასე აღწერს ამ სკოლას:

„...გავეშურეთ წმინდა ნინოს დედათა მონასტრის—სამთავროს წინამძღვრის სანახავად და ჩისგან დალოცვის მისაღებად. წინამძღვარი ნინო, ცხოვრებაში კნეინა ამილახვარისა, ქმრით დედაჩემს ენათესავებოდა. ის მეტად ჭკვიანი, განათლებული ქალი იყო და დაქვრივების შემდეგ მკაცრ, ასკეტურ

---

[1] Епископ Кирион.—Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие. 1901.

[2] „საქართველოს საეკლესიო მახარობელი, 1886, № 15“.

ცხოვრებას ეწეოდა. მონასტრის საქმეებს შესანიშნავად განაგებდა, დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც მონაზონებში, აგრეთვე მცხეთის ირგვლივ მდებარე სოფელთა მცხოვრებლებში.

მონასტერთან არსებობდა წმინდა ქართულ საწყისებზე დაფუძნებული ქალთა სკოლა, სადაც ქალიშვილები, განურჩევლად მათი წოდებისა და მდგომარეობისა, ღებულობდნენ განათლებას, აღზრდას და ეზადებოდნენ ღირსეული დედები ყოფილიყვნენ".[1]

ამ სასწავლებელმა რამდენიმე წელიწადს იარსება.

1889 წლის 1 ოქტომბერს მცხეთაში კვლავ იქნა გახსნილი ქალთა სასულიერო სასწავლებელი. გაზეთი „ივერია" ამის გამო წერდა:

„1 ოქტომბერს, სოფ. მცხეთაში, მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა პალადიმ აკურთხა დედათა მონასტერში ქალების სასწავლებელი.

წირვის შემდეგ მცხეთის ტაძარში მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, თანაწირველებით გორის ეპისკოპოსის ალექსანდრესი და უმაღლესის სამღვდელოებისა, შემოსილი გაემგზავრა ლიტანიით დედათა მონასტრისკენ.

მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ გადაიხადა პარაკლისი სასწავლებელში და შემდეგ მიუბრუნდა დედა იღუმენიას, უბოძა ხატი, დალოცა მის მიერ გამართული ახალი სკოლა და მოწაფენი...

შემდეგ ამისა დაიარა ოთახები სასწავლებლისა და ძალიან მადლობელი დარჩა ნანახით. „მე მიკვირსო, ბრძანა მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, ასე მალე როგორ მოასწარით ასე სუფთად სკოლის მოწყობაო". მართლაც საწოლს ოთახში იდგა თერთმეტი საწოლი ძალიან სუფთა ლოგინით. მისმა მაღალყოველადუსამღვდელოესობამ აღუთქვა სკოლას 300 მან. შეწირულება, თავის მხრით ყოველ წლივ და ერთბანად ასი მანეთი უბოძა იღუმენიას. ბავშვებსაც დაური-

---

[1] ნ. ბაგრატიონი, ბურებთან, 1951, გვ. 7—8.

გა ჯერები, წიგნები და ათი მანეთი უბოძა ხილისთვის. პარაკლისის გადახდის დროს გალობდა ხორო აღნიაშვილისა ქართულად. .

შემდეგ პარაკლისისა დედა იღუმენიამ მიიწვია სამღვდელოება და სხვა წარჩინებულნი დამსწრენი საუზმეზედ და იქაც შეგროვდა 100 მანეთამდე შეწირულება.

სკოლა მოთავსებულია 6 ოთახში სწორედ იმ შენობაში, სადაც წინადაც იყო სკოლა... სულ ამ პირველ ხანში 22 მოწაფეა. იმათში 12 შიგ სკოლაშივეა ბინად და დანარჩენი კი გარედან მოსიარულენი არიან. ამ 22 შეგირდში 18 ქართველია, 3 რუსი და 1 ბერძენი. რამდენიმე გლეხ-კაცის ქალიც ურევია. მასწავლებლად მოწვეულია ჯერ მარტო ქ-ნი კოლიევისა, მღვდელი პეტრე ბარისოვი და მღვდელი დედათა მონასტრისა კარიჭაშვილი".[1]

1890 წლის 5 ივნისს ჩატარებული გამოცდების შესახებ გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი წერდა: „მცხეთა. 5 ივნის დანიშნული იყო ეგზამენი მცხეთის დედათა მონასტერში, დედათასავე სასწავლებელში.

დიდი ხანი არ არის რაც მცხეთის დედათა მონასტერში სასწავლებელი დააარსეს. აქ პირველად სწავლება დაიწყო წარსული წლის ოქტომბრიდან. ამ წლის განმავლობაში სწავლობდა 28 ქალი. ამათში 7 პირველ ნორმალურ კლასში იყვნენ და დანარჩენნი მოსამზადებელ კლასებში. არაკის ეგონა, თუ ასე ცოტა ხნის სწავლებით მოსწავლენი შეისწავლიდნენ რასმე, მაგრამ ეგზამენმა წინააღმდეგი აღმოაჩინა. ბოსწავლეთ ეტყობოდათ კარგი ცოდნა და შესაფერი განვითარება: მკაფიოდ კითხულობდნენ რუსულად და ქართულად და მშვენიერად ამბობდნენ წაკითხულის შინაარსს.

არა მგონია თუ სადმე ტფილისის სასწავლებლის ამისთანავე კლასებში ისე იყო წარმოებული ქართული ენის სწავლება, როგორც მცხეთის საქალებო სასწავლებელში ყოფილა. ერთ-ორი რუსის ქალი სწავლობს აქ და ესინიც კი მშვენივ-

[1] გაზ. „ივერია", 1889. № 208.

რად კითხულობენ და სწერენ ქართულად. ზეპირად თითქმის ხელოვნურად კითხულობდნენ, ნამეტნავად კარგად წაიკითხეს დეკანოზიშვილის ქალმა „სამშობლო ხევსურისა“, ციციშვილის ქალმა „ვაზის ჭირიმე, ვაზისა“ და ლაშაურის ქალმა „გუთანი“—რ. ერისთავისა. მოსწავლენი უფრო სუსტობდნენ არითმეტიკაში და გეოგრაფიაში.

დასასრულს ვიტყვი, რომ კარგი იქნება არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლობაც ამ ზემოხსენებულ ქალებს აკისრებინონ, ან კიდევ ამ საგნებისათვის ცალკე მასწავლებელი დანიშნონ, რათა სწავლების საქმე სრულიად კარგად წავიდეს სასწავლებელში“.[1]

კორესპონდენტს საჭიროდ მიაჩნდა ამ ღონისძიების ჩატარება კიდევ უფრო იმიტომ, რომ 'მემდეგი წლიდან მცხეთის ქალთა სასულიერო სასწავლებელს მეორე ნორმალური კლასი უნდა დამატებოდა.

ა) თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი

მცხეთის ქალთა სასულიერო სასწავლებელი, მართალია, თავისი პროგრამით ეთანაბრებოდა პროგიმნაზიებს, მაგრამ დროთა ვითარებაში საჭირო გახდა მისი რეორგანიზაცია.

მცხეთის ქალთა სასულიერო სასწავლებელი განსაზღვრული კონტინგენტისათვის იყო განკუთვნილი, იგი მზარდ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა,—მრავალი გოგონა სკოლაში ვეღარ ხვდებოდა.

1884 წლიდან, როგორც აღვნიშნეთ, „საეკლესიო სამრევლო სკოლების წესების“ მიხედვით იმპერიის ყველა ეპარქიაში დაიწყო ქალ-ვაჟთა საეკლესიო სამრევლო სკოლების გახსნა. ეს სკოლები პირველად დაწყებითი ტიპის ერთკლასიანი (სამგანყოფილებიანი და, შაშასადამე, სამწლიანი) და ორკლასიანი (ხუთგანყოფილებიანი, ბოლო ხანებში კი 6-განყოფილებიანი, 6-წლიანი) იყო.

ეპარქიების დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა

---

[1] გაზ. „იბერია“, 1897, № 119.

მოსამზადებლად 70-იანი წლების დამლევს იმპერიაში დაიწყო საშუალო ტიპის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლების გაესნა.

თბილისში ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი პანსიონით გაიხსნა 1879 წლის 21 სექტემბერს.

სასწავლებლის კონტინგენტი 100 მოსწავლე გოგონასათვის იყო განკუთვნილი. იგი შეიცავდა მოსამზადებელ განყოფილებას და სამ კლასს; თითოეული კლასი ორი წლის სწავლების კურსით.

სწავლისა და პანსიონის ქირად სასულიერო პირთა შვილები წელიწადში 15 მანეთს იხდიდნენ, საეროსი—40 მანეთს. სასწავლებლის თითოეულ კლასში მოწაფეთა რიცხვი 45-ს არ უნდა აღმატებოდა. მოსამზადებელ განყოფილებაში არ იღებდნენ რვა წლის ასაკზე ქვემოთ და ათი წლის ასაკგადაციცილებულ ბავშვებს.

თბილისის ეპარქიალური სასწავლებლის უფროსად დანიშნული იქნა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში კურსდამთავრებული ეფროსინე მოროზოვსკაია, რომელიც ამ თანამდებობაზე 1880 წლამდე იყო, საბჭოს წევრად—მღვდელი გრ. მღებრიშვილი, კლასების ინსპექტორად—ღვთისმეტყველების კანდიდატი ტატიშვილი.

თბილისის ეპარქიალური სასწავლებელი თავდაპირველად მოთავსებული იყო ანჩისხატის ეკლესიის სახლის მეორე სართულის რვა ოთახში. რადგან ეს შენობა ვიწრო იყო, მალე სკოლა ავჭალის ქუჩაზე კერძო სახლში გადაიტანეს. 1884 წელს სასწავლებელმა ანდრეევის ქუჩაზე შეიძინა უფრო შესაფერისი ბინა.

ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში ისწავლებოდა:

1) საღვთო სჯული: ახალი და ძველი აღთქმის ისტორია, კატეხიზისი, ღვთის მსახურება, საეკლესიო ისტორია—საერთო და რუსეთისა.

2) რუსული ენა საეკლესიო-სლავიანურით, სიტყვიერების თეორია და რუსული ლიტერატურის ისტორია.

3) არითმეტიკა. და გეომეტრიის საერთო საფუძვლები.

4) გეოგრაფია საერთო და რუსეთისა.

5) სამოქალაქო ისტორია — საერთო და რუსეთისა.

6) ფიზიკა, 7) პედაგოგიკა, 8) მართლწერა, 9) საეკლესიო გალობა, 10) ხელგარჯილობა, 11) ქართული ენა და სიტყვიერება.

სასწავლებლის სრულკურსდამთავრებულნი ღებულობდნენ საშინაო მასწავლებლის წოდებას და უფლება ეძლეოდათ ესწავლებინათ ის საგნები, რომლებშიაც წარმატება ჰქონდათ გამოჩენილი.[1]

სკოლის ხარჯს: მასწავლებელთა და მოსამსახურეთა ხელფასს, შენობის რემონტის, გათბობისა და განათების ფულს სასწავლებელი იხდიდა იმ სუბსიდიიდან, რომელსაც იგი იღებდა თბილისის სანთლის ქარხნის შემოსავლიდან.

ეპარქიალური სასწავლებლის უფროსი კლასების მასწავლებლებად უმთავრესად იყვნენ უმაღლეს სასწავლებელთა კურსდასრულებული პირები, რომელთაც განათლება სასულიერო აკადემიებსა და უნივერსიტეტებში მიეღოთ.

მასწავლებელ ქალებსა და აღმზრდელებს, რომელთაც დასრულებული ჰქონდათ ქალთა საშუალო სასწავლებლები და მინიჭებული საშინაო მასწავლებლისა და დამრიგებლის წოდება, შეეძლოთ ესწავლებინათ დაბალ კლასებში.

მასწავლებელ ქალთა და აღმზრდელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც თვით ეს სასწავლებელი დაემთავრებინათ.

1884 წელს მოხდა თბილისის ეპარქიალური სასწავლებლის კურსდასრულებულთა პირველი გამოშვება. კურსი დაამთავრა 8 მოსწავლემ.[2]

1886 წელს მოხდა ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მეორე გამოშვება — კურსი დაასრულა 15 მოსწავლემ.

1888 წელს თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში ირიცხებოდა 136 მოსწავლე. ქართველი იყო 106, რუსი — 21, ოსი — 7, ბერძენი — 1, სომეხი — 1.[3] მათ შორის სასულიერო წოდებიდან გამოსული — 101, მოხელეთა წოდებიდან — 8, აზნაურების, მოქალაქეთა და გლეხებიდან — 24, სამხედრო წოდებიდან — 3.

---

[1] ცსსა. ფ. 107. საქმე № 218.
[2] იქვე.
[3] იქვე.

თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში სასწავლო წელი 1 სექტემბერს იწყებოდა და მაისამდე გრძელდებოდა. გაკვეთილები 8 საათსა და 10 წუთზე იწყებოდა და მთავრდებოდა ძირითად კლასებში 2 საათსა და 10 წუთზე, ნოსამზადებელში—პირველ საათზე, მეორე და მესამე გაკვეთილის შემდეგ შუალედის შესვენება 35 წუთს გრძელდებოდა. ეს დრო განკუთვნილი იყო საუზმისა და დასვენებისათვის. მეოთხე გაკვეთილი, რომელიც 1 ს. 10 წუთიდან 2 ს. 10 წუთამდე გრძელდებოდა, ხელგარჯილობასა და სიმღერას ჰქონდა დათმობილი.

სადილის შემდეგ მოსწავლე გოგონები ექვსის ნახევრამდე ოსვენებდნენ, 5 საათსა და 30 წუთზე იწყებოდა საღამოს მეცადინეობა და ძირითად კლასებში ცხრა საათამდე გრძელდებოდა, მოსამზადებელში—ცხრის ნახევრამდე. დრო 7 საათიდან 8 ის ნახევრამდე დათმობილი ჰქონდა ჩაისა და დასვენებას. 9—საათზე აღსაზრდელები მიდიოდნენ სალოცავად და დასაძინებლად.

მოსწავლეთა დისციპლინასა და წარმატებას ხელს უწყობდა სასწავლებლის კარგი პედაგოგიური პერსონალი და მოსამსახურეთა შერჩეული შტატი,

იმ მიზნით, რომ მოსწავლეებს გაადვილებოდათ რუსული ენის შესწავლა, 1888—89 სასწავლო წელს მოსამზადებელ კლასში აღნიშნულ საგანს (4 საათს) დაემატა ორი საათი და მოსამზადებელ კლასში (4 საათს)—ერთი საათი.

უფროსი კლასების მოსწავლე გოგონებს რომ გაადვილებოდათ პედაგოგიური მუშაობა მოსამზადებელ კლასებში, ისინი მეთოდიკის მასწავლებლის ხელმძღვანელობით აწარმოებდენ გაკვეთილებს გადაცემას რუსულ ენასა და არითმეტიკაში. თითოეული მოსწავლე აძლევდა ორ-სამ პრაქტიკულ გაკვეთილს, ესწრებოდა ამხანაგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და მათ გარჩევას.

1889 წლის 21 ნოემბერს თბილისის ქალთა ეპარქიალურმა სასწავლებელმა არსებობის ათი წლისთავი აღნიშნა. გაზ. „ივერია“ წერდა:

„სამშაბათს, 21 ნოემბერს, იყო წლიური აქტი და ათი

ნლის იუბილეის დღესასწაული ტფილისის საეპარქიო დედათა-სასწავლებლისა. წირვისა და პარაკლისის გადაბადის შემდეგ დაიწყო თვით აქტიც. საქართველოს ეგზარხოსმა რამოდენიმე სიტყვა თქვა სკოლის ათი წლის იუბილეის შესახებ. საინტერესო იყო სასწავლებლის ანგარიში, რომელიც წაიკითხა სკოლის ინსპექტორმა ალბოვმა. მან აღნიშნა, რომ: წინათ ძალიან ცოტა იყო სკოლაში შეგირდები. ათობით ძლივს ითვლებოდა მათი რიცხვი. ეხლა კი ასზე მეტიც არის. წელს სკოლაში სწავლობს 136 შეგირდი... სკოლასთან დაარსებულია თავშესაფარი ობოლ შეგირდებისათვის, აგ თავშესაფარში 50 შეგირდია სასწავლებლის ხარჯით...

ანგარიშებიდან სჩანდა, რომ ეპარქიალური სკოლის პროგრამა ბევრით არაფრით იყო ნაკლები დედათა გიმნაზიის პროგრამაზე.

ამ აქტზევე სკოლის მასწავლებელმა ბ-მა იაროსლავმა წაიკითხა თავისი წერილი „დედაკაცის მდგომარეობასა და მოქმედების შესახებ კერპთ-თაყვანის მცემლობასა და ქრისტიანობაში". აქტს დაესწრო, სხვათაშორის, კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი, ბოლოს მოწვეულმა ხალხმა დაათვალიერა და ძალიანაც მოიწონა შეგირდი ქალების ხელ-საქმე".[1]

თბილისის ეპარქიალური სასწავლებლის რეორგანიზაციამ 1900 — 1901 სასწავლო წელს მოხდა სკოლა ექსკლასიანად იქნა გადაკეთებული, ხოლო 1908 წელს გაიხსნა მეშვიდე და მერვე პედაგოგიური კლასები.

თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი შემდეგი ფორმის ატესტატს ღებულობდნენ:

ა ტ ე ს ტ ა ტ ი № 255

თბილისის ეპარქიალური ქალთა სასწავლებლის საბჭო ამით ადასტურებს, რომ ამ სასწავლებელში აღზრდილმა ანა კობიაშვილმა, ასულმა აზნაურ სეფეონ კობიაშვილისამ, ყოფა-

[1] გაზ. „ივერია", 1889. № 249.

ქცევაში წარჩინებული ნიშნის (5) მქონენ, გამოიჩინა წარმატება.

საღმთო სჯულში	(5)
რუსულ ენასა და სიტყვიერებაში	(5)
მათემატიკაში	(5)
ფიზიკაში	(5)
ისტორიაში	(5)
პედაგოგიკაში	(5)
გეოგრაფიაში	(5)
ქართულ ენაში	(5)
სიმღერაში	(4)
სუფთა წერაში	(4)
ხელსაქმეში	(5)

ეპარქიალური სასწავლებელთა წესდების პარაგრაფ III საფუძველზე, მას ახალი გამოცდების გარეშე ენიჭება უფლება შინაური მასწავლებლისა.

„ამის დამადასტურებლად მიეცა მას ეს ატესტატი სათანადო ხელისწერითა და თბილისის ეპარქიალური ქალთა სასწავლებლის ბეჭდის დასმით. ქ. თბილისი, 13 ივნისი 1885 წ.“[1]

ატესტატი ხელწერილია საბჭოს თავმჯდომარის და წევრების მიერ.

ცარიზმი და ეკლესია ყოველნაირად ცდილობდა, რომ სკოლაში არ შეპარულიყო მონარქიისა და სასულიერო იერარქიის საწინააღმდეგო იდეები, მაგრამ ეს არ ხერხდებოდა. რუსეთის ეკლესიის სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი 1887 წლის იანვარში საქართველოს ეგზარხოსს სწერდა:

„ყოვლად სამღვდელო მეუფეო. მოწყალეო ხელმწიფევ და მწყემსმთავარო. უკანასკნელ ხანებში მოწაფეთა შორის ვრცელდება გრაფ. ლ. ტოლსტოის ცნობილი თხზულების „В чем моя вера“-ს ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ეგზემპლიარები. ამ თხზულებას, რომელიც საკსეა მავნე აზრებით, გამსჭვალულია ურწმუნოების იდეებით, რომლებიც არყევენ არა მარტო

[1] ცსსა, 481, საქმე № 501.

ეკლესიას, არამედ სამოქალაქო საზოგადოებრიობის ძირითად საფუძვლებს, შეუძლიან შეტისმეტად ბავნე გავლენა მოახდინოს ააალგაზრდა აზროვნებაზე და ხელი შეუწყოს მათი აზრების და გრძნობების საესებით გარყვნას. აბისათვის მოვალეთ ვთვლი ჩემს თავს უმორჩილესად გთხოვოთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ და მწყენსმთავარო, დაავალოთ თქვენდამი რწმუნებულ სასულიერო სასწავლებლების უფროსებს, ინსპექციის წევრებს და მასწავლებლებს, რათა თვალყური ადევნონ, რომ ხსენებული თხზულება არამც და არამც არ ჩაუვარდეთ მოწაფეებს ხელში. თუ ვინიცობაა გამოირკვა, რომ ხსენებულ თხზულებას უკვე იცნობენ მოწაფეები, სასურველი იქნება მასწავლებლებმა ან დამრიგებლებმა, რომელნიც კარგად იცნობენ ამ საგანს, განუმარტოს ახალგაზრდობას ხსენებულ თხზულების შინაარსი და ყოველგვარი გაუგებრობა, რასაც იწვევს ეს წიგნი ახალგაზრდებში".[1]

მონარქიისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული წიგნების კითხვის აკრძალვასთან ერთად სასტიკად იდევნებოდა ყოველგვარი ცდა რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და წრის დაარსებისა. იგივე პობედონოსცევი 1867 წლის 14 მარტით დათარიღებულ ცირკულიარში წერდა:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა შორისაც, განსაკუთრებით კერძო ბინებზე მცხოვრებელთა შორის, ხშირად ეწყობა სასწავლებლის ინსპექციის ნებადაურთველად სხვადასხვა ეგრეთწოდებული თვითგანვითარების წრეები, სადაც იკითხება პედაგოგიური ცენზურის მიერ ნებადაურთველი, ანდა პირდაპირ აკრძალული წიგნები, სადაც ვითარდება სასულიერო განათლების მიზნებთან და აბრკანებთან შეუფერებელი აზრები, რომლებიც მოუნწიფებელ ახალგაზრდობაში აღვიძებენ სასულიერო სასწავლებლის საალმზრდელო სასწავლო წყობილების საწინააღმდეგო აზრებს, რომლებიც შენდგომ განვითარებაში ხშირად არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლო ხასიათს იღებენ

---

[1] კრებ. სწავლა-აღზრდის ისტორიაზ საქართველოში, 1937, გვ. 226—227.

—საჭიროდ ვცნობ უმორჩილესად ვთხოვო თქვენ უსამღვდელოესებას, დაუდასტურო თქვენდამი რწმუნებულ სასულიერო სასწავლებლის უფროსებს, თვალყური ადევნონ ამ მხრივ მათდამი რწმუნებულ სასწავლებელთა მოწაფეებს, ხოლო დამნაშავეთა წინააღმდეგ იგივე ზომები გამოიყენონ, რაც მიღებულია საბალბო განათლების საშინისტროს უწყებაში".[1]

რამდენსაც არ ცდილობდნენ თბილისის ვაჟთა სასულიერო სემინარიისა და ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელთა მესვეურნი „თვალყური ედევნებიათ მოსწავლეებისათვის", აკრძალული ლიტერატურა მაინც ვრცელდებოდა, არსდებოდა წრეები, ეწყობოდა გაფიცვები და დემონსტრაციები.

თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი გამოეხმაურა 1905 წლის რევოლუციასაც.

მოსწავლე ქალებმა მოაწყვეს გაფიცვა, როგორც გამოძახილი 1905 წლის რევოლუციისა. ეს მოხდა 28 იანვარს. გაფიცვის მიზეზი სასწავლებელში გამეფებული სასტიკი რეჟიმი და ქართული ენის დევნა იყო. გაფიცვის გამომრკვევი კომისიის მიერ დაკითხული სასწავლებლის უფროსი ქალი ტროფიმოვა აჩვენებდა:

„27 იანვარს საღამოთი გვიან შემატყობინეს, რომ III კლასის მოწაფე შარვაშიძემ დღეს სასწავლებელში მოიტანა მთელი ტომარა პროკლამაციები და დაურიგა ჯერ თავის ამხანაგებს. შემდეგ ჩამოიარა ს

ვით სართულში და დავინახე, რომ მოწაფეები იკრიფებოდნენ სასწავლებლის დარბაზში და ყვიროდნენ: „ძირს უფროსი ქალი". მე მინდოდა ისინი დამეწყნარებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ისინი ხელში მაჩეჩებდნენ პროკლამაციებს. მე მოწაფეების დაწყნარების იმედი დავკარგე, გამოველ გარეთ და გავეგზავნეთ სახლისაკენ. ვერცკი მოვასწარ სასწავლებლის ტროტუარის გავლა, რომ გაისმა ზრიალი და დარბაზის ფანჯრებიდან დამტვრეული შუშები ჩამოცვივდა ტროტუარზე. მე უკანვე გამოვიქეცი. ვნახე, უფროსი ქალის ოთახში შეცვივდნენ მოწაფეები. სამასწავლებლო ოთახის კარებთან იდგნენ ოკოლოდიჩნი ნადზირატელი და გოროდოვები, ერთი ოკოლოდიჩნი ყვიროდა: „მე გამიზვით, ხელად დავაწყნარებ მათ, რამოდენიმე მათგანს ვტკიცავ სილას და გათავდა ყველაფერი", მე ვთხოვე პოლიციელებს არ ჩარეულიყვნენ საქმეში, ვიდრე მათ არა სთხოვდნენ ამის შესახებ. როდესაც პოლიციელები წავიდნენ მოვიდა მამა სერგი, რომელმაც მალე დააწყნარა მოწაფეები".[1]

სასწავლებელში გაბეფებული იეზუიტური რეჟიმის საწინააღმდეგოდ მოსწავლეებმა სათანადო მოთხოვნილებანი წაუყენეს სასწავლებლის ადმინისტრაციასა და ხელმძღვანელებს:

„ალარ ძალგვიძს ავიტანოთ ის პოლიციური რეჟიმი, რომელიც თანდათან გაბატონდა ჩვენს სასწავლებელში. ეს რეჟიმი ყველგან საგრძნობია, მაგრამ უფრო ძლიერად მოსჩანს ეკლესიაში, სადაც ჩვენ გადაგვაქციეს უსულო ავტომატებათ და გვალოცებენ უფროსი ქალის ბრძანებით.

ამიტომ ვთხოულობთ: 1) უფროსი ქალის გაძევებას, 2) თანაბარ მოპყრობას ყველა ეროვნების მოწაფეებთან და თავისუფალ ლაპარაკს ნშობლიურ ენაზე, 3) სასწავლებლის მთავრობის ჩაურევლობას მოწაფეთა კერძო ცხოვრებაში, 4) ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ. პირჯვრის წერაში ძალდატანების მოსპობას, 5) მარხვის შენახვა მხოლოდ დიდი მარხვის პირველ და უკანასკნელ კვირებში".[2]

---

[1] კრებ. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, 1937, გვ. 232.
[2] იქვე, გვ. 233.

იმხანად თბილისში მცხოვრები გამოჩენილი უკრაინელი ქალი ლესია უკრაინკა 1905 წლის 6 თებერვალს სწერდა თავის დედას: „Здесь были бунты во всех средных школах, в том числе и в женских, в Институте благородных девиц, епархиальном училище... в институте женском бунт был за то, что—одну ученицу перевели из старшего класса в младший, чтоб сделать вакансию для дочки начальника Края, а учителя, за протестовавшего против того, погнали в отставку. Барышни подняли бучу и за подругу и за учителя, побили окна в знак протеста, а начальнику пришедшую им умиротворять, забросали туфлями, избили и прогнали прочь, она подала в отставку, а институт пока что закрыт. Епархиальные сделали антирелигиозный бунт и есть слухи о каких-то неистовых кощунствах и безчинствах в той школе: как бы там ни было, школа прикрыта. Вот каковы дела".[1]

მსგავსი ხასიათის მღელვარება-გაფიცვები შემდეგშიაც ეწყობოდა თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლებში.

ბ) ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი

თბილისში ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის გახსნის შემდეგ ქუთაისშიაც განიზრახეს ანალოგიური ხასიათის სკოლის გახსნა.

განზრახვის შესრულებამ ათ წელიწადზე მეტს დაიგვიანა: ფაქტიურად მზადება აღნიშნული სასწავლებლის გასახსნელად 1889 წელს დაიწყო. სკოლის დასაარსებლად ზრუნვა და პროგრამის შედგენა დაეკალა სათანადო კომიტეტს გაბრიელ ცაგარეიშვილის თავმჯდომარეობით.

ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის გახსნა ნავარაუდევი იყო ბალახვანზე სტრუისკების მამულში, სადაც სამრევლო სკოლა და სანთლის ქარხანა იყო მოთავსებული.

1892 წლის 10 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში მოხდა ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის გახსნა.

---

[1] О. Бабышкин, Леся Украинка в Грузии, 1953, გვ. 28—29.

ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებელი, მსგავსად თბილისისა, თავდაპირველად ერთი მოსამზადებელი და სამი კლასისაგან შედგებოდა: თითოეული კლასი 2 წლის კურსით. მოსამზადებელი კლასის ყველა საგნის მასწავლებლად დაინიშნა იულია ფარსადანის ასული ასათიანი, რომელსაც დასრულებული ჰქონდა ქუთაისის გიმნაზია და უკანასკნელ დროს ხონის ორკლასიანი ქალთა სკოლის გამგედ მუშაობდა.

კლასის ზედამხედველად და ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნულ იქნა თბილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში კურსდასრულებული ქეთევან ჩიქოვანი. სასწავლებლის ექიმად დანიშნეს სიმონ ნიკოლოზის-ძე ლორთქიფანიძე. სასწავლებლის შენობაშივე მარიამ ვარდოსანიძის მიერ გახსნილ იქნა მოწაფე გოგონებისათვის პანსიონი, რომელიც თითოეულისაგან თვიურად ათ მანეთს იღებდა.

1899 წელს ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი სრულ ექვსკლასიან სკოლად გადაკეთდა.

ცხრაას ხუთი წლის რევოლუციას აღფრთოვანებით შეეგებენ ქუთაისელი მოწაფე გოგონებიც. ისინი ხარბად ეწაფებოდენ ლეგალურ და არალეგალურ ლიტერატურას.

დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის და ოლღა, რომელიც თავის ძმასთან ერთად იმხანად ქუთაისში სწავლობდა, მოსკოვში სწერდა თავის დას ლიუბას:

„Я теперь читаю очень интересные книги. Я купила себе книги: „Положение женщин в настоящем и будущем", „Долой социалдемократов", „Социализм в Японии", „О программе работников", „Что такое рабочий день", „Идея Марксизма в германской рабочей партии", „Буржуазия", „Пролетариат и коммунизм", „Среди людей мозга". Подобных книг купил себе и Володя 10 штук".[1]

რევოლუციური პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრი ქუთაისში იყო თეატრი, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ქართველი მსახიობი ლადო მესხიშვილი. ქუთაისელი მოსწავლე-

---

[1] В. Катанян, Маяковский, 1948, стр. 21.

ებიც გარს ეხვეოდნენ თეატრს, სადაც იმ დროს სიტყვით გამოდიოდა ხოლმე ი ო ს ე ბ ს ტ ა ლ ი ნ ი. მსახიობი ი. ზარდალიშვილი აბის გამო იგონებს:

,,ქუთაისში თანდათან დაიწყო გაფიცვები, ვითომდა ეკონომიურ ნიადაგზე, ნამდვილად კი ამ გაფიცვებს პოლიტიკური სარჩული ჰქონდა...

სიტყვა ,,ბოლშევიკი'' მე მაშინ პირველად გავიგონე, ყველა ჩვენი ლიდერები თითქმის ქუთაისში იყვნენ, ჩამოვიდა კობაც (აბხანაგ სტალინს მაშინ ასეთი ფსევდონიმი ჰქონდა) მე მახსოვს კობას და ნოე ხომერიკის კამათი თეატრში.

ყველა რევოლუციონერები თეატრში იყრიდნენ თავს. თეატრი იყო მთავარი ბუდე რევოლუციონერებისა. აქ იმართებოდა ხშირი მალული მიტინგები და შეხლა-შემოხლა. მესხიშვილი სარგებლობს ხალხის რევოლუციონური განწყობილებით და სდგამს იმ დროს რევოლუციონურ პიესას ,,კაიუს გრაკხუსს''.

ბათუმიდან როტშილდის ქარხნის მუშებმაც კი დეპეშით დაიკვეთეს 40 ბილეთი ამ პიესისათვის და მთელი მარჯვენა მხრის ლოჟები მათ ჰქონდათ დათმობილი... რადგან პიესა აუარებელ ხალხს იზიდავდა, ამ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება მეფის ხელისუფლებამ და ყოველ წარმოდგენაზე ყაზახთა რაზმი გარს უვლიდა თეატრს''.[1]

თეატრში ვრცელდებოდა უამრავი ბოლშევიკური პროკლამაცია, რომელსაც ხარბად კითხულობდნენ და ავრცელებდნენ მოსახლეობაში.

პეტერბურგის ბოლშევიკური გაზეთი ,,ვპერიოდი'' ქუთაისის თეატრზე წერდა: ,,თეატრში გავრცელებული იქმნა უამრავი პროკლამაცია, რომელსაც დახარბებით ჰკითხულობდნენ''.[2]

ქუთაისის მოსწავლე ვაჟები და გოგონები, ანთებულნი თეატრში მოსმენილით, ნანახითა და წაკითხულით, თეატრიდან გამოსვლისას ენერგიულად უტევდნენ ყაზახთა რაზმსა და

---

[1] გაზ. „საბჭოთა მწერალი", 1933, № 9.

[1] გაზ. „Вперед", 1905, № 14.

პოლიციას. მსაბიობი ბარბარე მესხი'შვილი ამ პერიოდს იგონებს და მოგვითხრობს:

„1905 წელს სასწავლებელთა ბართველობა და პოლიცია არ უშვებდა თეატრში ახალგაზრდობას, აქ იყრებოდენ პროკლამაციები: „გაუმარჯოს რევოლუციას". ფოიეში ეწყობოდა სახალდახელო შეკრებები, მოგონებები. თეატრის რეპერტუარში იყო: „კაიუს გრაკხუსი", „ჟანი და მადლენა", „ფეიქრები", „ლუი ბლაზი". თეატრიდან გამოსვლისას ახალგაზრდობა მიიწევდა ყაზახებსა და პოლიციელებზე. ეს შეჯახებანი მთავრდებოდნენ მოსწავლეების გალახვით".[1]

რევოლუციურ მოძრაობას ერთსულოვნად გაჰყვნენ ქუთაისელი მოსწავლეებიც. ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარი" აღნიშნავდა, რომ ქუთაისის რევოლუციონურ კომიტეტს პროპაგანდისტებად ჰყავდა „გაფიცული მოსწავლე ახალგაზრდებიც".[2]

საერთო გაფიცვებს დაემატა ქუთაისის სასწავლებლების მოწაფე ვაჟთა და ქალთა გაფიცვებიც. იმართებოდა მიტინგები, კრებები, დემონსტრაციები, მღეროდნენ ქართულ და რუსულ რევოლუციურ სიმღერებს. მათ შორის იროდიონ ევდოშვილის ლექსს „მეგობრებო წინ, წინ გასწით".

ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლების მოსწავლე გოგონებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ შეკრებებსა და დემონსტრაციებში.

7. ბოდბის მონასტრის ქალთა სასწავლებლის პედაგოგიური განყოფილება

ბოდბის „წმიდა ნინოს დედათა მონასტერთან" არსებული ქალთა სკოლა 1889 წელს, საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელთა 1884 წლის წესების მიხედვით, ქალთა საეკლესიო-სამრევლო ერთკლასიან სასწავლებლად, პანსიონად, გადაკეთდა. სწავლების კურსი 3-წლიანი იყო.

1897 წელს ბოდბის ქალთა საეკლესიო-სამრევლო სას-

---

[1] „Маяковский в Грузии", 1936, стр. 191.
[2] გაზ. „Пролетарий", 1905, 20 ივლისი.

წავლებელს დაემატა ორი კლასი და სწავლების კურსი 5-წლიანი გახდა. იმავე წელს ამ სასწავლებელთან, როგორც მისი გაგრძელება, შეიქმნა „საპედაგოგიო განყოფილება" ორწლიანი კურსით, რომელიც დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს ამზადებდა.

ბოდბის ქალთა საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელში ღებულობდნენ ყველა წოდებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების გოგონებს: ქართველებს, რუსებს, ბერძნებს, აისორებს და სხვებს.

სწავლა-განათლების მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდებოდა ბოდბის ქალთა სასწავლებლის მოსწავლეთა რიცხვიც. არსებული სასკოლო შენობა ვერ აკმაყოფილებდა სასწავლებლის მოთხოვნილებებს. ამიტომ იუვენალია მეორემ (თამარ მარჯანიშვილმა) აღძრა შუამდგომლობა ახალი შენობისათვის სათანადო თანხის გამოყოფის შესახებ. მალე სასულიერო უწყებებისაგან მან მიიღო 2.500 მანეთი და ამ თანხით ააგო სამსართულიანი სასკოლო შენობა.

ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში უმთავრესად ქართველი ქალიშვილები სწავლობდნენ, რომელთაც რუსული ენის დაძლევა უჭირდებოდათ. მათთვის დამატებითი კლასის გასახსნელად თამარ მარჯანიშვილმა 500 მანეთი მოითხოვა და სულ მალე კიდეც გაიხსნა მესამე კლასი. ამით სწავლების კურსი ბოდბის ქალთა სასწავლებელში 6 წლით განისაზღვრა.

ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი ჩვეულებრივი საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელთა გეგმით მუშაობდა. ხოლო ამასთან ერთად ბოსწავლე გოგონები სწავლობდნენ ხელსაქმეს, ხატვასა და ხაზვას. მუსიკას. „საპედაგოგიო განყოფილებაში" დამატებით ასწავლიდნენ დაწყებით სკოლებში სწავლების მეთოდებს.

მონასტერთან არსებობდა ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომელიც იმყოფებოდა გალავნის გარეთ სამონასტრო შენობაში. ამ სკოლაში სწავლობდნენ აბლო-მახ-

ლო მდებარე სოფლის ქალიშვილები. სკოლაში სწავლება უფასო იყო. ასწავლიდა ორი მასწავლებელი.

„ეს სკოლა,—წერდა ალ. ჯორჯაძე,—სამეცადინოა, სამონასტრო სკოლის მაღალი კლასების მოწაფენი აქ ვარჯიშობენ. გაკვეთილებს აქ აძლევენ. საზოგადო სწავლება ამ სკოლაში ქართულ ენაზე სწარმოებს და რუსულ ენას ასწავლიან როგორც საგანს".[1]

მოსწავლე ქალები ეუფლებოდნენ მეურნეობას, მოჰყავდათ ბოსტნეული, სწავლობდნენ მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, ხალიჩა-ფარდაგების ქსოვას. სკოლის ახლო მეაბრეშუმეობის გასავითარებლად დარგულ იქნა რაზდენიმე ათასი თუთის ხე. 1909 წელს ბოდბის მონასტრიდან თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურში გაიგზავნა რამდენიმე მონაზონი მეაბრეშუმეობის შესასწავლად.

1897 წლიდან ბოდბის ქალთა სკოლის პედაგოგიური განყოფილება პირველდაწყებითი მასწავლებლის ხარისხით დაამთავრა 175 მოწაფემ, რომელთაგან ქართველი იყო 125, რუსი—33, უდი—7, ოსი—5, ბერძენი—3, აისორი—2. აქედან სასულიერო წოდებიდან—59, გლეხთაგან—55, აზნაურთაგან—42 და მოქალაქეები—19.

1910 წელს სკოლაში 129 მოწაფე სწავლობდა. ქართველი—88, რუსი—19, ბერძენი—14, თავის ხარჯზე—43 და კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენელი საზოგადოების ხარჯით—15.

გარედან მოსიარულე მოწაფეები სკოლას არ ჰყავდა, ყველანი პანსიონში ცხოვრობდნენ, თავის ხარჯზე მყოფნი წლიურად 100 მანეთს იხდიდნენ.

დასახელებულ სკოლაში ცხრა მასწავლებელი ასწავლიდა, ამათგან 6 ქართველი და 3 რუსი.

ამას გარდა ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელმა თავისი არსებობის მანძილზე საეკლესიო-სამრევლო სკოლის რამდენიმე ასეული მასწავლებელი ქალი აღზარდა.

---

[1] „სახალხო გაზეთის სურათებიანი დამატება", 1910, №5—6,

8. ბრძოლა ქალთა უმაღლესი განათლებისათვის 70—80-იან წლებში

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან უმაღლესი განათლებისათვის მებრძოლ ქართველ ინტელიგენციას მიემატა მოწინავე ქალთა ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებულ მისწრაფებას იჩენდა უმაღლესი განათლებისადმი.

ქალთა უმაღლესი განათლების საჭიროება უმთავრესად გამოწვეული იყო საქართველოს ქალთა საშუალო სკოლების მასწავლებელთა სიმცირით. ცნობილია, რომ საშუალო სკოლაში მასწავლებლობის უფლება ეძლეოდა უმაღლესი განათლების მქონე პირებს. ასეთების რიცხვი გასული საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში, უმაღლეს სასწავლებელთა უქონლობის გამო, ძალიან მცირე იყო საერთოდ, ხოლო მათ შორის ქალები თითქმის არ მოიპოვებოდნენ. ამიტომ, ბუნებრივი იყო ქართველ ქალთა მისწრაფება უმაღლესი განათლებისაკენ, მაგრამ რამდენადაც რუსეთის უმაღლეს სკოლებში ქალთა მიღების საქმეს მე-19 საუკუნის 70—80-იან წლებში ძალიან ბევრი ფორმალური და არსებითი დაბრკოლებები ეღობებოდა. ქართველი ქალები იძულებული ხდებოდნენ დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლებისათვის მიეშართათ.

ქართველ ქალთა პირველი გაბედვა დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დამდეგს მოხდა.

ამ საქმეს ერთგვარი ბიძგი მისცა პროფ. ივანე თარხნიშვილის ლექციებმა, რომლებიც წაკითხული იქნა 1871 წელს თბილისის ფართო საზოგადოებაში საჯარო მოხსენებების სახით.

ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი ამის შესახებ წერდა: „1871 წელს ივ. თარხნიშვილი ჩამოვიდა თბილისში და აქ რამდენიმე პუბლიკური ლექცია წაიკითხა კრუჟოკის დარბაზში, ექსპერიმენტალურ ფიზიოლოგიაზე. კრუჟოკის დარბაზში ტევა აღარ იყო მაყურებელისაგან. განსაკუთრებით საინტერესოთ მიაჩნდათ ეს ლექციები მაშინდელ მანდილოსნებს. საოცარი მჭერმეტყველებით ჰფენდა ნათელს ახალგაზ-

და პროფესორი ი. თარხნიშვილი ყოველნაირს ფიზიოლოგიურ ფუნქციების განმარტებას. ამ დროს იმ ხანებში მთელ თბილისის საზოგადოებას მხოლოთ აბალგაზრდა პროფესორის ნიჭიერებაზე ჰქონდა ლაპარაკი და უნდა ვთქვათ, რომ იმან კიდეც შეჰქმნა მთელი ეპოქა მიძინებულ თბილისის საზოგადოებაში.

იმან აღძრა უმაღლესი სწავლის სურვილი მთელს ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით დედათა სქესში. უმეტეს ნაწილად თ. ივ. თარხნიშვილის მჭერმეტყველებას და ცოცხალ მეცნიერულ სიტყვას უნდა დაბრალდეს ის მოძრაობა, რომელიც აღმოჩნდა 1873 წელს თბილისის ახალგაზრდობაში. პირველი მაგალითი იყო რომ ამ წელს ერთმა გუნდმა ახალგაზრდა ინსტიტუტ-ზავედენია დასრულებულმა ქალებმა მოინდომეს საზღვარგარეთ წასვლა უმაღლეს სწავლა-მეცნიერების მისაღებად".[1]

ქართველ ქალთა ერთი ჯგუფის განზრახვას უმაღლესი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ წასვლის შესახებ კონსერვატორია მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოუწვევია.

1872 წლის გაზეთი „დროება" წერდა:

„ამბობენ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან განზე უყურებდა იმ თითო-ოროლა ყმაწვილ კაცებს, რომელთაც ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ განაცხადეს სურვილი უმაღლეს სწავლის მიღების და რუსეთის უნივერსიტეტებში წავიდნენ, მაშინდელ ჩვენს მამებს არ მოსწონდათ რომ მათი შვილები არ სჯერდებოდნენ იმ სწავლას, რომლის მიღება მაშინ აქაურ სასწავლებლებში შეეძლოთ, „რა გამოვა ბატონო, იმათი სწავლით. წავლენ, რაღაც აჭია-ბაჭიას ისწავლიან და ჩვენ ოჯახს კი აღარ გამოადგებიანო! ჩვენ თუ რაღაც ნივერსტეტში არ გვისწავლია. რა გვიშავსო!". ასე ამბობდნენ მაშინ ჩვენი მამები, მაგრამ შემდეგში, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ამ „ნივერსიტეტიდამ" გამოსული ზოგიერთი ყმაწვილები ცოტა

---

[1] ჟურნ. „კვალი", 1895, № 12.

არ იყოს გამოსადეგნი შეიქმნენ ოჯახისათვის; იმიტ ცოტ-ცოტარათ შეიცვალეს თავისი აზრი. დროებამ და გამოცდილებამ თავის გავლენა იქონია ჩვენს საზოგადოებაზე და ახლა ძნელად თუ ნახავთ ისეთს ბაბას, როშელიც თუ შეძლება აქვს, არ სცდილობდეს თავის შვილის უნივერსიტეტში გამოზრდასა.

ამნაირათ მოდის ახლა ჩვენი ახალგაზრდა ქალების უმაღლესი განათლების საქმეც. ამ ერთი წლის წინათ ჩვენს საზოგადოებაში დაიწყეს ლაპარაკი, რომ რამდენიმე ჩვენებური ახალგაზრდა ქალი სამზღვარ გარეთ აპირებს წასელას, უმაღლესი განათლების მისაღებათო. რადგანაც რუსეთში და ჩვენში საზოგადოთ ქალებს უმაღლესი განათლების გზა სულ არა აქვთ, ამის გამო რუსეთის და სხვა ქვეყნების ქალების ბაგალითით, ციურიხში აპირებენ წასელას, სადაც ქალებს უნივერსიტეტში შესვლის ნება აქვთო.

მის მაგივრათ, რომ ჩვენს საზოგადოებას თანაგრძნობითა და სიხარულით მიეღო ეს ამბავი და წაექეზებინა ჩვენი ახალგაზრდა ქალები ამ საქმეში, ჩვენ ყოველი მხრით გვესმოდა და ახლაც გვესმის ხან დაცინვით, ხან უკმაყოფილო ლაპარაკი და აზრი ამ საგანზე. „თბილისის ნიგილისტკებიო! მოდას აჰყოლიანო", ამბობდნენ ერთნი· „ეს რა ამბავი არის: ვინ ქალი და. ვინ ექიმი? პანსიონი გაუთავებიათ, ქმარი შეირთონ და მოისვენონო", ამბობდნენ მეორენი.[1]

განზრახვამ მალე ფრთები შეისხა. 1872 წლის დასაწყისში უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა ქართველი ქალი პელო ნაცვლიშვილი.

გაზეთი „დროება" ასე გამოეხმაურა ამ სასიხარულო მოვლენას: „ამ ერთი თვის წინათ, — წერდა გაზეთი, — თბილისიდამ ნაცვალოვის ქალი წავიდა ციურიხში უმაღლესი სწავლის მისაღებათ, და ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ ამავე გზაზე დადგომას რამოდენიმე სხვა ქართველი ქალიც აპირებს".[2]

---

[1] გაზ. „დროება", 1872, №32.

[2] იქვე.

ნაცვლიშვილის ქალს სხვა ქართველი ყმაწვილები და ქალებიც მიჰყვნენ და მალე ციურიხში ქართველთა პატარა კოლონია შეიქმნა. საექიმო ფაკულტეტზე სწავლობდნენ: პელო ნაცვლიშვილი, კეკე (ეკატერინე) მელიქიშვილისა, ვლ. ინანიშვილი, ივანე მესხი. ტექნიკურ ქიმიას და მექანიკას სწავლობდნენ: დავით ქადაგიძე, ალ. სუმბათაშვილი. პედაგოგიკას სწავლობდა ოლიმპიადა ნიკოლაძე. აქვე სწავლობდნენ: ბოგომილა (ბოკია) გედეონის ასული ზემიანსკაია (გაქართველებული პოლონელი), კატო (ეკატერინე) ნიკოლაძე, ოლღა გურამიშვილი, ხელთუბნიშვილის ქალი და სხვანი.

1873 წლის 3 მარტს ციურიხში მცხოვრებმა ქართველმა სტუდენტებმა, როგორც ვწერდით, დააარსეს საზოგადოება „უღელი". მის წევრებად ითვლებოდნენ ოლღა გურამიშვილი, პელაგია ნაცვლიშვილი, ეკატერინე ნიკოლაძე, ბოგომილა ზემიანსკაია, ვლადიმერ ინანიშვილი, პავლე იზმაილოვი დავით ქადაგიძე, ალექსანდრე სუმბათაშვილი და ივანე მესხი.

საზოგადოება „უღელის" მიზანდასახულების შესახებ 1873 წლის 3 მარტის სხდომის ოქმში შემდეგს ვკითხულობთ:

„ჩვენებურ ყმაწვილებს, რომელნიც სამზღვარგარეთ მოდიან სწავლის მისაღებათ, საზოგადოთ ძლიერ შევიწროვებული მდგომარეობა ხვდებათ, როგორც სწავლის მისაღებ ასპარეზზე, აგრეთვე მატერიალურის მხრითაც. იმათ თითქმის ყოველთვის ეკარგებათ სამშობლოსთან შემაერთებელი კავშირი, რომლითაც შესაძლებელია ერთის მხრით სამშობლოდან დახმარების და ხელის მოწყობის მიღება. და მეორეს მხრით იმ ხალხისა და ქვეყნის გაცნობა, რომელშიაც იმათ სწავლის დასრულების შემდეგ მოქმედება და ცხოვრება დასჭირდებათ.

ამასთანავე იმათ ურთიერთშორის საკმაო მსვლელობა და დაახლოვება არა აქვთ, ერთმანეთზე საკმაო გავლენა ვერ მოუპოვებიათ, რომ ერთმა მეორეს სწავლის მიღება და გონების გახსნა გაუადვილოს რჩევით, წყაროების ჩვენებით, ერთმანეთის დახმარებით და სხვ...

ეს აბალგაზრდები ჰფიქრობენ, რომ სასურველი იქნება იმათ შუა ისეთი საზოგადოების დაარსება, რომელშიაც თითოეულ წევრს ერთი რომელიმე სწავლის ან განყოფილების შითვისება შეეძლოს და დანარჩენი წევრებისათვის არჩეულ საგანზე თავისი ცოდნის და შეძენილი ცნობების გარდაცემა. რაკი ეს დანარჩენი წევრები მის ნაწარმოებს განიხილავენ და თავის მარით შეავსებენ და შეასწორებენ—ეს ნაწარმოებები თბილისში გაიგზავნება ქართული გამოცემების რედაქციაში ანდა ცალკე წიგნებათ დასაბეჭდავათ...

ამნაირი შეერთებული შრომისათვის საჭიროა ისეთი საშუალებების შეძენა, რომლებითაც შრომა ადვილდება და შესაძლებელი ხდება—ესე იგი ბიბლიოთეკის და კასისა...“[1]

ციურიხის ქართველ სტუდენტთა საზოგადოება „ულელმა“ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველ სტუდენტთა მატერიალური ხელისშეწყობისა და გონებრივად განვითარების საქმეში.

ციურიხის ქართული საზოგადოება „ულელის“ წევრებს კავშირი ჰქონდათ რუსების კოლონიასთან, სადაც ზოსენებებით გამოდიოდნენ ცნობილი რუსი ემიგრანტები: ლავროვი და ს

кровом занятий наукой русские женщины эдут заграницу чтобы беспрепятственно предаваться утехам „свободной любви". Клевета была наглая. Она повела к тому, что иные, иностранцы стали смотреть на нас, как на женщин легкого поведения".[1]

სხვა გზა არ იყო, ქართველი სტუდენტი ქალებიც ციურიხიდან ჟენევაში გადავიდნენ.

ჟენევაში გადასულ ქართველ ქალებს ეკატერინე მელიქიშვილის სახელზე სერგეი მესხის გამამხნევებელი ბარათი მოუვიდათ. ამ წერილში სერგეი მესხი ასე მიმართავდა მათ: „თუ თქვენ მოინდომებთ, თქვენი საქმე ჟენევაში ყველაფრით კარგათ წავა. აკადემია იმდენ სწავლას მოგცემსთ ბუნების საგნებში, რამდენიც თქვენთვის, თუ კეთილსინდისიერათ ისწავლით, სრულებით საკმარისი იქნება. ცხოვრება მანდ ძვირათ არა ღირს. პროფესორები და სტუდენტები ჯერ-ჯერობით ძალიან კარგის თვალით გიყურებენ და შემდეგში თქვენზე ჰკიდია თუ სახელს არ გაიფუჭებთ. სხვა მეტი რა გინდათ? გაუყარეთ ერთმანეთს მკლავი მკლავში, დაიდევით წინ თქვენი ქიმია, ფიზიკა და სხვა სახელმძღვანელო წიგნები და გაზეთები და იკითხეთ, ისწავლეთ".[2]

საქართველოში მოუთმენლად ელოდნენ საზღვარგარეთ მყოფ სტუდენტ-ქალთა ჩამოსვლას.

სერგეი მესხი სწერდა ეკატერინე მელიქიშვილს: „წარმოიდგინე ის დრო, როდესაც ჩვენ ერთად, როგორც ორნი ერთაზროვანი და ერთსულოვანი პირნი შევუდგებით იმ ჩვენს საქმეს. რომელსაც ასე სჭირია ყოველი კაცური კაცის, და ქალური ქალის დახმარება და ხელის მომართვა. ეს საქმე კეკე ხომ შენც იცი რა არის: მამულის სამსახური... ეს დრო კარგი დრო იქნება და მე მოუთმენლად მოველი იმას, თუ ღმერთმა და ბედმა ოდესმე მომასწრო".[3]

---

[1] В. Фигнер, Запечатленный Труд, 1932, т. 1. стр. 84.

[2] ს. მესხი, წერილები, 1950, გვ. 76.

[3] იქვე, გვ. 1—2.

ეს დროც მალე დაუდგა ქართველ საზოგადოებას: ქართველი ქალები, რომელთაც უცხოეთში მიიღეს უმაღლესი განათლება, დაბრუნდნენ საქართველოში და დაუცხრომლად შეუდგნენ კულტურულ და საგანმანათლებლო მუშაობას.

*

მას შემდეგ, რაც რუსეთის უმაღლესი ტიპის სასწავლებლებში დაიწყეს ქალების მიღება, საქართველოდან პეტერბურგში გაემართა ქართველი ქალების ახალი წყება. მათ შორის იყვნენ ეფემია და ელისაბედ ხელთუბნიშვილები.

დები მოეწყვნენ პეტერბურგის ქალთა პედაგოგიურ უმაღლეს კურსებზე, ე წ. „ბესტუჟევის კურსებზე".

აღნიშნული კურსები გახსნილ იქნა 1878 წ. პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენციის,—კერძოდ, პროფესორ ა. ნ. ბეკეტოვის ინიციატივით. სახალხო განათლების სამინისტრომ კურსების გახსნას დართო რა ნება, მოითხოვა, რომ ამ კურსების ხელმძღვანელი ყოფილიყო კ. ნ. ბესტუჟევ-რიუმინი, რომლის სახელწოდებასაც ატარებდა ეს კურსები.

ქალთა უმაღლეს კურსებზე იყო სიტყვიერებისა და ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტები.

დები ხელთუბნიშვილები პეტერბურგის ქალთა უმაღლეს კურსებზე მეცადინეობისას ჩაებნენ რევოლუციურ მუშაობაში და, ერთხელ, რევოლუციური პროპაგანდისათვის სასამართლოზე იყვნენ გადაცემულნი. დასახელებული კურსების დამთავრების შემდეგ ისინი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებელში და მონაწილეობდნენ „ქართული ბიბლიოთეკის" საქმიანობაში.

* * *

მე-19 ს. უკანასკნელ წლებში უმაღლესი განათლების მქონე იმ ქართველ ქალთაგან, რომლებიც დაუღალავ პედაგოგიურ და საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ საქართ-

ველოში, ცალკე უნდა აღინიშნოს ოლღა გურამიშვილი, ეკატერინე ნიკოლაძე და ეკატერინე ფელიქიშვილი,

ოლღა გურამიშვილი (1855 — 1940) ქართველ რევოლუციონერ ქალთა პირველი საუკეთესო წარმომადგენელი იყო. მან 1871 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი. ხალხოსან-რევოლუციონერ მ. ნადეჟდინის მეშვეობით ის 1871 წელსვე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. ორი წლის შემდეგ ოლღა გურამიშვილი, მმობლების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის დახმარებით, საზღვარგარეთ წავიდა.

ამის გამო ი ი რას სწერდა ბარბარე თუმანიშვილი თავის ძმას გიორგის 1873 წლის 16 თებერვალს:

„რომ იცოდე, რა შემთხვევა მოხდა აქ. ოლიკო გურამიშვილი ციურიხს წავიდა, ეს არავის შეატყობინა—არც დედას, არც ნაცას და რასაკვირველია, არც ბიძას (ალექსანდრე გურამიშვილს—რ. ს.). ნიკოლაძემ აიღო პასპორტი თავის დებისათვის, ნაგრამ წასვლით ნარტო ერთი წავიდა, ხოლო ნეორის სახელით ოლიკო გაემგზავრა. ახლა რასაკვირველია ყველაფერი უშოვეს—პასპორტიც, მოწმობაც. ყველაზე უფრო ბიძია ალექსანდრე ცხარობდა. ვერ წარმოიდგენ როგორ იყო აღელვებული. როგორ გვიანბობდა და ჩვენ როგორ ვხარხარობდით'[1].

აკადემიკოს ნ. ა. მოროზოვს თავის მოგონებებში მოჰყავს ოლღა გურამიშვილის ნაამბობი საზღვარგარეთ გაპარვის შესახებ.

— „А я, сказала Гурамова своим музыкальным голосом, даже просто убежала из дому, меня ни за что не хотели пускать, меня пустили проводить их до парахода и не дали заграничного паспорта. Мне было очень горько видеть как они перешли через мостики, а я осталась на набережной смотреть на них, казавшимся мне такими счастливцами. Но тут вдруг раздался крик: человек упал в воду. Жандар-

[1] აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ბ. თბილისელის პირადი საარქივო ფონდი.

мы, стоявшие на мостиках и не пропускавшие никого на пароходе без заграничних паспортов, бросились вытаскивать его, а я тем временем перебежала через мостики и спряталась в каюте парохода, до его отхода. А больше уже нигде не спрашивали паспортов".[1]

მართლაცდა, უსაზღვროდ დიდი უნდა ყოფილიყო სწრაფვა უმაღლესი განათლებისათვის, რომ იმ პერიოდში ქართველ ქალს ასეთი გაბედული ნაბიჯი გადაედგა.

ციურიხში ჩასული ოლღა გურამიშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1873 წელს დაარსებულ ქართველ სტუდენტთა საზოგადოება „უღელში". მას ახლო კავშირი ჰქონდა იქ მყოფ რუსი ემიგრაციის საუკეთესო წარმომადგენლებთან — ტკაჩოვთან, ვერა ფიგნერთან, ნ. მოროზოვთან და ფრანგ კომუნისტ ლეფრასესთან და სხვებთან.

1873 წლის ბოლო რიცხვებში ციურიხში ჩასულმა გიორგი წერეთელმა შეიინახულა ქართველი სტუდენტები. ოლღა გურამიშვილის შესახებ იგი ყერძო ბარათში ნიკო ნიკოლაძეს სწერდა:

„ვურამოვა, გურამოვა?... ოჰ რა არსებაა. მე მარტო პირველ ნახვაზე წარმომიდგა მისი ზღვასავით მიულეველი კარგი თვისებები. ორჯერ სამჯერ იმის წარბებს და თვალებს, იმის გაბუშტულს ცხვირს შევხედე და იცი ვისი სახე წარმომიდგა? როდესაც ვეუსვი (БАРС) პირველ გამოვა სანადიროთ და ყოველ ბუჩქს დაწვრილებით გადაავლებს თავის თვალის წუქს, რომ არა გაბოეპაროს რა. რომ თავის მსხვერპლი ხელითგან არ წაუვიდეს. სწორედ ამგვარივე შთაბეჭდილება ჰქონდა ჩემზე გურამიშვილის ქალს; მე ვფიქრობ, თუ ნორმალურად წავიდა იმისი გონების წკრთნა, ის უნდა გაბდეს რამე კარგათ მოზრდილ საქმეში მოთაეეთ და ძალის შემაერთებლად. ამასთან რა გულჩვილია და მხურვალე გრძნობის არის, ამასთან რა გამბედავი და თავგამეტებით ხელ ამღებია იმაზე, ვისაც სცნობს".[2]

---

[1] Н. А. Морозов, Повести моей жизни. 1947, т. I. стр. 449.

[2] ქურ, „მნათობი", 1929, № 11—12.

როცა ქართველი სტუდენტი ქალები ციურიხიდან ჟენევაში გადავიდნენ სასწავლებლად, მათ თან გადაჰყვა ოლღა გურამიშვილიც. ჟენევაში ის მონაწილეობდა ფედერაციული ინტერნაციონალის კრებებში და სხვ.

უმაღლესგანათლებამიღებული ოლღა გურამიშვილი 1876 წელს საქართველოში დაბრუნდა და იაკობ გოგებაშვილის მიწკევით თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზუნველი—იანოვსკი წინააღმდეგი ყოფილა ოლღა გურამიშვილის, როგორც ქალის მასწავლებლობისა ეაჟთა სკოლაში, მაგრამ როცა დასწრებია მის გაკვეთილებს, აღტაცებული დარჩენილა, დაუტოვებია იგი და სხვა მასწავლებლებიც მიუმაგრებია პრაქტიკისათვის.

აღნიშნულ თანამდებობაზე ოლღა გურამიშვილმა 1876 წლიდან—1881 წლამდე იმუშავა. აქვე ხანებში იგი ახლო მონაწილეობას იღებდა გაზეთ „ობზორის" საქმეებში, რომელსაც მისი მეუღლე—ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე (1843—1928) რედაქტორობდა.

გაზეთ „ობზორის" დახურვის და მისი რედაქტორის ქ. სტავროპოლში 1880 წელს გადასახლების დღიდან, ოლღა გურამიშვილი პეტერბურგში იმყოფებოდა და სისტემატურად ესწრებოდა ნ. კ. მიხაილოვსკის კონსპირაციულ ბინაზე მოწყობილ კრებებს. აქ შეხვდა იგი საბლინს, ვისთანაც მზადდებოდა მეფე ალექსანდრე მეორის მკელელობა.

მკვლელობის შემდეგ ოლღა გურამიშვილი ორჯერ დაჰკითხა ლორისმელიქოვმა და პეტერბურგიდან სამშობლოში გამოაძევა.

1882 წელს ოლღა გურამიშვილი ნიკო ნიკოლაძესთან ერთად ისევ ჩადის პეტერბურგში და ხდება იმ პროგრესულ მწერალთა წრის წევრი, რომლებიც ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი"-ს სცემდნენ.

1884 წლიდან ოლღა ალექსანდრეს ასული მეუღლესთან ერთად საქართველოშია. რევოლუციურ მუშაობაში ჩაბმის დღიდან ოლღა გურამიშვილი თუმცა ჟანდარმერიის საიდუმლო

მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ენერგიულად განაგრძობდა თავის საქმიანობას, მონაწილეობდა ყველა ქართულ-საზოგადოებრივ საქმეში და ხელს უწყობდა წარსული საუკუნის მეორე ნახევარში ნაციონალ-რევოლუციური მოძრაობის გაღვივებას.

ეკატერინე ნიკოლაძე (1854—1931). მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწე ქალთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ეკატერინე იაკობის ასულ ნიკოლაძეს.

1871 წელს ეკატერინემ თბილისში დაასრულა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი.

,,ეს ცნობილი და დიდად პატივცემული პიროვნება შეუდგა საზოგადო მოღვაწეობას ძალიან ახალგაზრდობიდან. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ეკატერინეს მამის, იაკობ ნიკოლაძის ოჯახი კულტურისა და განათლების მძლავრი კერა იყო ქუთაისში... ნიკოლაძის ოჯახში მუდამ თავს იყრიდა მაშინდელი ხელოსნები, მოწინავე საზოგადოება. ნიკოლაძის ოჯახი იყო ცენტრი და იშვიათი დასაყრდენი ბაზა ახალ იდეებისა... აი ასეთ ნათელ კერაში აღიზარდა შემდეგის საზოგადო მოღვაწე და იშვიათი ქველ-მოქმედი — ეკატერინე იაკობის ასული. მისი, ნიჭით და ტალანტით სავსე, მკვირცხლი ბუნება ვერ დაკმაყოფილდა საშუალო განათლებით, რომელიც მან სამშობლოში მიიღო, რადგან გულით სწყუროდა ევროპული განათლება, გაცნობა და შესწავლა იმ მოწინავე ქვეყნისა, რომელიც იყო ბუდე ფილოსოფიისა და მეცნიერებისა იმ ქვეყნისა, საიდანაც მიწას ეფინებოდა სოციალური იდეები''.[1]

1871 წელს ეკატერინე წავიდა ციურიხში უმაღლესი განათლების მისაღებად. 1873 წლის დასასრულს ციურიხში ჩასული გიორგი წერეთელი ნიკო ნიკოლაძისადმი მიმართულ ბარათში შემდეგს წერდა ეკატერინეს შესახებ: ,,ვერ წარმო-

---

[1] საქართ. კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ნ. ნიკოლაძის პირადი არქივი, საქმე № 38. (გ. ბოკერიას მიერ ეკატერინე ნიკოლაძის დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვიდან).

იდგენ კატო როგორ გაშოცვლილა, გაკეთებულა, იმას საკვირველად ეტყობა ჭაბუკობის ცეცხლი ალიმული და ის გაუხრელი სულის ღონე, რომელიც ყოველ დღიურს გაჭირებას, დიდ შევიწროებას, ხითხითით დასცინის თითქოს ამისთანა გაჭირება სულაც არაფრად გამკვირსო".[1]

საზღვარგარეთ ეკატერინე ნიკოლაძე სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად დაუახლოვდა რუს და ევროპელ რევოლუციონერებს, განსაკუთრებით ვერა ფიგნერს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი ახალგაზრდობის შიერ დაარსებულ საზოგადოება ,,ულელში''.

მან ,,პირველმა მოაწერა ხელი იმ პირობაზე, რომელიც დაიდო ქართველ და სომეხ საზღვარგარეთელ ჯგუფს შორის ერთად მუშაობისა და საერთო ძალით იმპერიალისტურ ტანჯვის უღლიდან განთავისუფლების მიზნით, და რომელზედაც გიორგი წერეთელს საკუთარ სისხლში ამოწებულ კალმით ჰქონდა ხელი მოწერილი''.[2]

1876 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა ეკატერინე ნიკოლაძემ ხელი მიჰყო პედაგოგიურ მოღვაწეობას, ლიტერატურულ საქმიანობასა და სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეს.

პროფ. რუსუდან ნიკოლაძე ასე ახასიათებს მას:

,,დაუცხრომელი ენერგიით სავსე, მოუსვენარი მუშაკი და ახალ-ახალი საქმეების წამომწყები, მამიდა კატო ბუნებით მოწოდებული საზოგადო მოღვაწე იყო და ამავე დროს თავისი ოჯახისა და პანსიონის ენტუზიასტიც.

ქუთაისში მამიდა კატო არცერთ საზოგადო საქმეს აკლდებოდა. თითქმის ყველგან იგი ერთ-ერთი და მთავარი ინიციატორი იყო და წამოწყების სული და გული. ქართული თეატრი, თარგმანები და გამომცემლობა, მუშებისათვის იაფფასიან წარმოდგენების მოწყობა, სახალხო უნივერსიტე-

---

[1] ჟურ. „მნათობი", 1929 წ. 11—12.

[2] საქართ. კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივი, საქმე № 38 (მ. ბოკერიას მიერ ეკატერინე ნიკოლაძის დასაფლავებისას წარმოთქმული სიტყვიდან).

ტის დაარსება და ხელმძღვანელობა, სტიპენდიები ,,საიბენდო ახალგაზრდობის და დევნილების დახმარება. სად არ შევხვდებოდით მას ქუთაისში 40-50 წლის მანძილზე 70-იან წლებიდან 1920-მდე. ყველა ეს ქუთაისის ქალთა წრის საქმე იყო, რომლის სულსა და გულს ბამიდა კატო შეადგენდა რამდენიმე თავის მეგობართან ერთად. რომელთა შორის 90-იან წლებში ყველაზე უკეთ მახსოვს მელ. გველესიანი. ელ. ხელთუბნიშვილი და ნიტა წერეთელი''[1].

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქუთაისის ქალთა წრის საქმიანობაში დაუცხრომელ მუშაობას ეწეოდნენ აკაკი წერეთელი და ლადო მესხიშვილი თავისი თეატრით.

პროფ. რუსუდან ნიკოლაძე იგონებს:

„ჩემ დროს, 90-იან წლების მეორე ნახევარში, ქალთა წრე ყოველკვირეულად იკრიბებოდა ჩვენსას, დილაობით მარქსის ,,კაპიტალის'' მკითხველთა წრე იკრიბებოდა, გიორგი ზდანოვიჩის ხელმძღვანელობით. საღამოობით კი ,,მოწყობი'' ქალები იყრიდნენ თავს: წარმოდგენების, სხვადასხვა საღამოების, ლექციების, ლატარეების და სხვ. ხშირად ნატო გაბუნია და აკაკიც გვესტუმრებოდნენ ტფილისიდან...

ყველაზე უკეთ მახსოვს ამ წრის ის პერიოდი, რომელშიაც მუშებისათვის დაიწყეს იაფასიანი წარმოდგენების მოწყობა მამიდამ, მელ. გველესიანმა, ელ. ხელთუბნიშვილმა და სხვებმა. აკაკის ძალიან უყვარდა ასეთი შეკრებები. ხან ოხუნჯობით გაამხიარულებდა ყველას, ხან კიდევ იმდროინდელ თავის გატაცებაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს — ,,ვეფხის ტყაოსანზე'', რომლის ირგვლივ იგი იმ დროს ლექციებსაც კითხულობდა''.[2]

ეკატერინე ნიკოლაძე დაუცხრომელ რევოლუციურ და ათეისტურ აგიტაციას ეწეოდა.

ეკატერინე ნიკოლაძის დასაფლავებისას—გ. ბოკერიამ სთქვა:

---

[1] „ლიტერატურის მატიანე". 1912, №3—4, გვ. 106.
[2] იქვე, გვ. 114.

„დამშეულ სოფელთათვის საზრდოს და ფულის მიწოდება, სხვადასხვა კულტურულ წრეების განმგებლობა, მოწაფეთა მოსამზადებელი პანსიონის წინძღოლა და თავისუფალი აღზრდის წესების ცხოვრებაში უნაკლოდ გატარება, რის შემდეგ მისი ხელიდან სამშობლოს გამოეზარდა არა მცირე რიცხვი სახელოვან რევოლუციონერთა. როგორც გვაგონდება, ყველაზე პირველად ეკ. ნიკოლაძემ დაიძახა, რომ მოწამეთის დავით და კონსტანტინეს ნეშთი სხვა არა იყორა თუ არ უბრალო ძვლები, თაფლის სანთელ გადაკრული...

1905 წლის რეაქციონურ ცეცხლის და ვარვარა ტყვიების წინააღმდეგ თავისი რევოლუციონერ შეგირდებით ქუთაისის ქუჩებზე ეკატერინემ უშიშრად აღმართა ბარიკადები სხვათა გასამხნევებლად. ქუთაისში არ ყოფილა არც ერთი კულტურული საქმე, საქველმოქმედო სალამოები თუ სხვადასხვა კრებები და მსჯელობანი, რომელშიაც ეკატერინეს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს, თაოსნობა არ გაეწიოს და თავისი უკანასკნელი გროში საზოგადო საქმეზედ არ გადაეგოს. ეს იყო ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებდნენ ქუთაისის კულტურულად მოაზროვნე და მომქმედნი მოწინავენი. ეს იყო მათი ტონის მიმცემი“.[1]

ყველა ამის გამო ცარისტული ხელისუფლება ალმაცერად უყურებდა ეკატერინე ნიკოლაძეს და ის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ეკატერინე ნიკოლაძე გულმხურვალედ შეხვდა. ეკატ. ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველი ქართველ ქალთაგანი იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პედაგოგიურ მოღვაწეობას და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეს შესწირა.

ეკატერინე მელიქიშვილი (1854—1928). მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში პედაგოგიურ ასპარეზზე და კულტურის სხვა სფეროებში არა ერთი ქართველი ქალი

---

[1] საქართ. კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ნ. ნიკოლაძის პირადი არქივიდან, საქმე № $\frac{38}{32\text{-ა}}$.

მოღვაწეობდა, მაგრამ ნაციონალურ პრესაში ქართველ ქალთა მონაწილეობა იშვიათი იყო.

1842 წელს, როცა საქართველოში ჟურნალ „სინათლის" გამოცემის იდეა ჩაისახა, ამ წამოწყებაში სამმა ქართველმა ქალმა მოინდომა მონაწილეობის მიღება. ესენი იყვნენ: ქეთევან მაჩაბელი, თინათინ ციციშვილი და ელისაბედ ჯავახიშვილი.

აღნიშნული ჟურნალის გამოცემა, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა და აქ დასახელებულ ქალთა სამწერლო ინტერესები გამოუვლინებელი დარჩა.

ქართველ ქალთა პირველი მონაწილეობა ნაციონალურ ჟურნალისტიკაში მოხდა ივანე კერესელიძის მიერ განახლებულ ჟურნალ „ცისკარში", სადაც ბეჭდავდნენ როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს და კრიტიკულ წერილებს: ეკატერინე ერისთავი, მარიამ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძე, ნინო ორბელიანი და სხვები.

1866 წელს, როცა თბილისში გიორგი წერეთლის რედაქტორობით (გამომცემელი სტეფანე გიორგის-ძე მელიქიშვილი) ქართული პერიოდული გაზეთი „დროება" გამოვიდა, გამომცემლობის საქმეში მონაწილეობას იღებდა მაშინ სრულიად ახალგაზრდა ეკატერინე (კეკე) გიორგის ასული მელიქიშვილიც.

ეკატერინე მელიქიშვილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი „ქართველ მთარგმნელ ქალთა ამხანაგობისა".

1872 წელს თბილისში სტეფანე მელიქიშვილის სტამბაში დაიბეჭდა „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა გამოცემული ქართველი ქალებისაგან. წიგნი პირველი".

ალმანახის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ უცხოეთიდან თარგმნილი ძეგლებით ქართველი საზოგადოება გაიცნობს დაწინაურებული ქვეყნების ცხოვრებას, „იმათ აზრს, გონების მიმართულებას და წადილს".

ალმანახის პირველ წიგნში მოთავსებული იყო: ეკატერინე გაბაშვილის მიერ ვიქტორ ჰიუგოს „საბრალოიდგან"

თარგმნილი ნაწყვეტი „პარიზელი ბიჭი“, ეკატერინე მელიქიშვილის მიერ თარგმნილი „ამერიკელი ქალები XVIII საუკუნისა“, ელენე ყიფიანის, ეკატერინე მელიქიშვილის და ეკატერინე გაბაშვილის მიერ თარგმნილი „ჟულტარნო“ და ელენე ყიფიანის მიერ თარგმნილი ნ. როსელის „უკანასკნელი დღენი“.

ასეთი საბის ალმანახების გამოცემით ქართველ მთარგმნელ ქალთა ჯგუფს სურდა შეეკროებინა თანხა, როგორც ისინი ეძახდნენ „სასიამოვნო საკითხავი წიგნების გამოსაცემად“.

1873 წელს ეკატერინე მელიქიშვილი, თავისი ძმის, ცნობილი ქართველი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის წინააღმდეგობის მიუხედავად, საზღვარგარეთ წავიდა უმაღლესი განათლების მისაღებად. სულ მალე ის ციურიხის ქართველ სტუდენტთა წრის „ულელის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა.

დასახელებულ საზოგადოებაში ეკატერინეს მიერ წაკითხული ერთ-ერთი მოხსენების გამო გიორგი წერეთელი 1873 წლის დასასრულს ციურიხიდან ნიკო ნიკოლაძეს სწერდა:

„გუშინ საღამოს შეკრებილებაში (საზოგადოება „ულელი“-ს კრებაზეა საუბარი —რ. ს.) კეკემ მოიტანა ქართული პოლიტიკური განხილვა საფრანგეთზე. დაწერილი კარგად იყო, მაგრამ შინ არ წაეკითხა და ამისათვის ჩქარა ვერ წაიკითხა. მე შევნიშნე და შენც მისწერე, რომ რაც დასწეროს იმის კითხვაც კარგათ ისწავლოს, მართლაც რომ ამ მხრით ჩვენი საქმეები კარგათ წავა“.[1]

საზღვარგარეთ უმაღლესკურსდასრულებული ეკატერინე მელიქიშვილი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ცნობილი ქართველი ჟურნალისტის სერგეი მესხის მეუღლე გახდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“, სადაც ათავსებდა როგორც ორიგინალურ, ისე ფრანგულიდან თარგმნილ მასალას.

---

[1] ჟურნ. „მნათობი“, 1929. № 11—12.

9. სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქალთა პედაგოგიური განათლების დაწესებულებათა სასწავლო მუშაობის შინაარსის განმსაზღვრელი დოკუმენტებიდან (სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები) შედარებით უფრო მეტად არის ცნობილი სასწავლო გეგმები. აღნიშნულ დაწესებულებათა დაარსების შესახებ ლაპარაკის დროს ჩვენ ნაწილობრივად უკვე შევეხეთ მათ სასწავლო გეგმებსაც. აქ საჭიროდ მიგვაჩნია ვცადოთ მათი მოკლე დახასიათება.

გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებლის სპეციალური პედაგოგიური ციკლი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ამ სასწავლებლის მესამე საფეხურს წარმოადგენდა, ორ უკანასკნელ (5-6) კლასს მოიცავდა. ამ საფეხურზე ანუ უკანასკნელი ორი კლასის სასწავლო გეგმაში შედიოდა:

ზოგადი განათლების საგნებიდან:

1. საღვთო სჯული,
2. რუსული ენა და სიტყვიერება,
3. ისტორია,
4. გეოგრაფია,
5. მათემატიკური საგნები,
6. ფილოსოფიური პროპედევტიკა,
7. მშობლიური ენა (მსურველთათვის).

სპეციალური (პედაგოგიური) განათლების საგნებიდან:

1. პედაგოგიკა,
2. კერძო მეთოდიკები (რუსული ენის, არითმეტიკის, გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლების მეთოდები).
3. პედაგოგიური პრაქტიკა.[1]

ზოგადი განათლების საგნებში, როგორც ვხედავთ, არ ყოფილა არც ერთი ახალი საგანი, რომელიც არ ისწავლებოდა წინა (მეორე) საფეხურზე. აქ. მესამე საფეხურზე, გადიოდნენ აღნიშნული საგნების გაღრმავებულ კურსს, რაც არსე-

[1] Циркуляр попеч. КУО. IX—X стр. 28.

ითად მათ განმეორებას წარმოადგენდა, სპეციალური პედაგოგიური ციკლის საგნები, ცხადია, ახალი იყო თბილისის 1-ლი თანრიგის ქალთა სასწავლებლისათვის, მაგრამ მათი ხვედრითი წონა ძალიან მცირე იყო ამ დაწესებულების სასწავლო გეგმაში. ეს გარემოება გამოწვეული იყო არა დროის უქონლობის ანუ გეგმის გადატვირთვის გამო, არამედ თვით პედაგოგიურ-მეთოდური საგნების პროგრამის სიმცირე-სილარიბით.

70-იანი წლებიდან ქალთა გიმნაზიების შვიდ (1-7) კლასში ერთნაირი, ტიპიური სასწავლო გეგმები იყო შემოღებული. ამ გეგმებში ძირითადად შედიოდა ქვემოჩამოთვლილი საგნები შემდეგი ცხრილით:

საავალდებულო საგნები	კ ლ ა ს ე ბ ი							
								სულ
1. საღვთო სჯული	2	2	2	2	2	2	2	14
2. რუსული ენა და სიტყვიერება	4	4	3	3	3	3	3	23
3. მათემატიკა .	3	3	3	3	3	4	4	23
4. გეოგრაფია .	2	2	2	2	2	—	—	10
5. ისტორია	—	—	2	2	3	3	2	12
6. ბუნებისმეტყველება და ფიზიკა	—	—	—	2	2	3	3	10
7. სუფთა წერა . .	3	2	1	1	—	—	—	6
8. ხელგარჯილობა .	—	—	2	2	2	2	1	9

არასავალდებულო საგნები	კ ლ ა ს ე ბ ი							
								სულ
9. გერმანული ენა . .	5	5	4	3	4	3	2	26
10. ფრანგული ენა .	5	5	4	3	4	3	2	26
11. ხატვა . . .	2	2	2	2	2	2	2	14
12. პედაგოგიკა ..	—	—	—	—	—	—	2	2

კლასიკური განხრის მქონე ქალთა გიმნაზიაში აქ მოყვანილი არასავალდებულო საგნების ნაცვლად შეიძლებოდა

ესწავლებინათ ერთი ახალი ენა და ძველი ენები ლათინური და ბერძნული.[1]

ქალთა გიმნაზიების მე-8, პედაგოგიურ კლასში შემდეგი სავალდებულო საგნები ისწავლებოდა:

1. პედაგოგიკა და დიდაქტიკა,
2. რუსული ენა (საეკლესიო-სლავურით) და სიტყვიერება,
3. მათემატიკა,
4. ისტორია,
5. გეოგრაფია.[2]

კერძო მეთოდიკები (რუსული ენისა და სიტყვიერების, მათემატიკის, ისტორიის, გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკები) ქალთა გიმნაზიების მე-8 კლასებში ისწავლებოდა პედაგოგიკის კურსთან. თუ გავიხსენებთ, რომ პედაგოგიკას (დიდაქტიკით) დათმობილი ჰქონდა კვირაში 2 საათი, ადვილი წარმოსადგენია ის უმნიშვნელო ადგილი, რომელიც პედაგოგიურ დისციპლინებს ეჭირა ქალთა გიმნაზიების მე-8, პედაგოგიურ კლასში. ასევე უმნიშვნელო იყო პედაგოგიური დისციპლინები წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელთა უკანასკნელ კლასებში და ქალთა განათლების ყველა იმ დაწესებულებების სასწავლო გეგმებში, რომლებიც ამზადებდნენ მასწავლებლებს დაწყებითი სკოლებისათვის.

პედაგოგიური დისციპლინების—პედაგოგიკის, პედაგოგიკის ისტორიის, კერძო მეთოდიკების სტრუქტურა არ იყო ჩამოყალიბებული მე-19 ს. მეორე ნახევარში. ის ფაქტი, რომ ყველა პედაგოგიური სასწავლებლის სასწავლო გეგმებში პედაგოგიკა იწოდებოდა „პედაგოგიკა დიდაქტიკით" ან „პედაგოგიკა და დიდაქტიკა" მოწმობს იმას, რომ დიდაქტიკა არ მიიჩნდათ პედაგოგიკის ორგანულ ნაწილად და სპეციალური შენიშვნის გარეშე მასში (პედაგოგიკაში) არ გულისხმობდნენ. კერძო მეთოდიკები კი,—პირიქით, არ ითვლებოდა და-

---

[1] Д. Кузменько, Сборник постановлений и распоряжении по женск. гимназ. и прогимназиях, 1874, стр. 129.

[2] იქვე, გვ. 146.

მოუკიდებელ სასწავლო საგნებად და, როგორც აღვნიშნეთ, პედაგოგიკის კურსთან. ზოგჯერ კი შესატყვისი საგნის კურსთან აერთიანებდნენ. ამ კერძო მეთოდიკებს პედაგოგიკის ან სათანადო საერთო-საგანმანათლებლო საგნების მასწავლებლები ასწავლიდნენ, რომლებმაც კერძო მეთოდიკები არ იცოდნენ. პედაგოგიკის კურსში შეჰქონდათ აგრეთვე პედაგოგიკის ისტორიის მასალაც, რომელიც პედაგოგიკის კლასიკოსების მოკლე ბიოგრაფიებით იფარგლებოდა. ცხადია, პედაგოგიკის კურსის ასეთი გაფართოების შემთხვევაში მისთვის დათმობილი 2 საათი კვირაში, სრულებით არ იყო საკმარისი. ერთი წლის განმავლობაში გადაეცათ ან შეესწავლათ ეს საგანი სათანადო სიღრმითა და სისრულით. რამდენადაც გასული საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ქალთა პედაგოგიურ სასწავლებლებში პედაგოგიური დისციპლინების სწავლება არ იდგა თავის სიმაღლეზე არც თავისი შინაარსით, არც მათთვის დათმობილი დროისა და არც მათ მასწავლებელთა სპეციალური კვალიფიკაციის მიხედვით, იმდენად ადვილი წარმოსადგენია იმ მასწავლებელ-ქალთა პედაგოგიურ-მეთოდიკური მომზადების ხარისხი, რომლებიც აღნიშნული პერიოდის ქალთა პედაგოგიური განათლების სასწავლებლებს ამთავრებდნენ.

გადავიდეთ პროგრამების საკითხზე.

პედაგოგიკისა და კერძო მეთოდიკების პროგრამები მე-19 ს. მეორე ნახევრის ქალთა პედაგოგიურ სასწავლებელთათვის და მათი მოკლე სქემები, რომლებიც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევენ პედაგოგიკის კურსის შინაარსის შესახებ. საკმაოდ მოგვეპოვება. ამ საბედნიერო შემთხვევით მთელი რუსეთისა და მისი იმპერიაში შემავალი ქვეყნების სახალხო განათლების ისტორია დიდად არის დავალებული რუსეთის პედაგოგიკის კლასიკოსის კ. დ. უშინსკისაგან, ხოლო საქართველოს მე-19 ს. მეორე ნახევრის სახალხო განათლება. კერძოდ

პედაგოგიური განათლება, გარდა კ. უშინსკისა დავალებულია მისი მოწაფეების — ლ. მოძალევსკის, დ. სემიონოვისა და ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის ბეს. ღოღობერიძისაგან.

კონსტანტინე უშინსკი, გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, გამოდიოდა რა იმ ფაქტიდან, რომ ქალთა პედაგოგიური განათლების სასწავლებლებს, არ მოეპოვებოდათ პედაგოგიკის კურსის პროგრამა, თვითონ შეადგინა ის ორ ვარიანტად 1869 წელს. ერთი ვარიანტი განკუთვნილი იყო ქალთა სასწავლებლების სპეციალური პედაგოგიური კლასებისათვის („Программа педагогики для специальных классов женских учебных заведений")[1], ხოლო მეორე — ქალთა იმ სასწავლებლების საერთო განათლების ორი უკანასკნელი კლასებისათვის, რომლებშიც პედაგოგიკა დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადების მიზნით ისწავლებოდა. „Программа педагогического курса для двух старших общих классов женских учебных заведении"[2].

კ. უშინსკის პროგრამის ორივე ვარიანტი მოწონებულ იქნა განათლების სამინისტროს მიერ და გაეგზავნა ქალთა პედაგოგიური განათლების სასწავლებლებს სახელმძღვანელოდ.

პროგრამის ის ვარიანტი, რომელიც განკუთვნილი იყო ქალთა სასწავლებელთა (უმთავრესად 1-ლი თანრიგის სასწავლებელთა)[3] სპეციალური პედაგოგიური კლასებისათვის, შეიცავდა შესავალს, წინასწარ ცნებებსა და პედაგოგიკის ორ ნაწილს: ფიზიკურ აღზრდას და გონებრივ-ზნეობრივ აღზრდას. შესავალში კ. უშინსკი არკვევდა პედაგოგიკის სწავლების მიზანს ქალთა სასწავლებლების სპეციალურ კლასებში. იგი აღნიშნავდა, რომ პედაგოგიკა უდიდესი მოცულობის საგანია და ქალთა სასწავლებლების სპეციალურ კლასებში, უკანასკნელთა ამოცანების მიხედვით, საჭირო იქნება ამ მოცულობიდან

---

[1] К. Д. Ушинский, Соч. т. 10. стр. 31-43.

[2] იქვე, გვ. 43-49.

[3] ისინი 1870 წლიდან ქალთა გიმნაზიებად ვ. დაკეთდა.

მხოლოდ ისეთი მასალის წინდახედული შერჩევა, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეითვისოს მეცნიერული პედაგოგიური განათლების საფუძვლები იმდენად, რომ მას შეეძლოს პედაგოგიური თხზულებების გაგება და დამოუკიდებლად განვითარება. მეორე მხრივ, ქალთა სასწავლებლებში პედაგოგიკის სწავლების პრაქტიკული ამოცანა, კ. უშინსკის აზრით, უნდა გამოიხატოს იმაში, რომ მოსწავლე ქალიშვილებმა სწავლის კურსის დასრულების შემდეგ „წარმატებით, მძიმე ცდებისა და შეცდომების გარეშე აწარმოონ ბავშვთა აღზრდა და პირველდაწყებითი სწავლება"[1]. პედაგოგიკის კურსის კარგად შეთვისების მიზნით კ. უშინსკის საჭიროდ მიაჩნია, მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის სათანადო საწყისები. ფიზიოლოგიის ელემენტარულ ცნობებს მოსწავლეები იძენენ სასწავლებლის ზოგადსაგანმანათლებლო კურსიდან, ხოლო აუცილებელი ცნობები ფსიქოლოგიიდან, რომელიც არ ისწავლებოდა საშუალო სასწავლებლებში, უნდა მიეწოდებინა ქსმენელთათვის პედაგოგიკის მასწავლებელს ამ კურსის სწავლების პროცესში.

პროგრამის „წინასწარ ცნობებში" უშინსკი არკვევდა სააღმზრდელო მოღვაწეობის საგანს, ამოცანასა და საშუალებებს. სააღმზრდელო მოღვაწეობის საგანში იგი ისეთი ცნებების გარკვევას გულისხმობდა, როგორიცაა: აღზრდა და მისი გამოყენება მხოლოდ ორგანიზმების მიმართ, განვითარება, პიროვნების აღზრდა, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აღზრდა, თვითშეგნება ანუ გონი, ნებისყოფა, ადამიანის განვითარების პერიოდები: ყრმობა, ბავშვობა, სიჭაბუკე, სიყმაწვილე და მოწიფულობა და სხვა ცნებები. პროგრამის ამავე ნაწილში უშინსკი იშველიებდა რა არისტოტელის ცნებებს, აღნიშნავდა: „პედაგოგიკის საგნად ითვლება ადამიანის ორგანიზმის სწორი განვითარება მთელი მისი სირთულით, მის მცენარეულ, ცხოველურ და წმინდა ადამიანურ პროცესებში"[1]. აღმზრდელობითი მოღვაწეობის ამოცანაში უშინსკი

---

[1] К. Д. Ушинский., Соч. т. 10, стр. 33.

აღზრდის ამოცანის ორ სახეს არჩევდა: ინდივიდის აღზრდას თავისთავისათვის და ინდივიდისაგან საზოგადოების წევრის აღზრდას. აღმზრდელობითი მოღვაწეობის ყველაზე ძლიერ საშუალებებად მას მიაჩნდა: სწავლა (სწავლება), რომელიც თავისი მნიშვნელობით, სიფართოვით და წესების მრავალმხრიობით შედის დიდაქტიკაში ანუ სწავლების თეორიაში. აქედან უშინსკი ასკვნიდა, რომ პედაგოგიკა ორ ნაწილად იყოფა: საკუთრივ პედაგოგიკა და დიდაქტიკა.

პედაგოგიკის პირველ ნაწილში—ფიზიკურ აღზრდაში უშინსკი, ფიზიკური აღზრდის ცნებისა და მისი მნიშვნელობის გარდა, აღნიშნავდა ადამიანის მცენარეული ცხოვრების ორგანოებს და პროცესებს. განსაკუთრებით კვების პროცესს, კვების სახეებს, ჰაერს, ტემპერატურას, სინათლეს და ცხოველური ცხოვრების ორგანოებსა და პროცესებს: კუნთებს, გრძნობის ორგანოებს, ნერვულ სისტემას. მეორე ნაწილში, გონებრივ-ზნეობრივ აღზრდაში. ავტორს შეაქვს ფსიქიურისა და ფიზიკური მოვლენების განსხვავება, სულეულისა და სულის ურთიერთზემოქმედება და გამოყოფს ფსიქიური მოვლენების ორ სახეს: დაბალი რიგის ფსიქიური მოვლენები და მაღალი რიგის ფსიქიური მოვლენები. დაბალი რიგის ფსიქიურ მოვლენებში, რომელიც ადამიანს საერთო აქვთ ცხოველებთან, უშინსკი გულისხმობდა შემეცნების ისეთ პროცესებს, როგორიცაა: აღქმა, მეხსიერება, წარმოსახვა, განსჯა და აგრეთვე შინაგანი გრძნობები და ნებისყოფის მოვლენები. მაღალი რიგის ფსიქიურ მოვლენებში, რომლებიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, უშინსკის შეჰქონდა: მეტყველების ნიჭი, მხატვრული გრძნობა, ზნეობრივი გრძნობა (ინდივიდუალური და საზოგადოებრივი) და რელიგიური გრძნობა.

პედაგოგიკის მეორე ნაწილად კ. უშინსკი დიდაქტიკას თვლიდა, რომელსაც ის ორ ნაწილად ყოფდა: ზოგადი და კერძო დიდაქტიკა. ზოგად დიდაქტიკაში მას შეჰქონდა სწავლების წესები, საერთო ყველა საგნისათვის, სწავლების პირობები, ორგანიზაცია, მეთოდები და ხერხები. კერძო დიდაქტიკაში — ცალკეული საგნების სწავლების წესები, სახელდობრ:

წერა-კითხვის, მშობლიური ენისა და მისი გრამატიკის, პირველდაწყებითი არითმეტიკისა და გეომეტრიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, ისტორიის, სუფთა წერის, ხატვის, მუსიკისა და სიმღერის (გალობის) სწავლების ხერხები და საშუალებანი.

კ. უშინსკის პროგრამის მეორე ვარიანტი, განკუთვნილი ქალთა იმ სასწავლებლების ორი უკანასკნელი კლასისათვის, რომლებიც ამზადებდა დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს, წარმოადგენდა პირველი ვარიანტის მოკლე რედაქციას.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს კ. დ. უშინსკის მიერ ქალთა პედაგოგიურ სასწავლებელთათვის შედგენილი პედაგოგიკის პროგრამა მკაფიოდ ასახავდა იმდროინდელი რუსული პედაგოგიკის მდგომარეობას, რომელიც, იმავე უშინსკის გამოთქმით, მაშინ „სავსებით ჭაბუკი იყო, არა მარტო ჩვენში, არამედ ყველგან"[1]. სწორედ პედაგოგიკური მეცნიერების სიჭაბუკითა და მისი მოუწიფებლობით აიხსნება ის ნაკლიც, რომელიც უშინსკის ზემოაღნიშნულ პროგრამას ახასიათებდა. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამა ავტორს, როგორც ჩანს, შეუდგენია თავისი დიდი ნაშრომის— „ანთროპოლოგიის" („Человек как предмет воспитания") სტრუქტურის მიხედვით და რამდენადაც ამ ნაშრომის პირველი ორი ნაწილი, რომლებშიც განხილულია პედაგოგიკის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური წანამძღვრები, 1869 წლისათვის უკვე დასრულებული ჰქონდა, იმდენად პროგრამის ფიზიოლ ოგიური და ფსიქოლოგიური მასალა საკმაო სისრულითა და საჭირო თანამიმდევრობით არის მასში წარმოდგენილი. „ანთროპოლოგიის" მესამე ნაწილი, რომელშიც საკუთრივ პედაგოგიკის საკითხები უნდა ყოფილიყო განხილული, ავტორმა ვეღარ მოასწრო დაეწერა და, ამდენად, მის ზემოხსენებულ პროგრამაში პედაგოგიკის საკითხები არ არის წარმოდგენილი სრულად და პედაგოგიკის სტრუქტურისათვის დამახასიათებელი თანამიმდევრობით. პედაგოგიკის მთელი რიგი საკითხები მასში სრულებით არ არის (განათლების სისტემა, სკოლა,

[1] К. Д. Ушинский, Соч. т. 8, стр. 23.

მასწავლებელი, მოსწავლეთა გაერთიანებანი და სხვ.), ხოლო ზოგი საკითხი. და მათ შორის დიდაქტიკა. მოკლედ და მეტად სქემატურად არის წარმოდგენილი.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ნაკლისა, რომლითაც უშინსკის მიერ 1869 წელს შედგენილი პედაგოგიკის პროგრამა ხასიათდებოდა. მან მაინც დიდი სამსახური გაუწია ქალთა სასწავლებლებს. მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში მის მიხედვით ასწავლიდნენ პედაგოგიკას. ხშირად ამოკლებდნენ მას, ცვლიდნენ მისი საკითხების თანამიმდევრობას, უმატებდნენ ზოგიერთ მასალას. მაგრამ არსებითად მის ნიადაგზე რჩებოდნენ. თბილისის ქალთა სკოლებში უშინსკის პროგრამით ასწავლიდნენ პედაგოგიკას ნისი მოწაფე ლ. მოძალევსკი და ბეს. ღოლობერიძე. რომლებიც უმთავრესად პროგრამის მეორე. შემოკლებული ვარიანტით ხელმძღვანელობდნენ.

რუსეთის იმპერიის ქალთა პედაგოგიურ სასწავლებლებში კ. დ. უშინსკის პროგრამის გამოყენების პრაქტიკამ პირველ წლებშივე ნათელი გახადა. რომ ეს პროგრამა. დიდი მოცულობის გამო. ვერ ეტეოდა მისი სწავლებისათვის დათმობილ დროში. მისი ამოწურვა შეუძლებელი ხდებოდა როგორც მე-8. პედაგოგიურ კლასში. ისე საერთო განათლების ქალთა სასწავლებლების ორ უკანასკნელ კლასში. რომლებშიც პედაგოგიკა ისწავლებოდა. ამის გამო რუსეთის საბალხო განათლების სამინისტრომ 1874 წელს ქალთა სასწავლებლებს დაუგზავნა სათანადო მითითება პედაგოგიკის პროგრამისა და მისი კურსის შემოკლების შესახებ [1].

ეს მითითება მოითხოვდა პედაგოგიკის კურსის სამი ძირითადი ნაწილიდან — ზოგადი პედაგოგიკიდან. დიდაქტიკიდან და კერძო მეთოდიკიდან ესწავლებინათ მხოლოდ ძირითადი საკითხები. სახელდობრ. ფიზიკური აღზრდიდან: მოსწავლის ჰიგიენა. ბავშვის კვება. სუფთა ჰაერის მნიშვნელობა ბავშვის ჯანმრთელობისათვის, ბავშვთა ჩვეულებრივი (გავრცელებული)

---

[1] Сборник Постановлений и Распоряжений по женским гимназиям и прогимназиям, МНП за 1870—1905, стр. 201.

ავადმყოფობანი და სხვ. გონებრივი აღზრდიდან: ფსიქოლოგიისა და ლოგიკის საკითხების გაშუქებისას გამოეყენებინათ მაგალითები აღზრდის პრაქტიკიდან და შეხედულებები პედაგოგიკის ძველი და ახალი წარმომადგენლებისა; მეთოდიკიდან: წერა-კითხვის მეთოდების სწავლების დროს გარკვეულიყო, რა მეთოდებით იყო შედგენილი რუსეთის იმპერიაში ყველაზე უფრო გავრცელებული საანბანო წიგნები კ. უშინსკისა, პაულსონისა, კორფისა, აგრეთვე გლავინსკისა და ნიკოლსკისა. პედაგოგიკის სახელმძღვანელოდ რეკომენდებული იყო როშჩინის წიგნი, რომელსაც ქვევით შევეხებით.

80-იანი წლების დასაწყისში კ. უშინსკის მოწაფემ დ. სემიონოვმა (1834—1902) გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის თანამდებობაზე ყოფნის დროს (1878 — 1884) შემოიღო პედაგოგიკის ახალი პროგრამა, რომელიც მან შეადგინა ყუბანის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად ყოფნის დროს (1870—1878)[1]. ეს პროგრამა, მართალია, შემოღებული იყო გორის სამასწავლებლო სემინარიისათვის, მაგრამ ის ჩქარა გავრცელდა თბილისის ქალთა პედაგოგიურ სასწავლებლებშიც. ამ აროგრამის ტექსტის შედარებამ უშინსკის პროგრამასთან დაგვარწმუნა, რომ დ. სემიონოვს ფართოდ უსარგებლია უშინსკის პროგრამით. მთელ რიგ შემთხვევებში სემიონოვი იმეორებს უშინსკის პროგრამის ამა თუ იმ ადგილს და ცნებებს. სტრუქტურაც უმთავრესად უშინსკიდან აქვს აღებული. მას ცვლილებები უფრო მეტად დიდაქტიკურ და მეთოდიკურ ნაწილში შეუტანია. სემიონოვის პროგრამაში გათვალისწინებულია ადგილობრივი პირობები, უფრო ფართოდაა წარმოდგენილი კერძო მეთოდიკების შინაარსი და პედაგოგიური პრაქ-

---

[1] Д. Д. Семенов, Избр. пед.соч. 1953, стр. 334—350. ცსსა, ს. 121, ფ. 39—57.

მ. კეკელიძე, დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში, 1954. დამატებანი, 75—87.

ტიკის გეგმა. დამატებულია თავი: „დიდი პედაგოგების ბიოგრაფიები“, რომელიც პედაგოგიკის ისტორიის მაგივრობას ეწეოდა. ამ უპირატესობათა გამო სემინარიის პროგრამამ 80-იან წლებში საკმაო პოპულარობა მოიპოვა საქართველოს პედაგოგიური განათლების ქალთა სასწავლებლებში და პედაგოგიურ კურსებზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მასწავლებელი პედაგოგიკას სახელმძღვანელოების სარჩევების (თავებისა და ქვეთავების) მიხედვით ასწავლიდა. ეს სარჩევები, რომლებიც პროგრამის სქემას მოგვაგონებს, იზიდავდა მათ უფრო იმიტომ, რომ თვით სახელმძღვანელოებიც ამ სქემით იყო შედგენილი და ეს მასწავლებლებს ძალიან უადვილებდა პედაგოგიკის კურსის კითხვას. მიუხედავად იმისა, რომ დაბალ მეცნიერულ დონეზე მდგარი პედაგოგიკის სახელმძღვანელოების სარჩევები სუსტ და ხშირად არასწორ წარმოდგენას აძლევდა მკითხველებს პედაგოგიკის სხვადასხვა საკითხზე. ასეთ პრაქტიკას ადგილი ჰქონდა თითქმის საუკუნის დამლევამდე.

***

საქართველოს მე-19 ს. 60-იან წლების პედაგოგიური განათლების სასწავლებლებს თავიდანვე, ცხადია, არ მოეპოვებოდა პედაგოგიკის სახელმძღვანელოები. მოსწავლეები მხოლოდ კონსპექტებს ანუ ჩანაწერებს (Записи) ადგენდნენ და ამით სწავლობდნენ პედაგოგიკის კურსს. წლის დამლევს მასწავლებელი ამოარჩევდა უფრო უკეთეს კონსპექტს, ასწორებდა მას და მთელ ჯგუფს აძლევდა, რომ ამით მოემზადებინა ჩასაბარებელი კურსი.

არსებული ცნობების მიხედვით პედაგოგიკის სახელმძღვანელო თბილისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიური კლასისათვის პირველად შემოღებულ იქნა 1871 წელს. ეს იყო პ. რ ო შ ჩ ი ნ ი ს წიგნი: „ნარკვევი პედაგოგიკის, დიდაქტიკისა და დაწყებითი განათლების სასწავლო საგნებისადმი შე-

ფარდებული მეთოდიკის უკთავრესი პრაქტიკული დებულებებისა"[1]. წიგნი რეკომენდებული იყო რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს მიერ. როგორც სახელმძღვანელო ქალთა გიმნაზიებისა და სამასწავლებლო სემინარიებისათვის.

პ. როშჩინის წიგნის წინასიტყვაობაში მისი შემდგენელი იმ ფაქტიდან გამოდიოდა, რომ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა დიდმა უმრავლესობამ არ იცოდა პედაგოგიკა სამასწავლებლო სემინარიების სიმცირის გამო. თვით დებულებაც მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ მოითხოვდა მომავალ მასწავლებელთაგან მხოლოდ იმ სპეციალური საგნის ცოდნას. რომელიც მათ უნდა ესწავლებინათ. ხოლო პედაგოგიკის ან მეთოდიკის ცოდნა მათთვის სავალდებულოდ არ ითვლებოდა. ეს გარემოება პ. როშჩინის სამართლიანი შენიშვნით. გადაუდებელ აუცილებლობად აყენებდა პედაგოგიკა-მეთოდიკის სახელმძღვანელოს გამოცემას, რომ აღნიშნულ მასწავლებლებს რამდენადმე მაინც გაადვილებოდა პრაქტიკული მუშაობა მათ წინაშე მდგარი მძიმე ამოცანების განსახორციელებლად. შემდგენელი წერდა, რომ სახელმძღვანელოს მიზანი მიღწეულად ჩაითვლება, თუ ის გაურკვევს დამწყებ მოსწავლეებს აღზრდისა და სწავლების თუნდაც ზოგიერთ საკითხს და ხერხს და აღუძრავს მათ სხვა პედაგოგიური თხზულებების უფრო საფუძვლიანად შესწავლის სურვილს.

პ. როშჩინის წიგნი 3 ნაწილისაგან შედგებოდა: ზოგადი პედაგოგიკა, დიდაქტიკა და მეთოდიკა. ზოგად პედაგოგიკაში განხილული იყო აღზრდის კანონები და წესები, პედაგოგიკის განმარტება და მისი სტრუქტურა, ფიზიკური აღზრდა, შემეცნების ნიჭის განვითარების პროცესი გრძნობის ორგანოების საშუალებით და ამ გრძნობების აღზრდა. ბავშვთა გონებრივი აღზრდა, ყურადღებისა და მეხსიერების აღზრდა, მნემონიკა, წარმოსახვა და ფანტაზია. ზნეობრივი აღ-

[1] Очерк главнеиших практических положении педагогики, дидактики и методики, примененной к учебным предметам начального образования, сост. П. Рощин, Москва, 1874.

ზრდა, გარემოს აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ბავშვის სოციალური მისწრაფებანი, რელიგიური აღზრდა, ესთეტიკური აღზრდა, ბავშვთა სათამაშოების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა და სხვა საკითხები. დიდაქტიკაში განხილული იყო: სწავლების ამოცანები და საშუალებანი, ცოდნა-ჩვევები, სწავლების მეთოდები, სწავლების კერძო მეთოდები. სასწავლო გეგმები, გაკვეთილების განაწილება, მასწავლებლის დახელოვნება და მისი პიროვნების მნიშვნელობა სწავლების დროს, დისციპლინა და წესრიგი სწავლების დროს, სწავლების დრო და ადგილი (გაკვეთილი) და სხვა საკითხები. მეთოდიკაში განხილული იყო: რუსული წერა-კითხვის სწავლების მეთოდები, არითმეტიკის სწავლების მეთოდები, ხაზვის მეთოდები, გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლების მეთოდები, საღვთო სჯულის სწავლების პროგრამა, თეალსაჩინო ხელსაწყოები დაწყებით სკოლაში, ჩანაწერების ნიმუშები და სხვა საკითხები.

როშჩინის სახელმძღვანელო უშინსკის პროგრამის მიბაძვით, მაგრამ მთელი რიგი საკითხების გამოკლებითაა შედგენილი. დიდაქტიკისა და კერძო მეთოდიკების ნაწილი მეტად მოკლედ და სქემატურადაა განხილული, ის უფრო ინსტრუქციებისა და რეცეპტების კრებულს წააგავს, ვიდრე მათ ნარკვევს. ცნებებიც განყენებულადაა განმარტებული. მაგალითად, აღზრდის მიზნით აღიარებულია: „შესაძლო ადამიანური სრულყოფის მიღწევა“ ჰარმონიული განვითარების საშუალებით. პედაგოგიკა, ავტორის განმარტებით, გვაცნობს ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის წესებს“. წიგნში არ არის ასახული მასწავლებელთა გამოცდილება, არ არის მაგალითები და პრაქტიკულ დაკვირვებათა შედეგები. მიუხედავად ამისა, როშჩინის სახელმძღვანელო მაშინდელ პირობებში მაინც სასარგებლო წიგნად ითვლებოდა და მრავალჯერ იქნა გამოცემული.

80-იანი წლების დასაწყისში თბილისის ქალთა გიმნაზიის მე-8, პედაგოგიურ კლასში, თბილისის და ქუთაისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლების უკანასკნელ კლასებში პედაგოგიკას ასწავლიდნენ ი. სკვორცოვის მიერ შედგენილ

პედაგოგიკის სახელმძღვანელოთი: „ჩანაწერები პედაგოგიკაში ქალთა გიმნაზიებისა და მარიამ დედოფლის სახელობის დაწესებულებათა უწყების ინსტიტუტების პედაგოგიკის პროგრამის შესაფარდისად"[1]. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია „ზოგადი პედაგოგიკა, რომელშიც განხილულია აღზრდის ორი მხარე: ფიზიკური აღზრდა და სულიერი აღზრდა. სახელმძღვანელოს წამძღვარებული აქვს მოკლე წინასიტყვაობა და შესავალი. წინასიტყვაობაში ავტორი ლაპარაკობს, რომ პედაგოგიკა ფსიქოლოგიასა და ლოგიკას უნდა ეყრდნობოდეს. პირველი არის პედაგოგიკის ფუნდამენტი. მეორე კი ცემენტი. რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს პედაგოგიკის ყველა ნაწილს. შესავალში განმარტებულია ცნება აღზრდის შესახებ და ტერმინი „პედაგოგიკა". მითითებულია პედაგოგიკის შემადგენელი ნაწილები. ზოგადი პედაგოგიკის საგნად ავტორს „ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების თანდათანობითი და სწორი აღზრდის ზოგადი კანონებისა და პირობების გადმოცემა მიაჩნია". დიდაქტიკაში ორ მხარეს არჩევს: ზოგად დიდაქტიკას და კერძო დიდაქტიკას. პირველი შეიცავს სწავლების საერთო კანონებსა და წესებს, მეორე—საერთო დიდაქტიკური წესების გამოყენებას ცალკეული საგნების სწავლებაში და სხვადასხვა კერძო მეთოდებსა და ხერხებს. ფიზიკურ აღზრდაში სკეორცოვი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ბავშვის კვება, მისი ტანსაცმელი, საწოლი, ძილი, სიარული, სუფთა ჰაერისა და ტემპერატურის მნიშვნელობა, კბილების ამოსვლა და სხვა, სულიერ აღზრდაში: შეგრძნებანი, ყურადღება, წარმოდგენები, ასოციაციები, მეხსიერება, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება, გრძნობები, ნებისყოფა, შეგნება და თვითშეგნება.

---

[1] Записки по педагогике „Применительно к программе педагогики в женских гимназиях и институтах ведомства учреждении Императрицы Марии", Составил И. В. Скворцов, часть первая, Общая педагогика, 1885.

აღნიშნული სახელმძღვანელოს გაცნობით ნათელი ხდება, რომ ის შედგენილია უშინსკის პროგრამის მიხედვით. სკვორცოვი სარგებლობს ამ პროგრამაში გათვალისწინებული სტრუქტურით, ცნებებითა და განმარტებებით. დიდაქტიკას მართებულად თვლის პედაგოგიკის განსაკუთრებულ ნაწილად. ამასთან გადატვირთულია ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მასალით, რომელიც ორგანულად არ არის დაკავშირებული აღზრდის საკითხებთან. ბავშვის სულიერი აღზრდის საკითხებში სრულებით არ არის გათვალისწინებული მისი გონებრივი განვითარების საკითხები. ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას წიგნში სულ 10 გვერდი აქვს დათმობილი და ეს უმნიშვნელო ადგილი კი არ არის გამოყენებული აღზრდის ამ ძირითადი ნაწილების რომელიმე არსებითი საკითხის განსახილველად ზნეობრივი აღზრდის „მძლავრ დასაყრდენად" აღიარებულია რელიგია.

90-იან წლებში თბილისის ქალთა სასწავლებლებში პედაგოგიკის სახელმძღვანელოდ იყენებდნენ აგრეთვე კ. ელნიცკის „ზოგად პედაგოგიკას"[1] და დიდაქტიკას. ეს წიგნები თავისი სტრუქტურით და შინაარსის ძირითადი საკითხებით ბევრად არ განსხვავდებოდა პედაგოგიკის ჩვენ მიერ უკვე განხილულ სახელმძღვანელოებისაგან. ელნიცკი პედაგოგიკას ორ ნაწილად ყოფდა: 1) ზოგადი პედაგოგიკა, რომელიც განიხილავს „ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების თანდათანობითი აღზრდის კანონებს", 2) დიდაქტიკა, რომლის საგანსაც წარმოადგენს „იმ პედაგოგიური დებულებების განხილვა, რომლებიც გონების განათლებას ანუ სწავლებას ეხებიან", 3) მეთოდიკა, ანუ „დიდაქტიკური დებულებების გამოყენება ამა თუ იმ სასწავლო საგნისადმი (მაგ. არითმეტიკის ან მშობლიური ენისადმი)" და 4) პედაგოგიკის ისტორია, რომელიც ავტორის აზრით, სწავლობს პედაგოგიურ დებულებათა თანა-

---

[1] Общая педагогика. Пособие для учебных заведении, в которых препадается педагогика, и для занимающихся воспитанием и обучением детей.

ბიმდევრობით განვითარებას. წიგნის პირველ ნაწილში ზოგადი პედაგოგიკის კურსის დაწყებამდე, ელნიცკი ეხება ადამიანის განვითარების ასაკებს და შემდეგ დაწვრილებით განიხილავს ფიზიკური და სულიერი აღზრდის საკითხებს. თავისი სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი ელნიცკის მიძღვნილი ჰქონდა დიდაქტიკისადმი.

სხვა სახელმძღვანელოებთან შედარებით ელნიცკის წიგნში უფრო მეტად არის წარმოდგენილი საილუსტრაციო მაგალითები და სხვადასხვა ფსიქიკური პროცესების თუ მოვლენების აღზრდის გზები და საშუალებანი: მასწავლებლის გამოცდილება არც ამ წიგნშია გამოყენებული, მაგრამ პრაქტიკული მითითებანი მასში ბლომად მოიპოვება, რაც წიგნის მნიშვნელოვან ღირსებას წარმოადგენს.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ქალთა პედაგოგიური განათლების სასწავლებლებში პედაგოგიკისა და კერძო მეთოდიკების სახელმძღვანელოებად ხმარობდნენ აგრეთვე დ ი ტ ე ს ი ს „პრაქტიკული პედაგოგიკის ნარკვევს", სპენსერის წიგნს „გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდა"[1], ერისმანის „სასკოლო ჰიგიენას" და სხვა პედაგოგიურ ლიტერატურას.

მეთოდოლოგიურად, აღნიშნული სახელმძღვანელოები, ცხადია, მე-19 საუკუნის ბურჟუაზიული პედაგოგიკის თვალსაზრისზე იდგა. ისინი ბევრ მოძველებულ და მეცნიერულად ყალბ „თეორიებს" შეიცავდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ სახელმძღვანელოების ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ (ლოგიკის) დებულებებზე და აღზრდის თეორიის იმ ნაწილებზე, სადაც განხილულია მემკვიდრეობის, აზროვნების, მორა-

---

[1] აღსანიშნავია, რომ სპენსერის „გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდა" ყველაზე უფრო მეტი უპირატესობით და პოპულარობით სარგებლობდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში. თუ ბუდველობაში მივიღებთ, რომ ეს წიგნი, მართლაც, აღემატება თავისი მეცნიერული ღირსებით სხვა, ზემოაღნიშნულ, წიგნებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში უფრო სერიოზულად ეკიდებოდნენ ზოგადი პედაგოგიკის სწავლებას, ვიდრე იმ სასწავლებლებში, სადაც ამ წიგნს არ იყენებდნენ.

ლური და რელიგიური აღზრდის საკითხები. ბუნებრივია, რომ ხსენებული სახელმძღვანელოები ვერ აიარაღებდნენ მომავალ მასწავლებელ ქალებს მოწინავე პედაგოგიური თეორიით, ვერ აძლევდნენ მათ აღზრდის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური საფუძვლების მტკიცე, მეცნიერულ ცოდნას და მათი დანიშნულების შესაფერის მეთოდიკურ დახელოვნებას. მიუხედავად ამისა, ეს სახელმძღვანელოები თავისი ფაქტობრივი შინაარსით მაინც აწვდიდნენ მკითხველებს პედაგოგიურ-მეთოდიკური ცოდნის იმ მინიმუმს, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა მათი მუშაობა დაწყებით სკოლებში.

* * *

დასასრულ, თუ შეეცდებით გავითვალისწინოთ ქალთა პედაგოგიური განათლების ინტორია მე-19 საუკუნის საქართველოში, დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული პერიოდის მანძილზე მისი განვითარება საგრძნობლად ჩამორჩებოდა დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების ამოცანებს. ქალთა პედაგოგიურ სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებებში აღზრდილი პედაგოგი ქალები. მართალია, ნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ განათლების მუშაკთა ფრონტზე, მაგრამ მათი ზოგადი სპეციალური მომზადება ვერ უზრუნველყოფდა მეთოდიკურ დახელოვნებას და ამიტომ მათი მუშაობის ხარისხი, როგორც წესი, დაბალი იყო.

ამის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ქალთა პედაგოგიური განათლების სასწავლებლებს არ გააჩნდა კვალიფიციურ ხელმძღვანელთა კადრები, არ ჰქონდა შესაფერისი სახელმძღვანელოები და დამამარე ლიტერატურა პედაგოგიური ციკლის საგნებში. სასწავლო დრო არ იყო საკმარისი (მაგალითად, მე-8, პედაგოგიური კლასები და საგანგებო კურსები) სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ღრმად შესწავლისათვის და არც პედაგოგიური პრაქტიკა იყო დაყენებული საჭირო სიმაღლეზე.

ქალთა პედაგოგიური განათლების ნელი ტემპი მე-19

საუკუნის საქართველოში იმით აიხსნება, რომ მთავრობა და სასულიერო წოდება ნაკლებად ეხმაურებოდა დაწყებითი სკოლების მზარდი ქსელის მოთხოვნილებებს მასწავლებელთა კადრების დარგში. ხოლო კერძო და ცალკეული საზოგადოებრივი წრეების ინიციატივა დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელ-ქალების მოსამზადებლად უმნიშვნელო შედეგს აღწევდა. ეს მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა არც შემდეგ. მთელ რევოლუციამდელ პერიოდში, მიუხედავად ქალთა დაწყებითი სკოლების რიცხვის გაზრდისა და კერძო საოჯახო სწავლების პრაქტიკის გაფართოებისა.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ პედაგოგიური განათლება მოსახლეობის არისტოკრატიულ წრეებში არ სარგებლობდა შესაფერისი ავტორიტეტით. ამ წრეებიდან გამოსული ქალიშვილები ნაკლებად ეტანებოდნენ პედაგოგიურ განათლებას და უფრო ნაკლებად—სამასწავლებლო თანამდებობებს, სამაგიეროდ სისტემატურად იზრდებოდა დემოკრატიული ფენებიდან გამოსულ მოსწავლეთა რიცხვი. მე-19 საუკუნის საქართველოს ქალთა პედაგოგიურ სასწავლებლებში და კურსის დამთავრების შემდეგ სოფლის სკოლებშიც დაუზარებლად მიემართებოდნენ ისინი პედაგოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

ნაწილი პირველი

მახწავლებელ ქალთა მომზადების პირობები და წესები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში 7
ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ძველ საქართველოში 9
საეკლესიო-სამონასტრო და საშინაო სკოლები 15
ქალთა კერძო პანსიონები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში . 23
ა) ალექსანდროვას პანსიონი 25
ბ) კასტელას, თელიქსის, დანილევიჩ-მორდვინოვას და პერეირას პანსიონები 28
გ) ფავრის პანსიონი . 30
ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი 38
წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები . . 45
ა) თბილისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი 46
ბ) წმიდა ნინოს სახელობის ქუთაისის და თელავის ქალთა სასწავლებლები 52

ნაწილი მეორე

ქალთა პედაგოგიური განათლება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში . 56
ქალთა აღზრდის ახალი მიზნები და ამოცანები. 57
პედაგოგიური განათლება 60—70-იან წლებში 69
პედაგოგიური კურსები 78
თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი. 80
თბილისის ქალთა პედაგოგიური კურსები 86

ქალთა გიმნაზიების მე-8 პედაგოგიური კლასები . 90
ა) თბილისის ქალთა გიმნაზიის მე-8 პედაგოგიური კლასი 96
ბ) ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მე-8 პედაგოგიური კლასი. 102
მასწავლებელთა მომზადება ქალთა სასულიერო განათლების სისტემაში. 107
ა) თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი. 112
ბ) ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი . 121
ბოდბის მონასტრის ქალთა სასწავლებლის პედაგოგიური განყოფილება 124
ბრძოლა ქალთა უმაღლესი განათლებისათვის 70—80-იან წლებში. 127
სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები. 143